ეროვნული ბიბლიოთეკა

# ლომი

გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან

7 ოქტომბერი პარასკევი 2011
№ 236 (13533) ფასი 80 თეთრი

# ალექს გარსიას დროის ამბავი

## დინამოში ბევრი რამეც და ვინმეც შეიცვლება



ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო

EXCLUSIVE

2-3

ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირი. ბოლოსწინა ტურის წინ

# უჩვენო დღის ამბები

## როცა საქართველო ისვენებს

ფერნანდუ სანტუში

სლავენ ბილიჩი

8-9

დღის მატჩი: საბერძნეთი-ხორვატია

## ჩვენს ჯგუფში პირველი ადგილის ბედი წყდება

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო

## ჭედიას დებიუტი ევროპის ვიცე-ჩემპიონთან

2

დღეს 21:00 ვაკეში

## საქართველო-შვეიცარია

ახალგაზრდული ნაკრებები

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ქართული ფეხბურთი

U 21. საქართველო-შვეიცარია

# დანაკლისი აღარ გაზრდილა

დღეს საქართველოს ახალგაზრდული ნაკრები შვეიცარიას დაუხვდება და დადებითი შედეგის მიღწევის შემთხვევაში ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე გასვლის შანსს შეინარჩუნებს. ქართველ ახალგაზრდებს წლეულს ძალიან მძიმე კალენდარი აქვთ – ევროპის ჩემპიონ ესპანეთთან ჩატარებული ორი შეხვედრის შემდეგ ზედიზედ ორჯერვე დაუპირისპირდებიან ვიცე-ჩემპიონ შვეიცარიას (რომელსაც 10 ნოემბერსაც ვეთამაშებით) და თუ ამ მატჩებში ხელი მოეცარათ, საგაისო შეხვედრები ყოველგვარ პრაქტიკულ მნიშვნელობას დაკარგავს.

შეგახსენებთ, საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების მთავარ მწვრთნელად სადებიუტო მატჩს ჩაატარებს **სოსო ჭედია**.

დღევანდელი შეხვედრა მიხეილ მესხის სახელობის სტადიონზე 21 საათზე დაიწყება. პირდაპირი სატელევიზიო რეპორტაჟი არ იგეგმება, ბილეთის ფასი კი 5 ლარია. შეიძლება, არ იყოს კატასტროფული თანხა, მაგრამ თუ საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია აქცენტს მაყურებელთა რაოდენობაზე აკეთებს, ვეჭვობთ, ამ მხრივ დღეს საქმე კარგად იყოს. ფეხბურთისა და გუნდისადმი სიყვარულის მიუხედავად, ბევრი ამ 5 ლარსაც ვერ გაიმეტებს, თანაც ხარჯი მხოლოდ ეს არ არის – ღამის 11 საათზე ვაკიდან შინ საზოგადოებრივი ტრანსპორტით დაბრუნების შანსი უმცირესია.

მივუბრუნდეთ საქართველოს ნაკრებს, რომელიც მატჩს დიდი დანაკლისით ხვდება. ტრავმების გამო შვეიცარიელთა წინააღმდეგ ვერ ითამაშებენ **თორნიკე ზარქუა, ლევან კაკუბავა, ჯაბა ჯიღაური** და **თორნიკე ოქრიაშვილი**, ხოლო **ლევან მჭედლიძე** შეხვედრას ყვითელი ბარათების სიჭარბის გამო გამოტოვებს. მათ ნაცვლად სამწვრთნელო შტაბმა **ზვიად სიხარულია, გიორგი ლემონჯავა, ლაშა გვალია** და მეკარე **ჯონი შეროზია** გამოიძახა.

გუშინ "მიხეილ მესხზე" ორივე გუნდმა ივარჯიშა. სასიამოვნოა, რომ საქართველოს ნაკრების დანაკლისი მეტად აღარ გაზრდილა – დიდი იყო იმის საფრთხე, რომ დღეს ვერც **თორნიკე თარხნიშვილსა** და **ნიკა კვეკვესკირს** ეთამაშათ, მაგრამ გუშინ ორივემ სრული დატვირთვით ივარჯიშა და თამაშის კარგი შანსიც აქვთ. გარკვეული პრობლემები ჰქონდა **ირაკლი ქობალიასაც**, მაგრამ თავს უკვე კარგად გრძნობს.

საბა კვერკველია

» მე-4 გვერდზე



მეკარეები. მარცხნიდან: ჯონი შეროზია, გიორგი ნადირაძე, გიორგი მაკარიძე

ექსკლუზივი

# ალექს გარსიას დროის ამბავი

## დინამოში ბევრი რამეც და ვინმეც შეიცვლება

თბილისის „დინამოს" ისტორიაში რიგით მეექვსე უცხოელმა მწვრთნელმა (დამოუკიდებელი ქართული ფეხბურთის პერიოდს ვგულისხმობთ), ესპანელმა ალექს გარსიამ ჩვენი ყველაზე ტიტულიანი კლუბი ამა წლის ივნისის დასაწყისში ჩაიბარა, დღესდღეობით მსოფლიოს საუკეთესო კლუბის, „ბარსელონას" საკლუბო სტრუქტურაში ნამუშევარი 41 წლის სპეციალისტის საქართველოში ჩამოსვლას უხმაუროდ ნამდვილად არ ჩაუვლია (ისე, როგორც ოდნავ მოგვიანებით თბილისის „დინამოში" მისი თანამემამულე ფეხბურთელების — ჩისკოს, კოტოს, იაგუესა და ალვაროს გამოჩენას). ივნისის დასაწყისიდან დღემდე გარსიას გაწეულ სამუშაოს თუ გადავხედავთ, „დინამოს" ხელმძღვანელობასა და გუნდის ერთგულ გულშემატკივრებს ერთი შეხედვით, უკმაყოფილების საბაბი არ უნდა ჰქონდეთ. ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, შვიდწლიანი პაუზის შემდეგ „დინამომ" საკმაოდ წარმატებულად ითამაშა ევროტურნირებზე და სულ მცირედი დააკლდა ევროპის ლიგის ჯგუფურ ეტაპზე მოსახვედრად. ამას გარდა, „დინამო" შიდა ასპარეზზეც ამართლებს ფავორიტის სტატუსს და რვა ტურის შემდეგ ცხრილის სათავეში სრულიად დამსახურებულად იმყოფება. თუმცა, იმის თქმაც ძნელი იქნება, თითქოსდა, „დინამოს" თამაში იდეალურთან მიახლოებულია. რა თქმა უნდა, ნებისმიერი მწვრთნელისათვის ახალ გუნდში გატარებული ოთხი თვე ის დრო არ არის, საკუთარი იდეების სრული რეალიზება რომ მოახდინოს (იმავეს ვიტყოდით „დინამოს" ესპანელ ლეგიონერ ფეხბურთელებზეც), მით უფრო, რომ ქართველებს თითქმის ყველაფერში მაქსიმალიზმი გვჩვევია. თანაც, არ დაგავიწყდეს, რომ „ჩვეულებრივ" გუნდზე კი არა, „დინამოზეა" ლაპარაკი — სამი სეზონი ჩემპიონობას რომ ვერ ახერხებდა...

...უცხოელი მწვრთნელისგან (და არა მხოლოდ საქართველოში) ყოველთვის განსაკუთრებულს მოელიან, უცხოელი ფეხბურთელებისგანაც არანაკლებს, მით უფრო, როცა ეს მოთამაშეები თანამემამულე მწვრთნელის რეკომენდაციით არიან გუნდში ჩარიცხული. „დინამოს" შემთხვევაში კი, არ დავმალავთ და, აზრთა სხვადასხვაობაა: ზოგი ფიქრობს, რომ ოთხივე ესპანელმა ფეხბურთელმა ჩვენი ყველაზე ტიტულიანი კლუბი გააძლიერა, ზოგის აზრით, ამ ოთხიდან მხოლოდ ორია (ჩისკო, ალვარო) იმ დონის, რასაც მოველოდით. უფრო ზუსტად, დანარჩენი ორი ესპანელი ფეხბურთელი (კოტო, იაგუე) აქაურებს „ათი თავით" მართლაც ვერ სჯობნიან (ამბობენ, ესეც დროის ამბავიაო) და „დინამოს" საშინაო მატჩებზე ხან „შეპარვით", ხან კი ღიადაც შეაქვთ ეჭვი იმავე კოტოსა თუ იაგუეს საფეხბურთო შესაძლებლობებში. მოკლედ, ბევრი რომ არ გავაგრძელოთ, „დინამოს" ესპანელ თავკაცთან ბევრი კითხვა დაგვიგროვდა. ინტერვიუზე უარი არ უთქვამს — ვარჯიშის დასრულების შემდეგ ვისაუბროთო; თუმცა თავიდანვე მოგვიბოდიშა — სამიოდე დღით ესპანეთში მივდივარ და აეროპორტში მიმეჩქარებაო. ჰოდა, რაც „მოვასწარით", აი, სწორედ იმას შემოგთავაზებთ. მანამდე კი ამ ინტერვიუს მომზადებისათვის მადლობა გვინდა გადავუხადოთ ალექს გარსიას თანაშემწეს გიორგი ყოლბაიასა და „დინამოს" პრესატაშეს გიგა გვენცაძეს.



ალექს გარსია

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო

**- ჩვენი წინა შეხვედრისას (ევროტურნირების დაწყებამდე) გვითხარით, რომ სასიამოვნო მოულოდნელობა იყო დინამოელთა ტექნიკური განსწავლულობა, უსიამოვნოდ კი თქვენი ახალი გუნდის ფეხბურთელების საგოლე მომენტების რეალიზაციის დაბალი პროცენტი მიიჩნიეთ. სამი თვის შემდეგ რას გვეტყოდით?**

- უპირველეს ყოვლისა, მინდა აღვნიშნო, რომ ადაპტაციის პროცესი გავლილია; თუ გახსოვთ, მაშინ ისიც გითხარით, რომ ნებისმიერ მატჩში და ნებისმიერ მეტოქესთან „დინამო" მხოლოდ და მხოლოდ აგრესიულ, ანუ შემტევ ფეხბურთს ითამაშებდა. რა თქმა უნდა, წინსვლა არის - ბევრი გოლი გაგვაქვს და ვცდილობთ, რაც შეიძლება ნაკლები გავუშვათ; თუმცა, იმასაც ვაღიარებ, რომ სტაბილურობა გვაკლია.

**- „თბილისი-მერიოტში", თქვენი წარდგენისას ბრძანეთ, რომ საქართველოში ტიტულების მოსაპოვებლად ჩამოხვედით. თუმცა იქვე დასძინეთ, რომ პირველსავე წელს მაინცდამაინც საერთაშორისო ასპარეზზე ტრიუმფს ნუ მომთხოვთო. ტრიუმფის რა გითხრათ, მაგრამ წლევანდელ ევროტურნირებზე „დინამოს" გამოსვლა, საერთო შეფასებით, წარმატებული იყო.**

- კარგია, რომ ჩვენს შრომას ბევრი ხედავს და ამჩნევს. რა თქმა უნდა, ევროპის ლიგაზე „დინამოს" ასპარეზობით კმაყოფილი ვარ, მაგრამ ეს მაინც ჩვენი არჩეული კურსის ერთ-ერთი ეტაპია; მიხარია, რომ გუნდის შედეგიანობამ საგრძნობლად მოიმატა და თუ არ ვცდები, საწყის ეტაპებზე 18 გოლი ჩვენ გარდა არავის გაუტანია. თანაც არც ის იყო პატარა ამბავი, როცა „დინამოს" საშინაო მატჩებს 40 000-ზე მეტი გულშემატკივარი ესწრებოდა.

**- „დინამოს" შემტევი სტილი ყველას მოგვწონდა, მაგრამ არც იმის დაუნახაობა იქნებოდა, როცა ჩვენს მეტოქეებსაც უამრავი მომენტი ექმნებოდათ - ანუ, დაცვის ხაზში არსებულ პრობლემებს ვგულისხმობთ...**

- შემტევი სტილიო, თქვენ თვითონ ბრძანეთ; სწორად შეგინიშნავთ, თანაც მოგეხსენებათ, რომ გუნდში მოსვლის პირველი დღიდანვე „დინამომ" ახალი ტაქტიკური განლაგებით (4-3-3) დაიწყო თამაში. არც უარვყოფთ, რომ ერთობ რისკიანი ტაქტიკაა, მაგრამ არჩეული გეზისგან გადახვევას არ ვაპირებთ და გარწმუნებთ, დროთა განმავლობაში ამ პრობლემაზე საუბარი აღარ მოგვიწევს.

**- ევროტურნირებზე „დინამოს" თამაშში შემტევი სტილის გარდა თვალშისაცემი სხვაც იყო: ჩვენი ფეხბურთელები „ნორმაზე" მეტ ყვითელ და წითელ ბარათს იღებდნენ და ამის გამო, ყოველ მეორე-მესამე შეხვედრაში არაოპტიმალური შემადგენლობის გამოყვანა გიხდებოდათ.**

- სხვათა შორის, ეგ მეც მიკვირდა, არადა, აგრესიული სტილი სულაც არ ნიშნავს, თითქოსდა უხეშად ვთამაშობდით. მეტსაც გეტყვით: ევროტურნირების მატჩებისას ჩვენს ფეხბურთელებს უფრო მეტი მოხვდათ ფეხებში, ვიდრე მეტოქეებისას, მაგრამ...

**- ჰო, მაგრამ რამდენჯერმე სრულიად უწყინარ სიტუაციაშიც გაუძევებიათ „დინამოს" ფეხბურთელები...**

» მე-3 გვერდზე

ლელო

დამფუძნებელი და გამომცემელი
**შპს გამომცემლობა ლელო**

გამოიცემა ყოველდღე,
გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი **თენგიზ გაჩეჩილაძე**

მთავარი რედაქტორის მოადგილეები: **გია თვალაბეიშვილი, ნიკოლოზ ნეფარიძე;** ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი **მიხეილ ჯაში;** ფოტო: **ალექსანდრე კოტორაშვილი.**

1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს" მთავარი რედაქტორები: **მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), ერემო მახათაძე (1952-53), ირაკლი უგულავა (1953-64), ანზორ ბასილაია (1976-83), არჩილ გოგელია (1984-85), თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან).**

*პალიტრა მედიის ცხელი ხაზი: 383-384. ელფოსტა: leloltd@gmail.com*

ხელმოწერილია დასაბეჭდად: 02:15

მისამართი: **იოსებიძის, 49.** ტელეფონები: **242 32 73, 599 55 48 97** (მთ. რედაქტორი); ფაქსი: **+995. 232 38 08 63;** ინდექსი **66435** INDEX. რეკლამა: **237 78 07**

რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალების და ფოტოების სხვა ბეჭდვით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია

« მე-2 გვერდიდან

- ალბათ, ჯილაურისა და კაკუბავას შემთხვევებს გულისხმობთ, - ნუ დაგავიწყდებათ, რომ 19-20 წლის ბიჭები არიან და გამოუცდელობის გამოც გააძევეს ორივე მოედნიდან.

**- ევროტურნირებიდან საქართველოს ჩემპიონატზე „გადმოერთეთ“ და იმის მიუხედავად, რომ დღესდღეობით ლიდერები ხართ, სანყის ტურებში თქვენი გუნდი, ცოტა არ იყოს, დამძიმებული ჩანდა.**

- ეს მოსალოდნელიც იყო - ფეხბურთელები ფორმის პიკზე სწორედ ევროტურნირების მატჩების დროს იმყოფებოდნენ. ამას გარდა, სხვა ფაქტორებიც იყო...

**- კერძოდ?**

- იცით, ძალიან ძნელია, როცა ერთ თამაშზე 40 000 კაცი გქომაგობს და უცბად, რამდენიმე დღეში 500-კაციანი აუდიტორიის წინაშე გამოდიხარ.

**- მოედნების ფაქტორი?**

- ეს, საერთოდ, ცალკე თემაა და კარგია, თქვენც რომ აღნიშნეთ. არავის მინდა შეურაცხყოფა მივაყენო, მაგრამ ჩვენი სათამაშო სტილიდან გამომდინარე, მოედნის საფარსაც დიდი მნიშვნელობა აქვს. სამწუხაროდ, სტუმრად რამდენიმე თამაში ისეთ მოედნებზე ჩავატარეთ, ჩვენს ტექნიკურ ფეხბურთელებს გარკვეული პრობლემები შეექმნათ.

**- გულახდილად გვითხარით: იქნებ, იმასაც ფიქრობდით, რომ ეროვნულ ჩემპიონატში ადვილი მატჩები გექნებოდათ?**

- საქართველოში ჩამოსვლის დღიდან მსგავსი არაფერი მითქვამს, უბრალოდ, აქაურობა (საფეხბურთო სამყაროს ვგულისხმობ) ბოლომდე არ გამიცნია.

**- როგორ ფიქრობთ, საქართველოს ჩემპიონატის მატჩების წინ გუნდში მოტივაციის ნაკლებობაც ხომ არ იგრძნობოდა?**

- არც ამაში დაგეთანხმებით: ნებისმიერ მეტოქეს პატივს ვცემთ და ჩემი გუნდის ფეხბურთელებიც ყველა აქაური შეხვედრის წინ ისეთივე განწყობით გამოდიან, როგორიც, ვთქვათ, ბერნლულ აეკ-ის წინ ჰქონდათ. კიდევ ვიმეორებ: ჩემთვის მოულოდნელი ნამდვილად არ ყოფილა აქაური „მძიმე სტარტი“; რაც მთავარია, ვარჯიშებზეც და უშუალოდ მატჩების დროსაც თითოეული ფეხბურთელი მაქსიმალურად ცდილობს იმის შესრულებას, რასაც მწვრთნელები ვითხოვთ.

**- თქვენს თანამემამულე ფეხბურთელებზე უნდა გკითხოთ: საქართველოს ჩემპიონატების ისტორიაში ჩისკო პირველი ფეხბურთელია, მანამდე ტოპ-ლიგაში (პრემერა-დივიზიონი) რომ უასპარეზია. ანუ, რა დასამალია და, „ვალენსიას“ ყოფილი ვარსკვლავისგან აქაც ზღაპრულ თამაშს ელოდნენ...**

- ჩისკოსაც და სამივე დანარჩენ ჩემს თანამემამულე ფეხბურთელს უამრავ „სიკეთესთან“ ერთად ერთი, თანაც განსაკუთრებული პლუსი აქვთ - ნახევარდაცვა იქნება თუ თავდასხმა, ყველა პოზიციაზე ჩვენ შემტევ პოტენციალს საგრძნობლად აძლიერებენ.

**- ევროტურნირებზე ორი-სამი შეხვედრა და აქაურ ასპარეზზე ბოლო ორი მატჩი (თასზე - „დილასთან“, ჩემპიონატში - „სიონთან“) ჩისკომ მართლაც შთამბეჭდავად ჩაატარა...**

- ყველა მატჩს ერთსა და იმავე დონეზე ვერ ჩაატარებ, თუმცა ჩისკოს ოსტატობაში ეჭვის შეტანა უადგილოდ მიმაჩნია და აი, ნახავთ, მცირე დროის მერე როგორ ათამაშდება.



ფოტოები: fcdinamo.ge

**- ამ გამოცდილი ფეხბურთელის დიდ შესაძლებლობაზე კარგი აზრი გვაქვს, თუმცა ისიც გვაინტერესებს, თუ რომელია ჩისკოსთვის ყველაზე ოპტიმალური ამპლუა?**

- ჩისკოსთვის მართლაც ზედგამოჭრილია ჩვენ მიერ არჩეული ტაქტიკა: უნივერსალური თვისებებიდან გამომდინარე, მისი გამოყენება ნახევარდაცვაშიც შეიძლება, გარემარბადაც და ცენტრფორვარდადაც. თანაც, როცა ასეთი მრავალმხრივი ფეხბურთელი გვყავს, გუნდის შემადგენლობაში როტაციის საშუალებაც ბევრად უფრო თავისუფლად შემიძლია.

**- ნებისმიერ ქვეყანაში ლეგიონერებისგან „განსაკუთრებულ“ ასპარეზობას ითხოვენ; ყოველ შემთხვევაში, ოსტატობით ადგილობრივებს არ უნდა ჩამორჩებოდნენ. კიდევ ერთ ესპანელზე, ალვაროზე პრეტენზია, ალბათ, არავის ექნება; რასაც, სამწუხაროდ, კოტოსა და, განსაკუთრებით იაგუეზე ვერ ვიტყვით...**

- ასეთ მკაცრ შეფასებაში ვერ დაგეთანხმებით; ჯერ ერთი, კოტოც და იაგუეც იმიტომ დავიმატეთ, რომ, შესაბამისად, გარემარბის და ცენტრფორვარდის პოზიციების გაძლიერება გვსურდა. კოტო ახალგაზრდა ფეხბურთელია, დროც სჭირდება, ბოლომდე რომ „გაიხსნას“ და „შესაფერისი“... მოედანიც.

**- ისე, „ტორპედოსთან“ წაგებულ მატჩში კოტოს ურიგოდ ნამდვილად არ უთამაშია, ხოლო იაგუემ საქართველოს ჩემპიონატში პირველი გოლიც გაიტანა. თუმცა, ქართველ ქომაგთა არცთუ მცირე ნაწილი მიიჩნევს, რომ ესპანეთიდან ჩამოყვანილი ცენტრფორვარდი ბევრად უფრო შედეგიანად და საერთოდაც, გამორჩეულადაც უნდა თამაშობდეს...**

- მოდი, ასე გიპასუხებთ: მართალია, ბევრი გოლი არ გაუტანია, სამაგიეროდ, გუნდისთვის ძალიან სასარგებლო ფეხბურთელია და მოედანზე არც „შავი სამუშაოს“ შესრულებას თაკილობს. იგივეს თქმა შემიძლია კოტოზეც, რომელიც ფლანგებზე პროდუქტიულად ირჯება.

**- კარგი, თემა შევცვალოთ; სამწუხაროდ, კიდევ ბევრი კითხვა გვქონდა, მაგრამ თქვენს მდგომარეობაშიც შევდივართ და მადლობის მეტი რა გვეთქმის - აეროპორტში მიგეჩქარებათ და ჩვენთან სასაუბროდ დრო გამონახეთ.**

- არ არის პრობლემა, რამდენიმე წუთი არაფერს წყვეტს.

**- ჩვენი საუბრის განმავლობაში სიტყვა „დრო“ არაერთხელ ახსენეთ. კონკრეტულად შეგიძლიათ (გნებავთ - მიახლოებით) ის პერიოდი დაასახელოთ, ჟურნალისტებსა თუ გულშემატკივრებს „დინამოს“ ირგვლივ ამდენი კითხვა რომ აღარ ექნებათ?**

- კონკრეტულ თარიღს ნამდვილად ვერ დაგისახელებთ, თუმცა მერამდენედ ვიტყვი, რომ ახლებური ტაქტიკის სრულყოფილად ასათვისებლად მართლაც გარკვეული დრო არის საჭირო. ამას გარდა, არც იმას დავმალავ, რომ გუნდში ბევრი რამეც შესაცვლელია...

**- მხოლოდ რაიმე არის შესაცვლელი თუ ვინმეც?**

- ცვლილებები აუცილებლად იქნება - ასეც და ისეც; ოღონდ, მერწმუნეთ, ეს ცვლილებები მხოლოდ და მხოლოდ გუნდის გაძლიერების საწინდარი იქნება.

**- თქვენი საუბრიდან ადვილი მისახვედრია, რომ ზამთრის სატრანსფერო პერიოდში „დინამოში“ ახალი ფეხბურთელები უნდა გამოჩნდნენ. კვლავაც ესპანელების დამატებას აპირებთ?**

- არა, ქართველებით გავძლიერდებით!

**- საერთოდ, მწვრთნელები კონკრეტული გვარების დასახელებისგან თავს იკავებენ ხოლმე, მაგრამ მაინც გვაინტერესებს, თუ რომელი ფეხბურთელი მიგაჩნიათ დღევანდელ „დინამოში“ გუნდის ლიდერად?**

- გუნდის კაპიტანი ალექსანდრე კოშკაძე კარიერის პიკზე იმყოფება და ყველა მატჩში ნებისმიერ თანაგუნდელს იმის მაგალითს აძლევს, თუ როგორ უნდა ითამაშოს ჭეშმარიტმა პროფესიონალმა. ძალიან გამიხარდა, საქართველოს ნაკრებში რომ გამოიძახეს - ჩემი აზრით, კოშკაძე ამას ნამდვილად იმსახურებდა. გიორგი ლორიაზეც მინდა ვთქვა - ჩვენთვის უმნიშვნელოვანეს ფიგურაზე და დიდი სურვილი მაქვს, რაც შეიძლება მალე გამოჯანმრთელდეს.

**- ბოლო კითხვაც: „დინამოში“ გადმოსვლამდე რეხვიაშვილი ცენტრალური მცველის პოზიციაზე თამაშობდა, თანაც საკმაოდ წარმატებით. თქვენი ხელმძღვანელობით კი მუდამ მარცხენა მცველად ასპარეზობს...**

- რეხვიაშვილი სწორედაც მარცხენა მცველად წარმომიდგენია და არც იმას დაგიმალავთ, რომ ამ პოზიციაზე ძალიანაც მომწონს.

**გია ტუხაშვილი**

● დინამო

# ეროვნული ლიგა ბოლოეტაპი

## ლორენზო ვეგალურგთან თამაში უნდა

თბილისის „დინამოს“ მეკარე **გიორგი ლორია** 25 სექტემბერს მარტვილის „მერანთან“ მატჩისას დაშავდა და უკვე ორი ტური გამოტოვა, თუმცა ტრავმა მძიმე არ აღმოჩნდა და გიორგი მოედანზე დაბრუნებას მალე იმედოვნებს.

*„მარტვილელთა გუნდის ფეხბურთელი ჩემთან პირისპირ დარჩა და ჩავთვალე, რომ კარის გადარჩენის ერთადერთი შანსი გამოსვლა ზე თამაში იყო. იმ ეპიზოდში გოლს გადავრჩით, მაგრამ ეს ტრავმის ფასად დამიჯდა.*

*თავდაპირველად ძლიერი ტკივილები მაწუხებდა, ახლა შედარებით ნაკლებად. ვმკურნალობ და მალე ყავარჯნებსაც გადავაგდებ. რეაბილიტაციის პროცესი მოსალოდნელზე სწრაფად მიმდინარეობს და ვიმედოვნებ, რომ 10 ოქტომბრისთვის მსუბუქად ვარჯიშსაც დავიწყებ. დიდი სურვილი მაქვს, გუნდს 16 ოქტომბერს რუსთავის „მეტალურგთან“ პრინციპულ მატჩში დავეხმარო“* – უთხრა ლორიამ "დინამოს" ფანკლუბის ვებგვერდს.

**მერაბ მამულაშვილი**

● ლეგიონერები

## ვიძევი ძალამიძეს იხანგრძლივებს



პოლონური "ვიძევის" ხელმძღვანელობა აცხადებს, რომ **ნიკა ძალამიძის** შეძენა გადაწყვეტილი აქვს. შეგახსენებთ, 19 წლის ქართველი ნახევარმცველი ლოძის კლუბში მიმდინარე წლის დასაწყისში ზუგდიდის "ბაიადან" გადავიდა და "ვიძევს" იგი აქამდე არ გამოუსყიდია. თუმცა კლუბის მესვეურები ძალამიძის თამაშით ისეთი მოხიბლულები არიან, გადაწყვიტეს, "ბაიას" არცთუ მცირე თანხა გადაუხადონ.

**ნიკა გვათუა**

# ლონღაძეს გააქვს და ასარჩევად აქვს

## უკრაინული ვარიანტები: ზარია თუ კრივბასი?

დაუგავპილსის „დაუგავას“ თავდამსხმელი **მამუკა ლონღაძე** ლატვიის ჩემპიონატში მშვენიერ სეზონს ატარებს. ბოლო ტურებში კი სულაც „აიწყვიტა“ და გოლი გოლზე გააქვს. „დაუგავას“ ფორვარდმა ლატვიის ვირსლიგის ბოლო ტურში დუბლი მიითვალა და თავისიანებს „იელგავასთან“ სტუმრად 2:1 გაამარჯვებინა.

სულ დაუგავპილსელთა 25 წლის თავდამსხმელმა მიმდინარე სეზონის 21 მატჩში 20 გოლი გაიტანა და რიგის „სკონტოს“ ბრაზილიელ **ნათან ჟუნიორს** მხოლოდ ერთი ბურთით ჩამორჩება - რიგელთა ფორვარდმა ერთი შეხვედრით მეტიც ჩაატარა.

ლატვიის ჩემპიონატის მატჩებს ევროპელი სელექციონერები ხშირად ესწრებიან. ლონღაძეს კონტრაქტი ნოემბერში უმთავრდება და ლატვიის ჩემპიონატის ერთ-ერთი საუკეთესო ბომბარდირი, თანაც, თავისუფალი აგენტის სტატუსით, ბევრს აინტერესებს.

ნახევარი წელია, ლონღაძეს სხვადასხვა კლუბიდან უკავშირდებიან და კონტრაქტს სთავაზობენ. ზაფხულში პოლონეთის ექსტრაკლასას „პოლონიას“ სურდა მასთან კონტრაქტის გაფორმება, მაგრამ დაუგავპილსელებმა არ გაუშვეს. მერე ჩვენებურით ბუნდესლიგაში მე-12 პოზიციაზე მყოფი „კიოლნი“ დაინტერესდა. ვერ გეტყვით, რატომ, მაგრამ, ეტყობა, მოლაპარაკება არ გაგრძელებულა.

ახლა კი შევიტყვეთ, რომ მამუკამ კონტრაქტი უკრაინაში მცხოვრებ ქართველ მენეჯერთან გააფორმა და ზამთრის სატრანსფერო პერიოდში ლატვიიდან უკრაინაში გადაბარგების დიდი შანსი აქვს.

საქმე ისაა, რომ მისმა მენეჯერმა მოლაპარაკება ორ კლუბთან წამოიწყო – კრივოი როგის "კრივბასთან" და ლუგანსკის "ზარიასთან". ორივესთან წინასწარი შეთანხმებაც არსებობს, ახლა ყველაფერი დამოკიდებულია იმაზე, მამუკას უკეთეს პირად კონტრაქტს რომელი შესთავაზებს.

ლონღაძის პროგრესი იმდენად თვალშისაცემია, გასაკვირი ნამდვილად არ იქნება, ერთ მშვენიერ დღეს ეროვნულ ნაკრებში რომ გამოიძახონ და თავის გამოჩენის შანსი მისცენ – ასეთი შედეგიანი თავდამსხმელი ბევრი ნამდვილად არ გვყავს.

**მერაბ მამულაშვილი**

**თბილისის ფეხბურთის ფედერაცია ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა ამავე ფედერაციის აღმასკომის ყოფილი წევრი, 2001-2006 წლებში სამსაჯო-სადამკვირვებლო კომიტეტის თავმჯდომარე, საერთაშორისო კატეგორიის არბიტრი ფეხბურთში**

**თამაზ ლაცაბიძე**

**და სამძიმარს უცხადებს ოჯახს.**

რეკლამის მენეჯერის
ვაკანსია „ლელოში“
E-mail:hr@kvirispalitra.com

U 21. საქართველო-შვეიცარია

# დანაკლისი აღარ გაზრდილა

« მე-2 გვერდიდან

სოსო ჭედია

ჩვენმა გუნდმა ვარჯიშის მეტი წილი ტექნიკური მხარის დახვეწას დაუთმო, ნვრთნის ბოლოს კი ნახევარ მოედანზე ორკარა გაიმართა. ფეხბურთელებს თავი არ დაუზოგავთ და, "ყვითლებისა" და "მწვანეების" შემადგენლობიდან გამომდინარე, დაგვრჩა შთაბეჭდილება, რომ სამწვრთნელო შტაბს გუშინ სასტარტო თერთმეტეული არ გამოუკვეთია.

ფეხბურთელებს ოპტიმისტური განწყობა ეტყობოდათ.

**ჯონი შერროზია:** *"საქმე ძალიან ძლიერ მეტოქესთან გვაქვს. რთული თამაში იქნება, მაგრამ უშანსოდ ნამდვილად არ ვართ და გამარჯვება შეგვიძლია. მთავარია, ჩვენმა გუნდმა საუკეთესო თვისებების გამოვლენა შეძლოს".*

**საბა კვერკველია:** *"საკუთარ მოედანზე ვთამაშობთ, რაც გამარჯვების შანსს გვიზრდის. ვფიქრობ, გამარჯვება ორივე გუნდს შეუძლია. ჩვენ ყველაფერს გავაკეთებთ იმისთვის, რომ ქართველი გულშემატკივარი გავახაროთ".*

ჭედია და მისი ასისტენტები ძირითად შემადგენლობას და 7 სათადარიგოს ამათგან შეარჩევენ:

მეკარეები: **გიორგი მაკარიძე** („ლე მანი", საფრანგეთი), **გიორგი ნადირაძე** („დინამო" თბილისი), **ჯონი შერროზია** ("მერანი", მარტვილი);

მცველები: **დავით ხოჭოლავა** („დინამო" თბილისი), **ნიკოლოზ აფაქიძე** („ბაია", ზუგდიდი), **ივანე კანდელაკი** („სკონტო", ლატვია), **საბა კვერკველია** („რუბინი", რუსეთი), **ნიკოლოზ ჯიშკარიანი, ლაშა კალანდაძე** (ორივე - „გაგრა"), **მამუკა კობახიძე** („ზესტაფონი");

ნახევარმცველები: **ნიკა კვეკვესკირი, ირაკლი ლექვთაძე** (ორივე - „დინამო" თბილისი), **თორნიკე თარხნიშვილი, გივი ირსელიანი** (ორივე - „ტორპედო", ქუთაისი), **ნიკა ძალამიძე** („ვიძევი", პოლონეთი), **ვალერი ყაზაიშვილი** („ვიტესი", ჰოლანდია), **ლუკა გუგუჩია** („ბაია", ზუგდიდი), **გიორგი ლემონჯავა, ლაშა გვალია** (ორივე - კოლხეთი", ფოთი);

თავდამსხმელები: **ირაკლი შეყილაძე** („ემპოლი", იტალია), **გიორგი ჭანტურია** („ვიტესი", ჰოლანდია), **ირაკლი ქობალია, ზვიად სიხარულია** (ორივე - „ბაია", ზუგდიდი).

**ლევან ჯანეზაშვილი**

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტოები

U 19

ფოტო: gff.ge

# ლეგიონერებიც თუ დავიმატეთ...

## დევდარიანის გუნდი მზადებას შეუდგა

საქართველოს 19-წლამდელთა ნაკრებმა შეკრება დაიწყო. ფეხბურთის ფედერაციის ცნობით, **გიორგი დევდარიანი** და მისი გუნდი სასტუმრო „ბატესტაში" დაბინავდნენ, სავარჯიშოდ კი საგურამოში დადიან.

შეკრება საწვრთნელ-სასელექციოა, მისი მიზანი ნოემბერში თურქეთში გასამართავი ევროშესარჩევი ტურნირისთვის სათანადოდ მომზადებაა.

ამჟამად გიორგი დევდარიანის განკარგულებაში 24 ფეხბურთელია:

**დავით ლეგაშვილი** („სასკო"), **გიორგი ბერია** („მერანი", მარტვილი), **გიორგი პაპავა** („დინამო" თბილისი), **თედო კაკულია** („დინამო" თბილისი), **ცოტნე ხარაბაძე** („ტორპედო", ქუთაისი), **ლაშა პარუნაშვილი** („დინამო" თბილისი), **ალექსანდრე რეხვიაშვილი** („დინამო" თბილისი), **ბუბა რუხაძე** („სპარტაკი", ცხინვალი), **გიორგი ქვილითაია** („სასკო"), **ლევან ტყეშელაშვილი** („დინამო" თბილისი), **თორნიკე გრიგალაშვილი** („ზესტაფონი"), **ნიკა სანდოხაძე** („დინამო" თბილისი), **გიორგი კალანდია** („ვიტ ჯორჯია"), **ნოდარ კიკნაველიძე** („ზესტაფონი"), **ვალერი კილასონია** („სპარტაკი", ცხინვალი), **გურამ სამუშია** („ბაია", ზუგდიდი), **ონისე ჩინჩალაძე** („ტორპედო", ქუთაისი), **კახაბერ კაკაშვილი** („სპარტაკი", ცხინვალი), **დავით გელაშვილი** („სპარტაკი", ცხინვალი), **არჩილ ტვილდიანი** („დინამო" თბილისი), **ოთარ დოლიძე** („დინამო" თბილისი), **მალხაზ გაგოშიძე** („ზესტაფონი"), **უჩა ბურძენაძე** („სპარტაკი", ცხინვალი), **ავთანდილ ენდელაძე** („ბაია", ზუგდიდი).

*შეკრების პერიოდში გიორგი დევდარიანი ტესტმატჩების გამართვასაც აპირებს. ეს ფეხბურთის ფედერაციის ვებგვერდთან ინტერვიუში განაცხადა:*

- შეკრება 11 ოქტომბრამდე გაგრძელდება. დაგეგმილი გვაქვს ერთი შეხვედრა „ზესტაფონის" პირველ გუნდთან, სავარაუდოდ, „დინამოსთანაც". ცხადია, ბიჭებს ერთმანეთშიც ვათამაშებთ. ამ ყველაფერს ერთი მიზანი აქვს: მაქსიმალური ყურადღებით დავაკვირდეთ შეკრებაზე მყოფ ყველა ფეხბურთელს, რათა საბოლოოდ ჩამოვყალიბდეთ, ვინ განაგრძობს მომზადებას ნოემბრის თამაშებისთვის. აქვე მინდა აღვნიშნო, რომ ბევრმა ახალმა მოთამაშემ საკმაოდ კარგად წარმოაჩინა თავი კლუბში და მაინტერესებს, სანაკრებო დონეზე როგორ გამოჩნდებიან. ალბათ, დამეთანხმებით, ჩვენ ისეთი ფეხბურთელები გვჭირდება, რომელთა მომზადების დონე დაგვაკმაყოფილებს, რადგან ახლა ნამდვილად არარის იმის დრო, მათ ფიზიკურად მომზადებაზე ვიმუშაოთ. ნაკრებში სათანადოდ მომზადებულები უნდა მოვიდნენ.

**- თურქეთში გამგზავრებამდე, ალბათ, კიდევ შეიკრიბებით...**

- როგორც ფედერაცია გვპირდება, დასკვნითი შეკრება აუცილებლად გვექნება. შემდეგ კი, ტურნირის დაწყებამდე რამდენიმე დღით ადრე, თურქეთში გავემგზავრებით და მზადებას იქ განვაგრძობთ.

**- მეტოქეების შესახებ რა იცით?**

- თურქეთის ნაკრების თამაშის ერთი ჩანაწერი გვაქვს და მინდა გითხრათ, რომ ძალიან ძლიერი გუნდის შთაბეჭდილება დატოვა. ასეც ვფიქრობდი, რადგან თურქეთის გუნდები, ტრადიციულად, კარგად მომზადებულები არიან. მაგრამ ჯარგია ის, რომ ჩვენი ფეხბურთელები სტაბილურად თამაშობენ კლუბებში და, რასაც თვალს ვადევნებ, ჩვენს ჩემპიონატებში უმრავლესობა საკმაოდ კარგად გამოიყურება.

თუ შევძელით ლეგიონერების დამატებაც, საკმაოდ ანგარიშგასაწევი ძალა ვიქნებით. პრობლემა ისაა, რომ ახალგარდულ ნაკრებს 10 ნოემბერს შვეიცარიასთან სტუმრად თამაში უნევს და ჭანტურია და ყაზაიშვილი შესაძლოა ვერ დაგვეხმაროს. ისიც შესაძლებელია, კლუბებმა არ გამოუშვან დავით სხირტლაძე და სხვა ფეხბურთელები, მათ შორის, საქართველოს ჩემპიონატში მოთამაშეები, რისი სრული უფლებაც აქვთ.

**- ამ 24 ფეხბურთელის გარდა, კიდევ ვინმეს ხომ არ დაიმატებთ?**

- ვარჯიშებზე გვეყოლება „ვოლგას" ფეხბურთელი დავით კოხია, რომელიც დებიუტანტია და დიდი ყურადღებით დავაკვირდებით. ვცდილობთ „რუბინში" მოთამაშე მერაბ ურიდიასთან დაკავშირებასაც, მაგრამ, სამწუხაროდ, სავიზო და საპასპორტო პრობლემების გამო მისი ახლა ჩამოყვანა ვერ მოხერხდა.

■ ■ ■

19-წლამდელთა ევროშესარჩევი ციკლის მატჩები 11–16 ნოემბერს თურქეთში გაიმართება. ჩვენი ნაკრები მე-9 ჯგუფშია და თურქეთის, პოლონეთისა და ლუქსემბურგის გუნდებთან მოუწევს დაპირისპირება.

**11 ნოემბერი**

პოლონეთი-საქართველო

**13 ნოემბერი**

საქართველო-თურქეთი

**16 ნოემბერი**

ლუქსემბურგი-საქართველო

**მერაბ მამულაშვილი**

მეტოქე

# ვის ექნება საქმე მხარ-თეძოზე წამოსაწოლად?

შვეიცარიის ნაკრების სამწვრთნელო შტაბი ქართველებს სერიოზულ მეტოქეებად რომ აღიქვამს, იქიდანაც ჩანს, რომ **პიერ-ლუიჯი ტამის** გუნდი თბილისში ოთხი დღის ჩამოსულია. აქამდე სტუმრები "ოლიმპიკისა" და "ამერის" მოედნებზე ვარჯიშობდნენ, გუშინ კი "მიხეილ მესხის" ახალი გაზონიც მოსინჯეს.

შვეიცარიელთა ვარჯიშზე ბევრს ვერაფერს გიამბობთ, რადგან იგი დაწყებიდან 15 წუთში მედიისთვის დაიხურა. არც მათთან გასაუბრების საშუალება მოგვეცა, თუმცა იმის დანახვა კი მოვასწარით, რომ საწვრთნელ პროცესს მთავარი მწვრთნელის ასისტენტები წარმართავდნენ, თავად ტამი ვარჯიშს მოედნის კიდიდან აკვირდებოდა, ცოტა ხნით კი მოლზეც წამოწვა.

შვეიცარიელთა 20-კაციანი შემადგენლობა ასეთია:

მეკარეები: **რომან ბურკი** (გრასჰოპერი), **სტივენ დიანა** (სიონი), **ბენჟამინ სეგრისტი** (ასტონ ვილა);

მცველები: **ფილიპ კოხი, რაფაელ კოხი** (ორივე – ციურიხი), **ფრანსუა აფოლტერი** (იანგ ბოიზი), **ფაბიო დაპრელია** (ბრეშია, იტალია), **როლფ ფელტშერი** (პარმა, იტალია), **თოლან შაქა** (ბაზელი);

ნახევარმცველები: **მარკო შონბახლერი, იოსიპ დრმიჩი** (ორივე – ციურიხი), **პაატმ კასამი** (ფულემი, ინგლისი), **ოლივერ ბუფი, მარკო ნასიმ ბენ ხალიფა** (ორივე - იანგ ბოიზი), **ჰარის სეფეროვიჩი** (ქსამაქსი), **შტეფან ცუბერი** (გრასჰოპერი);

თავდამსხმელები: **სებასტიან ვიუტრიხი** (ქსამაქსი), **იანიკ კამბერი** (ლოზანა), **ნზუზი ტოკო** (გრასჰოპერი), **ალან ვისი** (ლუცერნი).

შეგახსენებთ, შვეიცარიელებმა მიმდინარე შესარჩევ ციკლში ორი მატჩი ჩაატარეს – სტუმრად ესტონეთთან 0:0 ითამაშეს, შინ კი ხორვატია 4:0 გაანადგურეს. ამ შეხვედრაში გოლები ცუბერმა, ტოკომ, კასამიმ და სეფეროვიჩმა გაიტანეს. როგორც ხედავთ, ოთხივე მათგანი თბილისშია.

**ლევან ჯანეზაშვილი**

ფუტსალი

# საშინაო ელიტრაუნდი არ გამოგვივიდა

რამდენიმე დღის წინ თბილისის სპორტის სასახლეში უეფას ფუტსალის თასის საკვალიფიკაციო მატჩები გაიმართა. ოთხგუნდიან მინიტურნირში საქართველოს მრავალგზის ჩემპიონმა "იბერია სტარმა" დამავჯერებლად გაიმარჯვა და ქართველ ქომაგებში ფეხბურთის ამ სახეობისადმი ინტერესიც გააღვივა.

კლუბის მესვეურებს დიდი სურვილი ჰქონდათ, ქართული პუბლიკისთვის შემდეგ ეტაპზეც ეჩვენებინათ კარგი სანახაობა, მაგრამ, სამწუხაროდ, უეფამ სხვაგვარად განსაჯა და თბილისს ელიტრაუნდის ჩატარების უფლება არ მისცა. ეს პატივი ოთხმა ქალაქმა მოიპოვა – ლისაბონმა, ბარსელონამ, ტრევიზომ და მოსკოვმა.

ორიოდე სიტყვით ევროპის ფუტსალის თასის სისტემის შესახებ: საწყისი ეტაპების დაძლევის შემდეგ ელიტრაუნდამდე 16 კლუბი მივიდა, რომლებსაც უახლოეს სამშაბათს წილისყრა ოთხ ოთხგუნდა ჯგუფებად გადაანაწილებს. მატჩები 12-დან 20 ნოემბრამდე ზემოთ ნახსენებ ოთხ ქალაქში გაიმართება. ბუნებრივია, წილისყრა იმგვარად მოეწყობა, რომ ლისაბონის "სპორტინგი", "ბარსელონა", ტრევიზოს "მარკა" და მოსკოვის "დინამო" სხვადასხვა ჯგუფში მოხვდნენ.

ელიტრაუნდის ჯგუფების გამარჯვებულები კი ტრადიციულ "ოთხთა ფინალში" გაითამაშებენ ტიტულს. შეგახსენებთ, შარშან "იბერია სტარს" ელიტრაუნდის დაძლევამდე და "ოთხთა ფინალამდე" სულ მცირედი დააკლდა.

**პირველ კალათში ოთხი კლუბია განთესილი, რომლებიც პირდაპირ ელიტრაუნდში დაუშვეს:**

**მონტესილვანო (იტალია)**
**სპორტინგი (პორტუგალია)**
**ძაირათი (ყაზახეთი)**
**არაზი (აზერბაიჯანი)**

**წინა ეტაპის გამარჯვებულები:**

**ეინდჰოვენი (ჰოლანდია)**
**ბარსელონა (ესპანეთი)**
**იბერია სტარი (საქართველო)**
**შატელინო (ბელგია)**
**მარკა (იტალია)**
**ეკონომაცი (სერბეთი)**

**წინა ეტაპის მეორეადგილოსნები:**

**დინამო (რუსეთი)**
**დიორი (უნგრეთი)**
**სლოვ მატიკი (სლოვენია)**
**ხრუდიი (ჩეხეთი)**
**ტრირგუ მურეში (რუმინეთი)**
**ურაგანი (უკრაინა)**

ორი ჯგუფი ასე კომპლექტდება: განთესილი, პირველადგილოსანი, 2 მეორეადგილოსანი;

ორი ჯგუფი კი ასეთი იქნება: განთესილი, 2 პირველადგილოსანი, მეორეადგილოსანი.

**ლევან ჯანეზაშვილი**

საქართველოს ჩემპიონატი. I ლიგა

**A ზონა. 6 ოქტომბერი**

| | |
|---|---|
| გათუმი-მერცხალი (ოზურგეთი) | 3:0 |
| ჩხერიმელა (ხარაგ.)-მესხეთი (ახალ) | 3:1 |
| სტუ (თბილისი)-მეშახტე (ტყიბული) | 4:0 |
| სამტრედია-ჭიათურა | 2:2 |
| ლოკომ. (თბ.)-კოლხეთი (ხობი) | 0:2 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. გათუმი | 8 | 6 | 1 | 1 | 13-5 | 19 |
| 2. ჩხერიმელა | 8 | 5 | 2 | 1 | 12-8 | 17 |
| 3. სტუ | 7 | 4 | 2 | 1 | 17-11 | 14 |
| 4. მერცხალი | 7 | 4 | 2 | 1 | 10-8 | 14 |
| 5. ჭიათურა | 7 | 3 | 2 | 2 | 9-6 | 11 |
| 6. კოლხეთი (ხ) | 8 | 2 | 2 | 4 | 8-11 | 8 |
| 7. მესხეთი | 7 | 1 | 1 | 5 | 3-9 | 4 |
| 8. მეშახტე | 7 | 1 | 1 | 5 | 3-9 | 4 |
| 9. სამტრედია | 7 | 0 | 3 | 4 | 5-10 | 3 |
| 10. ლოკომოტივი | 4 | 0 | 2 | 2 | 2-5 | 2 |

**B ზონა. 5 ოქტომბერი**

| | |
|---|---|
| ჩიხურა (საჩხერე)-გურია (ლანჩხუთი) | 2:1 |
| იმერეთი (ხონი)-ზოოვეტი (თბილისი) | 5:1 |
| აეტი (სოხუმი)-ნ. დინამოელი (თბ.) | 0:4 |
| სამგურალი (წყალტ.)-ადელი (გათუმი) | 5:1 |
| სძური (წალენჯიხა)-სულორი (ვანი) | 3:0 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ჩიხურა | 8 | 7 | 1 | 0 | 19-2 | 22 |
| 2. გურია | 8 | 5 | 2 | 1 | 22-8 | 17 |
| 3. ნ.დინამოელი | 8 | 5 | 1 | 2 | 19-6 | 16 |
| 4. იმერეთი | 8 | 4 | 1 | 3 | 12-10 | 13 |
| 5. ზოოვეტი | 8 | 4 | 0 | 4 | 10-16 | 12 |
| 6. სძური | 8 | 3 | 1 | 4 | 9-13 | 10 |
| 7. სამგურალი | 8 | 2 | 4 | 2 | 10-7 | 10 |
| 8. ადელი | 8 | 2 | 1 | 5 | 9-15 | 7 |
| 9. სულორი | 8 | 1 | 1 | 6 | 2-21 | 4 |
| 10. აეტი | 8 | 1 | 0 | 7 | 4-18 | 3 |

● დაპირისპირება



კარლოს ტევესი

# ტევესის ნათქვამი ჰერ თარგმნეს

27 წლის არგენტინელი თავდამსხმელის, **კარლოს ტევესის** აგენტი ამტკიცებს, რომ მისი კლიენტი არ გაფიცულა და ტყუილად სჯიან. მისი აზრით, საქმე გაუგებრობასთან გვაქვს. შეგახსენებთ პრობლემის არსს: გასული კვირის სამშაბათს, მიუნხენში „ბაიერნსა“ და „მანჩესტერ სიტის“ შორის გამართული ჩემპიონთა ლიგის შეხვედრის მეორე ტაიმში, „სიტის“ მწვრთნელმა **რობერტო მანჩინიმ** ტევესს გახურება და მოედანზე შესვლა მოსთხოვა, ფეხბურთელმა კი უარი უთხრა. თამაში რომ დამთავრდა, ტევესთან ტელეჟურნალისტები მივიდნენ, კომენტარი სთხოვეს. აქ დავძენთ, რომ ფორვარდმა ინგლისური არ იცის და ინტერვიუებს ესპანურად აძლევს, ასე რომ, მის სიტყვებს თარგმნიან. „ალიანს არენაზეც“ ტევესის კომენტარს თარჯიმანი თარგმნიდა. არგენტინელის იმდღევანდელი „ცხელ-ხცელი“ კომენტარით ის გამოდიოდა, რომ მან მწვრთნელს მართლაც პროტესტი თუ გაფიცვა გამოუცხადა, თუმცა ზემოხსენებული აგენტი, ყველასთვის ცნობილი ბრაზილიელი **კია ჯურაბჩიანი** ამტკიცებს, რომ მან ჩანაწერი მოისმინა და თავად დარწმუნდა, რომ ტევესი გაფიცვას არ ადასტურებს.

ჯურაბჩიანის მიხედვით ტევესმა ასეთი რამ თქვა: *„მე მოედანზე იმიტომ არ გავედი, რომ თავს ცუდად ვგრძნობდი. ემოციურად მართლაც მძიმე დღეში ვიყავი და ვიფიქრე, რომ ჯობდა სკამზე დავრჩენილიყავი. ფსიქოლოგიურად ასეთი მოუმზადებელი ფეხბურთელის მოედანზე შესვლა წამგებიანია“.*

ტევესის ამ ნათქვამს თარგმნიდა „მანჩესტერ სიტის“ თანამშრომელი **პედრო მარკესი**, რომელიც ჩვეულებრივ არგენტინელის კომენტარებს არ თარგმნის, მაგრამ იმ დღეს ფეხბურთელს აზრის გამოხატვაში დაეხმარა. ჯურაბჩიანმა ისტლენდელებს გაღმა დასდო ბრალი:

*„თუ პროფესიონალი თარჯიმანი არ გყავთ, თქვენი პრობლემაა. ინტერვიუმ მთლიანად შეცდომებით ჩაიარა. კარლოსს ორი კითხვა დაუსვეს და მისი პასუხი ორივე შემთხვევაში არასწორად თარგმნეს“.*

შემდეგ, ჯურაბჩიანმა მანჩინი გააკრიტიკა, იტალიელს სტილი დაუწუნა. მან „სიტის“ თავკაცის მეთოდები **არსენ ვენგერისა** და **ჰარი რედნაპის** მეთოდებს შეადარა. ბრაზილიელი ბიზნესმენის აზრით, ტევესს იმაზე უარესი არაფერი გაუკეთებია, რაც ყოფილმა არსენალელებმა **სამირ ნასრიმ** და **სესკ ფაბრეგასმა**, აგრეთვე „ტოტენჰემის“ ნახევარმცველმა **ლუკა მოდრიჩმა** გააკეთეს. ირანში დაბადებულმა და საზღვარგარეთ შაჰის განდევნის შემდეგ გადასახლებულმა, ინგლისურად აღზრდილმა აგენტმა კერძოდ, თქვა:

*„რობერტოს თავისი სტილი აქვს და ეს სტილი, ვთქვათ, არსენ ვენგერის სტილისგან ძალიან განსხვავდება. ფეხბურთელების პროტესტებს მთელი ზაფხულის განმავლობაში ვადევნებდით თვალს. ვუყურებდით ფაბრეგასს, ნასრისა და მოდრიჩს, რომლებიც გუნდებთან ერთად მოგზაურობასა და თამაშზე უარს აცხადებდნენ, ასე რომ, საქმე ტევესის უზნეობასთან კი არა, ზოგადად თანამედროვე ფეხბურთში შექმნილ პრობლემასთან გვაქვს. სხვადასხვა კლუბები და მწვრთნელები ასეთ პრობლემებს სხვადასხვანაირად ებრძვიან და აგვარებენ. კარლოსი, მაგალითად, მიიჩნევს, რომ მას ვერდიქტი მანამდე გამოუტანეს, სანამ გაერკვეოდნენ, თუ რა მოხდა იმ დღეს, სათადარიგოთა სკამზე სინამდვილეში“.*

● ტოტენჰემ ჰოთსპური

# მოკეთე, რაფა!

„ტოტენჰემ ჰოთსპურის“ თავკაცმა, **ჰარი რედნაპმა** გადაკვრით თქვა, რომ რაკიღა **რაფაელ ვან დერ ვაარტმა** ენა არ გააჩუმა, იგი მის ძირითად შემადგენლობაში თამაშზე დაფიქრდება.

ვან დერ ვაარტი 28 წლის ჰოლანდიელი ვარსკვლავია, რომელმაც მწვრთნელი ჩრდილოლონდონური დერბის ანუ „ტოტენჰემისა“ და „არსენალის“ შეხვედრის შემდეგ გააკრიტიკა — ჩემთვის მოხერხებულ პოზიციაზე არ მათამაშა, უხერხულ დავალებს მაძლევდა და ისევ ნაადრევად შემცვალაო. შეგახსენებთ, რომ კვირას გამართული შეხვედრა „დეზების“ გამარჯვებით 2:1 დასრულდა და მოგებულთაგან პირველი გოლი სწორედ ვან დერ ვაარტმა გაიტანა. უკმაყოფილო ჰოლანდიელის პასუხად რედნაპმა თქვა:

*„დიახ, მართლაც პრობლემის წინაშე აღმოვჩნდით. გაირკვა, რომ რაფას არ შესწევს მეტოქის განაპირა მცველის გამოკიდების და მისთვის ხელის შეშლის უნარი. შესაბამისად, რაც უფრო ძლიერ გუნდს შევხვდებით, პრობლემაც მით უფრო დიდი იქნება. გასაგებია, რომ ვან დერ ვაარტს ყველაზე მეტად მოედნის შუაში, თავდამსხმელების უკან თამაში ეხერხება, მაგრამ ვაი, რომ ის მარტო არ არის. ამ პოზიციაზე თავს ჯარმაინ დეფოც შესანიშნავად გრძნობს, ის კი დღეისათვის შესანიშნავ ფორმაშია.*

*ბევრი რომ არ გავაგრძელოთ, ვინ რომელ პოზიციაზე ითამაშებს და საერთოდ, ითამაშებს თუ არა, ჩემი გადასაწყვეტია. რაკიღა რაფას ფლანგზე თამაში არ უნდა, გამოდის, რომ დეფოსა და ვან დერ ვაარტს შორის უნდა ავარჩიო“.*

ზოგადად, რედნაპსა და 8 მილიონ ფუნტად ნაყიდ ვან დერ ვაარტს შორის რთული ურთიერთობა ჩამოყალიბდა. ჰოლანდიელი ძალიან ნიჭიერი, მაგრამ ურთიერთობაში რთული ადამიანია. ზემოთ მოგახსენეთ, რომ ვან დერ ვაარტს

ჰარი რედნაპი

„არსენალთან“ შეხვედრაში“ (და არა მარტო ამ დღეს) მისი ნაადრევი შეცვლა არ ესიამოვნა, მწვრთნელმა კი ეს მისი ტრავმით ახსნა — არ მინდა ორთავა კუნთის ტრავმის შემდეგ რაფა რისკის წინაშე დავაყენო და მოედანს ვარიდებო. მოგეხსენებათ, ფეხბურთელმა ამასთან დაკავშირებითაც გააკეთა კომენტარი:

*„დარწმუნებული ვარ, რომ 90 წუთის განმავლობაში სრული დატვირთვით თამაში შემიძლია, მაგრამ თუ რედნაპი განაპირა მცველის დევნას დამავალებს, ჩემს ფეხბურთს ველარ ვითამაშებ“* — თქვა მან.

ცნობისათვის: ვან დერ ვაარტს მოედანზე 90 წუთი 22 აგვისტოს შემდეგ აღარ გაუტარებია. ბოლოს „მანჩესტერ იუნაიტედთან“ 3:0 დამარცხების დროს დაყო ბოლომდე.

რედნაპი: *„ვან დერ ვაარტი შესანიშნავი ფეხბურთელია, ძალიან ნიჭიერი, მაგრამ თუკი კოლექტივში ხარ და იქ კონკრეტული დავალების შესრულებაა საჭირო, კეთილი უნდა იყო ინებო და გააკეთო“.*

და, რაკიღა „დეზების“ საქმეებზე ვლაპარაკობთ, მოკლედ სხვებსაც გადავწვდეთ: 29 წლის რუსი თავდამსხმელი **რომან პავლიუჩენკო** იანვრის სატრანსფერო ბაზარს ელოდება, რათა „ტოტენჰემიდან“ წავიდეს. მისი გაგება შეიძლება — პავლიუჩენკო ამ სეზონში მხოლოდ 16 წუთით შეუშვეს მოედანზე. რუსმა თქვა:

*„ფიზიკურად შესანიშნავად ვარ მომზადებული, მაგრამ სათამაშო პრაქტიკა მაკლია. ფეხბურთის თამაში ძალიან მომენატრა და ამიტომაც ველოდები იანვარს. „ტოტენჰემი“ მიყვარს, ის ჩემთვის მეორე ოჯახივით არის, მაგრამ თუ არაფერი შეიცვლება, ვთხოვ, რომ სადმე გამაქირავონ. თანახმა ვარ ნებისმიერ გუნდზე, სადაც რეგულარულად თამაშის საშუალებას მომცემენ“.*

● ლივერპული

# ფრთხილად, იუნაიტედ!

**სტიუარტ დაუნინგმა** „მანჩესტერ იუნაიტედს“ შეუთვალა, „ლივერპულის“ ჩრდილიდან გამოსვლა მხოლოდ და მხოლოდ დროის ამბავიაო. მართალია, მერსისაიდელები ჯერ არ ტოვებენ იმ გუნდის შთაბეჭდილებას, რომელიც პრემიერლიგის ჩემპიონობისთვის იბრძოლებს. როგორც „ენფილდ როუდზე“ „ასტონ ვილადან“ გადასული 27 წლის დაუნინგი ამბობს, გუნდმა უკვე გამოაჩინა, რომ დიდი ფეხბურთის თამაში შეუძლია. ცნობისათვის: ბირმინგემელებმა დაუნინგის სანაცვლოდ 20 მილიონი ფუნტი მიიღეს.

ჰაფბეკმა თქვა: *„ჩვენ ყოველ შეხვედრაში ბევრ საგოლე მომენტს ვქმნით და ვფიქრობ, შორს არ არის ის დღე, როდესაც მათ რეალიზაციასაც მოვახერხებთ. სულ მალე ჩვენთან რომელიმე ძლიერი გუნდი დამარცხდება. „ვულვერჰემპტონთან“ შეხვედრაში კარგად გამოჩნდა, რომ ჩვენ უფრო ცივსისხლიანები უნდა გავხდეთ და მეტოქეები წელში გავტეხოთ. ამდენი ხელსაყრელი მომენტის ხელიდან გაშვება არ შეიძლება. იმ დღეს ჩვენ იმაზე მეტი ვინერვიულეთ, ვიდრე უნდა გვენერვიულა. საჭირო იყო მეტი გოლის გატანა და სალაპარაკო აღარაფერი იქნებოდა. მეორე მხრივ კი ძალიან მიხარია, როდესაც ვხედავ, რომ ფანები ჩვენს მონდომებას აფასებენ. გულშემატკივარს სანახაობა, შეტევა და საგოლე ეპიზოდები უნდა. სასიხარულოა, როდესაც თავად გრძნობ, რომ მათ ზუსტად იმას სთავაზობ, რასაც გიკვეთავენ. ვფიქრობ, ეს განსაკუთრებით შინ, „ენფილდ როუდზე“ გამოგვდის“.*

აღსანიშნავია, რომ დაუნინგს ახალი გუნდის შემადგენლობაში ჯერ გოლი არ გაუტანია. ის ამბობს, რომ ამას სიამოვნებით გააკეთებს „მანჩესტერ იუნაიტედთან“ შეხვედრაში.

*„მოუთმენლად ველი იმ დღეს, როდესაც „ლივერპულის“ მაისურით პირველ გოლს გავიტან. ძალიან გამიხარდება, თუ ამას „მანჩესტერ იუნაიტედთან“ მოვახერხებ“* - დასძენს მოთამაშე, რომელმაც მანამდე, რვა წელინადი „მიდლსბროში“ გაატარა.

ინგლისის ჩემპიონი „ენფილდ როუდს“ უახლოეს, მე-8 ტურში, 15 ოქტომბერს სტუმრობს.

სტიუარტ დაუნინგი

● ნაკრები

# ინგლისი თავს იგყუებს

**ჯეიმი კარაგერი** თანამემამულეებს აფრთხილებს, რომ ნაკრების სათავეში მორიგი უცხოელის მოყვანა თავის კიდევ ერთხელ მოტყუება იქნება და მეტი არაფერი. მოგეხსენებათ, ინგლისელთა ეროვნული გუნდის თავკაცი, იტალიელი **ფაბიო კაპელო** ზაფხულზე, ევროპის ჩემპიონატის შემდეგ, თანამდებობას დატოვებს. მის შესაძლო შემცვლელთა შორის ფავორიტი „ტოტენჰემ ჰოთსპურის“ მწვრთნელი **ჰარი რედნაპია**, თუმცა ადგილობრივ სპეციალისტთა შორის სხვა სერიოზული კანდიდატებიც არიან. „ლივერპულის“ 33 წლის ვეტერანმა მცველმა კი ამ თემაზე ლაპარაკისას თქვა:

*„ფაბიო კაპელოს საწინააღმდეგო არაფერი მაქვს. 2010 წელს, მსოფლიოს ჩემპიონატზე გახლდით და ეს ადამიანი ასე თუ ისე გავიცანი, მაგრამ სანაკრებო ფეხბურთი სულ სხვა რამ არის. უცხოელი მწვრთნელის მოყვანა იგივეა, ერთ მშვენიერ დღეს რომ გამოაცხადო, მეკარე არ გვივარგაო და იტალიელებისგან ჯანლუიჯი ბუფონი ნამოიყვანო. ასე მოქცევა საკუთრივ სანაკრებო ფეხბურთის პრინციპების დარღვევაა. ჩვენი ნაკრების შემდეგი მწვრთნელი, რასაკვირველია, ინგლისელი უნდა იყოს.*

*მესმის, რომ ჩამორჩენილ საფეხბურთო ქვეყნებში, მაგალითად, სადმე აფრიკაში, განვითარების მიზნით უცხოეთიდან ჩაჰყავთ სპეციალისტები, მაგრამ ინგლისში, ასეთ განვითარებულ ქვეყანაში, საკუთარი კადრის ყოლა გვმართებს. მარტო იმიტომ, რომ სტივ მაკლარენს არ გაუმართლა, შეიძლება ინგლისელ მწვრთნელზე უარის თქმა?*

*ნამდვილად ვერ ვიტყვი, რომ კაპელოს ხელმძღვანელობით ჩვენთვის მსოფლიოს ჩემპიონატმა კარგად ჩაიარა. არადა, მაკლარენს სად ჰქონდა ისეთი აურა და სახელი, კაპელოს რომ ჰქონდა. აი, ყველა ინგლისურ კლუბს ინგლისელი მწვრთნელი რომ ჰყავდეს და რომელიმემ ჩამპიონთა ლიგაში გაიმარჯვოს, ადგილობრივი მწვრთნელების პრესტიჟი ერთიანად გაიზრდებოდა“.*

კარაგერს ინგლისის ნაკრებში 38 თამაში აქვს ჩატარებული, ძირითადად შვედი მწვრთნელის, **სვენ გორან ერიკსონის** ხელმძღვანელობით. დღეს „ლივერპულის“ ვეტერანი ამბობს, რომ პრემიერლიგის ყველა გუნდი დიდ შეცდომას უშვებს, როდესაც მწვრთნელად უცხოელი მოჰყავს.

*„აი, წლეულს, „ჩელსიმ“ ახალი მწვრთნელი დანიშნა, 33 წლის პორტუგალიელი კაცი. წლების წინ ამ თანამდებობას ვილაშ-ბოაშს კი არა, ვინმე დევიდ მოიესის მსგავს ადამიანს, ბრიტანელს ჩააბარებდნენ, ახლა კი ხომ ხედავთ. იტალიასა და ესპანეთში დღესაც თავიანთ კაცს დანიშნავდნენ, ინგლისში კი ასეთი რამ აღარ ხდება“.*

გვერდი მოამზადა
**ილია ბაგუნაშვილმა**



ფაბიო კაპელო

ეროვნული ბიბლიოთეკა

## უცხოური ფეხბურთი

● საინტერესო რეიტინგი

# ყველაზე საშიშები

**ბრიტანულმა** "დეილი რეკორდმა" მეტად საინტერესო რეიტინგი შეადგინა, სადაც დაწვრილებით აღწუსხა ის საშიში ტენდენციები, რაც ბოლოს წლების ფეხბურთში შეინიშნება. ტრავმატულობა ფეხბურთის მხოლოდ ერთი საშიში სახეა, სიღრმეში კი ბევრად მეტი რამ იმალება. გადავწყვიტეთ, რომ ჩვენი მკითხველისთვის საინტერესო იქნებოდა იმ გუნდებზე მოთხრობა, რომლის ფეხბურთელებს უწევდათ ან დღემდე უწევთ გარკვეულ რისკზე წასვლა ფეხბურთის თამაშის პარალელურად. შავ სიაში ერთბაშად ორი რუსული კლუბი მოხვდა თუ რატომ - ქვემოთ შეიტყობთ.

## 1. ანჟი (რუსეთი)

"ანჟის" მშობლიურ ქალაქ მახაჩყალაში ცხოვრება იმდენად საშიშია, რომ ფეხბურთელები იქ მხოლოდ სათამაშოდ ჩადიან. თამაშის დამთავრებისთანავე კი სტადიონიდან 1000 კმ-ში, მშვიდობიან ზონაში, მოსკოვში მიფრინავენ. მახაჩყალაში **სამუელ ეტო'ოს** პრეზენტაციის დღეს, ფეხბურთელისა, რომელიც კლუბის მფლობელმა **სულეიმან კერიმოვმა** მსოფლიოში ყველაზე მაღალანაზღაურებად მოთამაშედ აქცია, ქალაქში სროლების შედეგად 5 ადამიანი დაიღუპა. ძალადობისა და საომარი მოქმედებებით დატანჯული ჩეჩნეთის სიახლოვის გამო 2001 წელს "ანჟიმ" უეფას თასის თამაში სულაც ვარშავაში ჩაატარა.

## 2. ტერეპი (რუსეთი)

ლეგენდარული ჰოლანდიელი **რუუდ გულიტი** "ტერეკიდან" ცუდი შედეგების გამო გაუშვეს. პრემიერლიგის მორიგი ტურის მატჩამდე კი მწვრთნელს პირდაპირი ტექსტით განუცხადეს: თამაშს მოიგებ ან პრობლემები შეგექმნებაო. მუქარას კიდევ აიტანს ადამიანი, მაგრამ როცა ამ სიტყვების ავტორი **რამზან კადიროვია**, ჩეჩნეთის რესპუბლიკის ყოფილი პრეზიდენტის **ახმატ კადიროვის** შვილი, მაშინ... 35 წლის რამზანს საზოგადოების წინაშე არაერთხელ გაუცხადებია, რომ მისი მამის (დაიღუპა 2004 წლის მაისში) მკვლელებს უკვე გაუსწორდა: *"უკვე მოვკალი ის, ვინც უნდა მომეკლა, მათაც უკვე მიიღეს კუთვნილი სასჯელი, ვინც ჩვენს ზურგს უკან საქმეებს ხლართავდა"*. სურათის უკეთ დასახატად გამოცემა ამატებს, რომ რამზან კადიროვს სახლში "შინაურ ცხოველებად" ლომი და ვეფხვი ჰყავს, მეგობრობით კი სკანდალისტ მოკრივე **მაიკ ტაისონთან** მეგობრობს.

## 3. მარსელი (საფრანგეთი)

უკანასკნელი 8 თვის განმავლობაში "მარსელის" 8 ფეხბურთელი დააყარაღეს. ბრაზილიელმა **ვიტორინო ჰილტონმა** "მონპელიეში" გადაბარგება იმ მარტივი მიზეზის გამო გადაწყვიტა, რომ მისი სახლი ამ ქალაქში პირწმინდად "გაასუფთავეს", ამას გარდა ყაჩაღები სასტიკად გაუსწორდნენ ფეხბურთელს, მისი ოჯახის წევრები კი ტყვედ აიყვანეს. ამბობენ, რომ **ლუჩო გონსალესის** მთავარ პრობლემასაც ხმელთაშუა ზღვის პირას სწორედ კრიმინალები წარმოადგენენ. ის ეხვეწა და ემუდარა კლუბის მესაკუთრეებს, მისთვის თავისუფალი აგენტის სტატუსი მიენიჭებინათ მას მერე, რაც სახლში შეიარაღებული ადამიანები შეეჭრნენ და მასა და მის მეუღლეს მოკვლით ემუქრებოდნენ იმის მიუხედავად, რომ სახლში არსებული ძვირფასეულობა მათ ხელში იყო. მათ ფეხბურთელს წაართვეს ასევე საკრედიტო ბარათები და ძვირფასი ავტომობილი.

## 4. ტოგოს ნაკრები

2010 წელს ანგოლაში უცნობმა შეიარაღებულმა დაჯგუფებამ ის ავტობუსი დაცხრილა, სადაც აფრიკის თასზე მონაწილეობის მისაღებად მიმავალი ტოგოს ნაკრების ფეხბურთელები ისხდნენ. კალაშნიკოვის ტყვიებს მძღოლი **მარიო აჯოუა** ემსხვერპლა, მცველმა **სერჟ აკაკპომ** და მეკარე **კოჯოვი ობილალემ** კი მძიმე ჭრილობები მიიღეს. ხუთი ადამიანი მსუბუქად დაზიანდა, მათ შორის ნაკრების ექიმები და ჟურნალისტები. ნაკრების დაცვასა და თავდამსხმელებს შორის სროლა ნახევარი საათს გრძელდებოდა და ანგოლის პოლიცია ადგილზე მხოლოდ ამის მერე გამოცხადდა. მთელი ეს დრო ფეხბურთელები ავტობუსში სავარძლების ქვეშ იმალებოდნენ.

## 5. პორტუგეზა (ბრაზილია)

"პორტუგეზამ" შინაურ ჩემპიონატში "ვილი ნოვასთან" წააგო, რასაც მათ გასახდელში ოთხი ავტომატიანის შეჭრა მოჰყვა. თავდამსხმელებმა იქ მყოფებს გასაგებად "აუხსნეს", რომ თუკი მომავალშიც ასეთ ცუდ შედეგებს აჩვენებდნენ, დიდ უსიამოვნებებს გადაეყრებოდნენ.

## 6. რომა (იტალია)

"რომაში" შავკანიანი ფეხბურთელები თავს მთლად კომფორტულად ვერ გრძნობენ, რადგან მათზე თავდასხმა არაერთხელ მომხდარა. მაგალითად 26 წლის **აჰმედ ბადუსოს** უცნობები დახვდნენ, სასტიკად სცემეს და მანქანა ნაართვეს იმ მიზეზით, რომ კითხვაზე, წავიდოდა თუ არა კლუბიდან, უარით უპასუხა. **სტეფან ოკაკა** კი იმის გამო გაილახა, რომ მატჩის შემდეგ ავტოგრაფების გაცემაზე უარის თქვა.

## 7. ცრვენა ზვეზდა (ბელგრადი)

2008 წელს "ცრვენა ზვეზდას" გულშემატკივარს 10 წელი იმიტომ მიუსაჯეს, რომ სტადიონზე პოლიციელის მოკვლა სცადა. ბელგრადელი ფანების სინდისზეა ასევე "ტულუზის" გულშემატკივრის სიკვდილი, რომელიც სერბებმა ევროპის ლიგაზე "პატიზანისა" და "ტულუზის" მატჩის შემდეგ ჩაიგდეს ხელთ და სასტიკად გაუსწორდნენ. ყველაზე სისხლიანი დაპირისპირებ კი მათ 1990 წელს მოაწყვეს, როცა ზაგრების "დინამოსთან" "წითელი ვარსკვლავების" დაპირისპირებისას მასობრივი ჩხუბის დროს 60 ადამიანი დაშავდა.

## 8. ინდეპენდიენტე (არგენტინა)

არგენტინელმა **მატიას ალმეიდამ** "ინდეპენდიენტესთან" კონტრაქტი გააფორმა და რამდენიმე დღეში ევროპაში გაიქცა. მიზეზი გახდა ის, რომ მას პოლიციიდან აცნობეს, შენი ოჯახის წევრები კრიმინალებს მოსატაცებელთა სიაში (თავისთავად ეს ცნება უკვე მიუთითებს, რასთან გვაქვს საქმე) ჰყავთო. მატიასის თქმით, მას არ სურდა პოლიციის მუდმივი ზედამხედველობის ქვეშ ცხოვრება და შუქნიშანზე ყოველ გაჩერებაზე გულის ხეთქვა, რათა მისთვის ვინმეს რამე არ დაეშავებინა.

## 9. სელესიონ დე ყოროიყო (ბოლივია)

ფეხბურთელი, რომელიც ამ კლუბში თამაშს დათანხმდება, მზად უნდა იყოს, რომ სიცოცხლე ყოველდღიურად სასწორზე შეაგდოს. თანაც საფრთხეს კრიმინალები კი არ ქმნიან, არამედ ბუნება. კლუბის საწვრთნელი ბაზა ქალაქიდან 70 კმ-შია, მისკენ სავალ გზაზე კი ქვათა ცვენისა და მეწყრის გამო ყოველწლიურად საშუალოდ 100 ადამიანი იღუპება. "სიკვდილის გზა", სწორედ ასე შეარქვეს ადგილობრივმა მცხოვრებლებმა ამ გზას.

● ვეტერანი

# ჰაკან იაკინმა ნაკრებიდან წავიდა

34 წლის თავდამსხმელმა **ჰაკან იაკინმა** შვეიცარიის ნაკრებიდან წასვლა გადაწყვიტა. ამ გუნდის შემადგენლობაში მან სულ 87 თამაში ჩაატარა და 20 გოლი გაიტანა. ჰაკანმა ეროვნული გუნდის ღირსება 2004 და 2008 წლების ევროპის ჩემპიონატებზე დაიცვა, ის მონაწილეობდა ასევე 2006 და 2010 წლების მსოფლიოს ჩემპიონატებზეც. *"ნაკრების ახალგაზრდა წევრები თავის საქმეს მშვენივრად აკეთებენ. სწორედ ამიტომ არ მინდა, რომ ვინმეს გზაზე გადავუდგე,"* – განაცხადა "ლუცერნის" ფეხბურთელმა. შვეიცარიელთა დამრიგებელმა **ოტმარ ჰიტცფელდმა** ხაზი გაუსვა წლების განმავლობაში გუნდის წინაშე ჰაკანის მიერ გაწეულ ღვაწლს და აღნიშნა, რომ ის თავის საქმეს ყოველთვის მაღალ დონეზე აკეთებდა. უკანასკნელად იაკინმა ეროვნული გუნდის ღირსება ამა წლის 9 თებერვალს მალტასთან ამხანაგური მატჩისას (0:0) დაიცვა. შეგახსენებთ, რომ შვეიცარიის ნაკრების ღირსებას იცავდა მისი უფროსი ძმა **მურატ იაკინიც**, ვინც ნაკრებში 49 თამაში ჩაატარა.

საკლუბო დონეზე ჰაკანს სამშობლოში "ბაზელის", "გრასჰოპერსისა" და "იანგ ბოიზის" ღირსება დაუცავს. უთამაშია ასევე უცხოეთში, სადაც "შტუტგარტსა" და "გალათასარაიში" ირიცხებოდა. უკვე გადაწყვეტილია, რომ 2012 წლის 1-ელ ივლისიდან ჰაკანი "ბელინცონაში" გადავა, ვისთანაც მისი ასაკისთვის უჩვეულო 6-წლიანი კონტრაქტი აკავშირებს. თუმცა საქმე ის არის, რომ ის ჯერ მოქმედი ფეხბურთელი იქნება, კარიერის დასრულების შემდეგ კი კლუბის დირექტორატში დაიწყებს საქმიანობას.

შვეიცარიელებს დღეს საკმაოდ რთული შეხვედრა ელით უელსის ნაკრებთან (სადაც მხოლოდ მოგება აძლევთ ხელს), შემდეგ კი ისინი შინ ჩერნოგორიელებს იღებენ, რომლებმაც თავის მხრივ შინ ინგლისს ვერ უნდა მოუგონ. ამ შემთხვევაში ბაზელში გასამართავი დაპირისპირება უდიდეს მნიშვნელობას შეიძენს.

ჰაკან იაკინი

● ამბები

## ნაცნობი სახე ჰსვ-ში

**ჰოლანდიური** ფეხბურთის ვეტერანმა **იან ვინეგაორ ოფ ჰესელინკმა** შესაძლოა კარიერა "ეინდჰოვენში" განაგრძოს. 32 წლის ფეხბურთელი ამჟამად თავისუფალი აგენტია და რამდენიმე დღეა, სწორედ ფილიპსელთა გვერდით ვარჯიშობს. აღსანიშნავია, რომ თავდაპირველად ის ძირითად გუნდთან ერთად იღებდა დატვირთვებს, მაგრამ რაკილა დიდი ხნის უთამაშებელია, ურჩიეს, დუბლებთან ერთად მომზადებულიყო. თუკი მხარეთა შორის გარიგება შედგა, ფეხბურთელს განაცხადში იანვარში შეიყვანენ. კლუბის წარმომადგენლები აცხადებენ, რომ ჯერჯერობით ლაპარაკი კონტრაქტზე არ ყოფილა, მაგრამ ეს ჯერჯერობით. ეჭვი არ არის, რომ იან ვინეგაორი კონდიციებს მალე აღიდგენს და გუნდისთვის სასარგებლო საქმეების კეთებას მალე შეძლებს.

## არნაუტოვიჩი დასაჯეს

"ვერდერის" თავდამსხმელი **მარკო არნაუტოვიჩი** "ჰანოვერთან" შეხვედრაში (2:3) ჩადენილი წესების დარღვევის გამო 3-თამაშიან დისკვალიფიკაციას მოიხდის. შეგახსენებთ, რომ ავსტრიელმა მატჩის 78-ე წუთზე მასპინძელთა შუახაზელ **სერჟიუ პინტუს** წინასწარი განზრახვით ფეხი ისე ძლიერად ჩაარტყა, რომ კინაღამ კოჭი მოსტეხა. მატჩის არბიტრმა დაინახა რა ეს ყველაფერი, მარკოს პირდაპირ წითელი ბარათი აუფრიალა. "ვერდერს" გადაწყვეტილების გასაჩივრების უფლება ჯერ კიდევ აქვს.

## ფენერბაჰჩე შეიძლება უმასპირესად დაისაჯოს

**თუკი** თურქეთის ფეხბურთის ფედერაცია "ფენერბაჰჩეს" წინააღმდეგ გარიგებულ თამაშებში მონაწილეობისთვის წაყენებული ბრალდებების მტკიცებულებებს სრულად გაიზიარებს, სტამბოლურ გრანდს შეიძლება უმკაცრესი სასჯელი დაეკისროს, ლაპარაკია კლუბის სამწლიან დისკვალიფიკაციაზე. "ფენერის" ხელმძღვანელობას აქვს შანსი, მსგავს კატასტროფას საკუთარი ნებით ასცდეს და მხოლოდ ერთწლიან დისკვალიფიკაციას დასჯერდეს. საამისოდ მათ ფედერაციას დეტალური ინფორმაცია უნდა მიანოდონ მათ მიერ დადებულ კორუფციულ გარიგებებთან დაკავშირებით. ფედერაცია ამ სკანდალის გამოძიების დაჩქარებას არ გეგმავს. პირიქით, ისინი ფიქრობენ, რომ ეს პროცესი მაისზე ადრე არ დამთავრდება და საბოლოო გადაწყვეტილებაც კლუბებთან დაკავშირებით ამ დროისთვის გახდება ცნობილი. აუდიტორულმა კომპანიებმა უკვე დაითვალეს, რა შეიძლება დაუჯდეს "ფენერბაჰჩეს" სამწლიანი დისკვალიფიკაცია - რიცხვი კოლოსალურია - 133 მილიონი ევრო.

## ტვენტეს ლიდერი უბრუნდება

**ჰოლანდიური** "დე ტელეგრაააფის" ცნობით, "ტვენტეს" შეტევების ერთ-ერთი ლიდერი, 22 წლის ბელგიელი **ნასერ შადლი** უბრუნდება. ფეხბურთელმა ტრავმა სამი თვის წინ მიიღო და მას მერე მინდორს არ გაჰკარებია. მისდა საბედნიეროდ, მკურნალობა იმაზე სწრაფად წარიმართა, ვიდრე ამას ექიმები ვარაუდობდნენ და შადლიმ ორშაბათს პსვ-ს დუბლშემადგენლობასთან 45 წუთი ითამაშა კიდეც და პრობლემა არ შეჰქმნია. **კო ადრიაანსე** სანაკრებო თამაშებით გამოწვეული პაუზის შემდეგ ფეხბურთელის ძირითადი გუნდის განაცხადში შეყვანას გეგმავს.

## მანო ხიმენესი გადადგა

**გუშინ** ათენის აეკ-ის ესპანელი მთავარი მწვრთნელი **მანოლო ხიმენესი** დაკავებული თანამდებობიდან გადადგა. ამის მიზეზი კლუბის წარუმატებლობები გახდა. მას შემცვლელი კლუბმა მალევე უპოვა - ლაპარაკია აეკ-ის ფეხბურთლ **ნიკოს კოსტენოღლუზე**. ბერძენმა ჟურნალისტებმა გაიხსენეს, რომ 2008 წელს **ლორენსო სერა ფერერის** გადადგომის შემდეგ კოსტენოღლუ მოთამაშე-მწვრთნელის ფუნქციებს უკვე ასრულებდა.

## უეფა ბულგარეთს ემუქრება

**ინგლისი-ბულგარეთის** მატჩისას (4:0) გულშემატკივართა თავხედური მოქმედებების გამო (90 წუთის განმავლობაში შავკანიან ინგლისელებს ისინი შეურაცხყოფას აყენებდნენ) უეფამ შესაძლოა ბულგარეთის ფედერაცია დასაჯოს და ცარიელი ტრიბუნების წინაშე თამაში დაავალოს ან დიდი ჯარიმა დააკისროს. ინგლისელთა მიერ საკონტროლო-სადისციპლინო კომიტეტში შეტანილი განცხადების განხილვა ამ დღეებში მოხდება. აქვე გეტყვით, რომ ბულგარელებმა ევროპის ჩემპიონატზე გასვლის ყოველგვარი შანსი დაკარგეს.

გვერდი მოამზადა
**ლევან გიგილაშვილმა**

● იტალიის ნაკრები

# აძურას ტრავმები დაერია

## პრანდელის მოულოდნელი გადაწყვეტილება

პაბლო ოსვალდო

იტალიის ნაკრები ევროპის 2012 წლის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპის დასკვნითი ორი შეხვედრისთვის ემზადება, რომელიც სერბეთის და ჩრდილოეთ ირლანდიის ეროვნულ გუნდებთან უნდა გამართოს. მართალია, „სკუადრა აძურამ" უკვე მოიპოვა ევროფორუმის საგზური, მაგრამ იტალიაში ეს შეხვედრები მაინც კოლოსალურ ინტერესს იწვევს. მას შემდეგ, რაც **ჩეზარე პრანდელიმ** შემადგენლობა დაასახელა, ბევრი რამე შეიცვალა და ჩვენც მივუბრუნდეთ „აძურას" სამზადისის თემას.

ჩეზარე პრანდელის ტრავმების გამო რამდენიმე ფეხბურთელი გამოაკლდა, რომელთა შორის ერთი **დომენიკო კრიშიტო** გახლავთ. „ზენიტის" განაპირა მცველი ერთ-ერთი სანაკრებო ვარჯიშისას დაშავდა და შეკრებას ნაადრევად გამოაკლდა. ამის შესახებ „გაძეტა დელო სპორტს" თავად ფეხბურთელმა განუცხადა:

*„საწყენია, რომ ეროვნულ ნაკრებს ვარჯიშზე მიღებული ტრავმის გამო გამოვაკლდი, მაგრამ დროს უკან ვეღარ დავაბრუნებთ და სამედიცინო შტაბის გადაწყვეტილებას უყოყმანოდ დავმორჩილდი. ჩემი მთავარი მიზანი „სკუადრა აძურასთან" ერთად ევროპის ჩემპიონატზე ასპარეზობაა. გამომდინარე აქედან, თითოეული შეხვედრა ნაკრების მაისურით უდიდეს სიამოვნებას მანიჭებს. მიუხედავად იმისა, რომ საბურნირო მოტივაცია აღარ გვაქვს, სერბეთთან და ჩრდილოეთ ირლანდიასთან პაექრობას მოუთმენლად ველოდებოდი".*

მოკლედ, კრიშიტო ნაკრებს გამოაკლდა და მარცხენა ფრთა **ჯორჯო კიელინის** გადააბარა. დიახ, კიელინის, რადგან პრანდელის თქმით, დომენიკოს შემცვლელს არ გამოიძახებს და დაცვაში უკვე შერჩეულ მოთამაშეებს დაეყრდნობა. გამომდინარე იქიდან, რომ განაცხადში მხოლოდ კრიშიტო გახლდათ ნომინალური მარცხენა მცველი, მისი ადგილის დაკავება სავარაუდოდ სწორედ კიელინის მოუწევს, რომელიც ბოლო პერიოდში სულ უფრო და უფრო ხშირად ასპარეზობს ფრთაზე როგორც ნაკრებში, ისე კლუბში.

პრობლემები აქვს კიდევ ერთ განაპირა მცველს, **ფედერიკო ბალცარეტის**, რომელიც საპირისპირო ფრთაზე, მარჯვნივ ასპარეზობს. მას მსუბუქი ტრავმა აქვს, თუმცა თამაშებამდე იმდენად მცირე დროა დარჩენილი, რომ დიდია შანსი, მომჯობინება ვერ მოასწროს. პრანდელიმ მისი შემცვლელის გამოძახებაც იუარა, რადგან გუნდში **მატია კასანი** და **კრისტიან მაჯო** ეყოლება - ორივე მათგანი სწორედ ამ ამპლუის მოთამაშეა.

პრანდელის ორი თავდამსხმელი გამოაკლდა: **მარიო ბალოტელი** „მანჩესტერ სიტიდან" და **ჯამპაოლო პაცინი** „ინტერიდან". აი აქ კი სენიორ ჩეზარე ჩაფიქრდა და დანაკლისის ნაწილობრივ შევსების გადაწყვეტილება მიიღო. პრანდელის თქმით, ხვალ ნაკრებს ერთი თავდამსხმელი შეურთდება, რომლის ვინაობაც მისი ბაზაზე მისვლასთან ერთად გაცხადდება. იტალიელ ჟურნალისტებს ვერაფერს გამოაპარებ და მალევე გაირკვა, რომ ის ერთი ფორვარდი **პაბლო ოსვალდო** გახლავთ, „რომას" ახალწვეული, რომელმაც სერია A-ს საწყის ხუთ ტურში სამი გოლის გატანა მოახერხა. რაც მთავარია, ოსვალდო არგენტინელი გახლავთ და აქამდე, არასდროს უთქვამს, იტალიის ნაკრებში მსურს თამაშიო. უბრალოდ, მას ორმაგი მოქალაქეობა აქვს, იტალიურ პასპორტსაც ფლობს და თავისუფლად შეუძლია „სკუადრა აძურას" ამუნიცია მოირგოს.

აქვე ვთქვათ, რომ 25 წლის თავდამსხმელმა აპენინური კარიერა 2006 წელს „ატალანტაში" დაიწყო, თუმცა იქ მხოლოდ სამ შეხვედრაში მიიღო მონაწილეობა და ერთი გოლი გაიტანა; შემდეგ „ლეჩეში" გადავიდა, სადაც ერთი წელი დაჰყო, 31 მატჩი გამართა და რვა შედეგიანი დარტყმა მიითვალა აქტივში, რასაც მისი „ფიორენტინაში" გადაბარგება მოჰყვა; ფლორენციაში პაბლომ ორი სეზონი დაჰყო, მხოლოდ 21 თამაში ჩაატარა და ხუთჯერ გამოიჩინა თავი; „ფიორენტინას" უკმაყოფილო მესვეურებმა პაბლო ერთი წლით „ბოლონიაში" გაუშვეს, 2010 წლიდან კი სულაც ლა ლიგაში, კერძოდ კი „ესპანიოლში" ამოყო თავი; ოსვალდო სერია A-ს **ლუის ენრიკეს** ინიციატივით დაუბრუნდა და დღეს, „რომას" ღირსებას იცავს - სწორედ დედაქალაქურ გუნდში წარმატებული ასპარეზობით მიიქცია პრანდელის ყურადღება.

ამასობაში, ოსვალდოს ნაკრეებში გამოძახების თემას **ჩეზარე პრანდელი** გამოეხმაურა და შემდეგი განაცხადა: *„სიმართლე გითხრათ, ძალიან მიკვირს პრანდელის ასეთი გადაწყვეტილება, რადგან კაცმა არ იცის, ოსვალდოს საერთოდ სურს თუ არა ნაკრებში თამაში. ამასთან, მან მხოლოდ ხუთი შეხვედრა ჩაატარა მაღალ დონეზე და ვფიქრობ, რომ ასე მალე და იოლად ფეხბურთელი არ უნდა იმსახურებდეს სანაკრებო გამოძახებას. ამასთან, რა საჭიროა კიდევ ერთი უცხოელის მიწვევა, როდესაც ძალიან ბევრი მაღალი კლასის ფორვარდი გვყავს, მაგალითად ალესანდრო მატრი, რომელიც გამოძახებულთა სიაში ვერ ამოვიკითხე. პრინციპში, პრანდელიმ თავიდანვე მიგვანიშნა, რომ უცხოელების გამოძახებაზე უარს არ იტყოდა, სწორედ ამ მოტივით იხმო ჯერ ტიაგო მოტა, შემდეგ კი კრისტიან ლედესმა. ვფიქრობ, საქმისადმი ასეთი მიდგომა ჩვენს ნაკრებს კარგს არაფერს მოუტანს".*

ბოლოს, აღვნიშნოთ, რომ იტალიის ნაკრები სერბეთს ბელგრადში 7 ოქტომბერს დაუპირისპირდება, ჩრდილოეთ ირლანდიის ეროვნულ გუნდს კი ოთხ დღეში, 11 ოქტომბერს უმასპინძლებს.

**ლაშა წიკლაური**

● ტრავმა

გორან პანდევი

## პანდევი ბუნილად ანერვიულეს

გასულ ორ ალბათ, „ინტერი"-"ნაპოლის" შეხვედრაში 28 წლის **გორან პანდევმა** ტრავმა მიიღო და მეორე ტაიმში შესაცვლელი შეიქნა. ექიმების პირველადი დასკვნა საკმაოდ მძიმე გახლდათ და მაკედონიელს მინიმუმ ორთვიან მკურნალობას უნინასწარმეტყველებდა. ბუნებრივია, ეს ამბავი მტკივნეულად მიიღეს ნეაპოლელმა გულშემატკივრებმა, **ვალტერ მაძარიმ** კი თავში ხელები წაიშინა და პრესასთან საუბარში თავის ბედს შესჩივლა. თუმცა, როგორც მოგვიანებით გაცხადდა, არც ისე ცუდად ყოფილა საქმე, როგორც ეს ერთი შეხედვით ჩანდა - მეორე და დეტალურმა გამოკვლევამ ცხადყო, რომ გორან პანდევს მსუბუქი ტრავმა ჰქონია და სულ რაღაც ორიოდე კვირაში მოედანს დაუბრუნდება. ამის შესახებ თავად ფეხბურთელმა განაცხადა:

*„ექიმები შეცდომაში შევიდნენ და თავდაპირველად გაცილებით მძიმე დიაგნოზი დასვეს, რამაც ძალიან ცუდ ხასიათზე დამაყენა. საბედნიეროდ, რეალობა ბევრად უფრო კარგი აღმოჩნდა; ნვრთნას უახლოეს დღეებში განვაახლებ, მოედანს კი დაახლოებით ორ კვირაში დავუბრუნდები".*

**ლაშა წიკლაური**

● მილანი

# ბერლუსკონიმ იბრა გააამხნევა

## და თმის შეჭრა ურჩია

ზლატან იბრაჰიმოვიჩი

რამდენიმე დღის წინ, „მილანის" პრეზიდენტი **სილვიო ბერლუსკონი** „მილანის" ვარჯიშს დაესწრო და წვრთნის შემდეგ ფეხბურთელებს სათითაოდ გაესაუბრა. ტრადიციულად, ბევრი იხუმრა და ჟურნალისტებს შთაბეჭდილებები გაუზიარა:

*„საჭიროდ ჩავთვალე, რომ ფეხბურთელებს პირადად შევხვედროდი და გამემხნევებინა ისინი, რადგან „იუვენტუსთან" განცდილი მარცხის შემდეგ გულგატეხილნი ჩანდნენ. მართალია, ჩვენ პრინციპულ მეტოქესთან წავაგეთ, მაგრამ ჯერ კიდევ სეზონის სტარტია და დაკარგული ქულების ასანაზღაურებლად საკმარისზე მეტი დრო გვექნება. „იუვესთან" ცუდად სულაც გვითამაშია, თუმცა მეორე ტაიმში დაღლა დაგვეტყო და ორი გოლი ამადაც გავუშვით. ეს ტრავმათა ეპიდემიის ბრალია, რომლის გამოც მასიმილიანო ალეგრის მოკლე სათადარიგო სკამი აქვს".*

იტალიელ ჟურნალისტებს ეჭვი გაუჩნდათ, რომ ბერლუსკონიმ „მილანელოზე" მისვლა 30 წლის **ზლატან იბრაჰიმოვიჩის** გულის ამაჩუყებელი კომენტარის გამო გადაწყვიტა. შეგახსენებთ, რომ შვედმა ფორვარდმა სინანულით აღნიშნა, სიბერე შემომეპარა და მუხლი ძველებურად აღარ მომდევსო. დონ სილვიომ ყველაზე მეტი დრო სწორედ ზლატანს დაუთმო და მას პირისპირ ესაუბრა - როგორც თავად ბერლუსკონიმ განაცხადა, გაამხნევა იბრაჰიმოვიჩი და საბრძოლველად განაწყო. ამასთან, ურჩია, რომ ვარცხნილობა შეიცვალოს და გულახდილად დასძინა, საშინლად გამოიყურებიო. შეგახსენებთ, რომ ბერლუსკონი ადრეც დაინტერესებულა გუნდის წევრების ვარცხნილობით, კერძოდ გასული სეზონის ზამთრის მოსამზადებელ ეტაპზე, როდესაც **მასიმილიანო ალეგრის** თმის შეჭრისკენ მოუწოდა. ბერლუსკონისთან შეხვედრის შესახებ იბრაჰიმოვიჩმაც ისაუბრა და შემდეგი განაცხადა:

*„ბერლუსკონი საოცარი ადამიანია, მოვიდა და მითხრა, რომ ფეხბურთისთვის თავის დანებებაზე ფიქრი ჯერ ძალიან ადრეა. დამისახელა ის ფეხბურთელები, რომლებიც 40 წელს მიტანებულნი მაინც უმაღლეს დონეზე ასპარეზობდნენ. რაც შეეხება ჩემს ვარცხნილობას, თმების შეჭრა მირჩია და პრინციპში ვეთანხმები კიდეც, მოკლე თმით გაცილებით უკეთ გამოვიყურები".*

ქოლესტერინის საზომი აპარატი
54 ლარი
175-
25-99 ლარი
შპს „კონტრასტი"
მის: ბორჯომის ქ. №4 ტ: 34 74 03; 899 19 60 55

● კვირეულის ფიგურანტები და მოვლენები

## მინდა ვიყო კაპიტანი და მინდა მხოლოდ ბარსა

„არსენალის" გოლკიპერმა **ვოიცეხ შჩესნიმ** განაცხადა, რომ უახლოეს მომავალში კლუბიდან წასვლას არ გეგმავს. მან ერთ-ერთ პოლონურ საიტს განუცხადა: *„მე ვერ დავპირდებით, რომ კარიერას „არსენალში" დავასრულებ, მაგრამ „მეთოფეებს" მხოლოდ იმ შემთხვევაში დავტოვებ, თუ „ბარსელონამ" შემომთავაზა მათთან გადასვლა. „არსენალიდან" ფულის გამო არასოდეს წავალ! მინდა, ამ გუნდის კაპიტანი გავხდე და დარნმუნებული ვარ, ამ პასუხისმგებლობას ადვილად გავართმევ თავს".*

## მიუწვდომელი ტონაურენტები

„ლივერპულის" თავდამსხმელმა **ლუის სუარესმა** თავისი გუნდის შანსები შეაფასა ინგლისის პრემიერლიგის ტიტულისთვის ბრძოლაში. შეგახსენებთ, რომ მერსისაიდელებს 1992 წლის მერე არ მოუგიათ ეროვნული ჩემპიონატი. ურუგვაელმა ფორვარდმა თქვა: *„ჩვენ არ ვაპირებთ უკან დახევას — პირიქით, ბოლომდე ვიბრძოლებთ, თუმცა ინგლისის ჩემპიონატის მოგება ნარმოუდგენლად რთულია. ორივე მანჩესტერული კლუბი და „ჩელსი" ჯერ-ჯერობით მიუწვდომელნი არიან ჩვენთვის. მიუხედავად ამისა, ჩვენ მოგება გვძალუძს, ამისათვის კი ყველა ღონეს ვიხმართ".*

## იოზილი მალე მესის გაუტოლდებაო

როგორც „რეალის" ფლეიმეიკერის **მესუთ იოზილის** მამა ამბობს, მისი შვილი მალე მადრიდული გრანდისთვის იმდენად მნიშვნელოვანი იქნება, როგორც ლიონელ მესია „ბარსელონასთვის". უფროსი იოზილი ამბობს: *„მესუთს ჯერ ბოლომდე არ გამოუვლენია თავისი შესაძლებლობები, თუმცა უზარმაზარი პოტენციალი აქვს. შეხედეთ, როგორ თამაშობს „ბარსა" - ათივე ფეხბურთელი გადართულია მესიზე. „რეალში" იოზილიც 10 ნომერია, თუმცა ის საშუალოდ 12-14 კილომეტრს დარბის ხოლმე. ის ბურთს ცენტრში, ანაც თავის ნახევარზე იღებს და შემდეგ გუნდის შეტევებს ანვითარებს — ამას კი დიდი ენერგია სჭირდება".*

## ესპირის მატჩი

კვირის მატჩი კვირას, „იუვენტუს არენაზე" გაიმართა, სადაც ადგილობრივმა „იუვენტუსმა" „მილანს" უმასპინძლა და დამსახურებულად მოუგო კიდეც — 2:0. ორივე გოლი შეხვედრის მიწურულს გავიდა, დუბლი შეასრულა **კლაუდიო მარკიზიომ**. მეორე გოლისას კი უნდა აღინიშნოს, რომ მეკარე **კრისტიან აბიატი** აშკარად შეცდა. საერთოდ, მთელი შეხვედრა „ბებერი ქალბატონი" დომინირებდა.

## ესპირის გმირი

კვირის გმირი **ფრენკ ლამპარდია**, რომელმაც პრემიერლიგის მეშვიდე ტურში „ბოლტონს" (5:1) სამი გოლი გაუტანა და სავარაუდოდ, ნელ-ნელა იბრუნებს ფორმას. შეგახსენებთ, იგი ინგლისელმა ჟურნალისტებმა კრიტიკის ქარ-ცეცხლში გაატარეს, ძველებურად ვეღარ ასპარეზობსო, თუმცა ბოლო ორ მატჩში ფრენკმა 4 გოლი გაიტანა და ყველას დაანახვა, რომ აფეთქებები კვლავ ძალუძს!

**გიორგი ფულარიანი**

# ევრო 2012. შესარჩევი მატჩების წინ

## A ჯგუფი

**დღეს**

| | |
|---|---|
| აზერბაიჯანი-ავსტრია | 20:00 |
| თურქეთი-გერმანია | 22:30 |
| ბელგია-ყაზახეთი | 22:45 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. გერმანია | 8 | 8 | 0 | 0 | 28-5 | 24 |
| 2. თურქეთი | 8 | 4 | 2 | 2 | 11-8 | 14 |
| 3. ბელგია | 8 | 3 | 3 | 2 | 16-11 | 12 |
| 4. ავსტრია | 8 | 2 | 2 | 4 | 12-16 | 8 |
| 5. აზერბაიჯანი | 8 | 2 | 1 | 5 | 9-21 | 7 |
| 6. ყაზახეთი | 8 | 1 | 0 | 7 | 5-20 | 3 |

## B ჯგუფი

**დღეს**

| | |
|---|---|
| სომხეთი-მაკედონია | 19:00 |
| სლოვაკეთი-რუსეთი | 22:15 |
| ანდორა-ირლანდია | 23:30 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. რუსეთი | 8 | 5 | 2 | 1 | 10-4 | 17 |
| 2. ირლანდია | 8 | 4 | 3 | 1 | 11-6 | 15 |
| 3. სომხეთი | 8 | 4 | 2 | 2 | 17-7 | 14 |
| 4. სლოვაკეთი | 8 | 4 | 2 | 2 | 6-8 | 14 |
| 5. მაკედონია | 8 | 2 | 1 | 5 | 6-9 | 7 |
| 6. ანდორა | 8 | 0 | 0 | 8 | 1-17 | 0 |

## C ჯგუფი

**დღეს**

| | |
|---|---|
| ჩრდ. ირლანდია-ესტონეთი | 22:45 |
| სერბეთი-იტალია | 22:45 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. იტალია | 8 | 7 | 1 | 0 | 16-1 | 22 |
| 2. სერბეთი | 8 | 4 | 2 | 2 | 12-10 | 14 |
| 3. ესტონეთი | 9 | 4 | 1 | 4 | 13-13 | 13 |
| 4. სლოვენია | 9 | 3 | 2 | 4 | 10-7 | 11 |
| 5. ჩრდ. ირლანდია | 8 | 2 | 3 | 3 | 8-8 | 9 |
| 6. ფარერები | 10 | 1 | 1 | 8 | 6-26 | 4 |

## D ჯგუფი

**დღეს**

| | |
|---|---|
| ბოსნია-ლუქსემბურგი | 22:00 |
| რუმინეთი-ბელარუსი | 22:30 |
| საფრანგეთი-ალბანეთი | 23:00 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. საფრანგეთი | 8 | 5 | 2 | 1 | 11-3 | 17 |
| 2. ბოსნია | 8 | 5 | 1 | 2 | 11-7 | 16 |
| 3. რუმინეთი | 8 | 3 | 3 | 2 | 10-6 | 12 |
| 4. ბელარუსი | 9 | 3 | 3 | 3 | 6-5 | 12 |
| 5. ალბანეთი | 8 | 2 | 2 | 4 | 6-10 | 8 |
| 6. ლუქსემბურგი | 9 | 1 | 1 | 7 | 3-16 | 4 |

## E ჯგუფი

**დღეს**

| | |
|---|---|
| ფინეთი-შვედეთი | 20:15 |
| ჰოლანდია-მოლდოვა | 22:30 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ჰოლანდია | 8 | 8 | 0 | 0 | 34-5 | 24 |
| 2. შვედეთი | 8 | 6 | 0 | 2 | 26-8 | 18 |
| 3. უნგრეთი | 9 | 6 | 0 | 3 | 22-14 | 18 |
| 4. ფინეთი | 8 | 3 | 0 | 5 | 15-14 | 9 |
| 5. მოლდოვა | 8 | 2 | 0 | 6 | 8-15 | 6 |
| 6. სან მარინო | 9 | 0 | 0 | 9 | 0-49 | 0 |

## F ჯგუფი

**დღეს**

| | |
|---|---|
| ლატვია-მალტა | 21:00 |
| საბერძნეთი-ხორვატია | 22:45 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ხორვატია | 8 | 6 | 1 | 1 | 16-5 | 19 |
| 2. საბერძნეთი | 8 | 5 | 3 | 0 | 10-4 | 18 |
| 3. ისრაელი | 9 | 4 | 1 | 4 | 11-11 | 13 |
| 4. საქართველო | 9 | 2 | 4 | 3 | 6-7 | 10 |
| 5. ლატვია | 8 | 2 | 2 | 4 | 7-10 | 8 |
| 6. მალტა | 8 | 0 | 1 | 7 | 4-17 | 1 |

## G ჯგუფი

**დღეს**

| | |
|---|---|
| უელსი-შვეიცარია | 22:45 |
| ჩრნოგორია-ინგლისი | 23:00 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ინგლისი | 7 | 5 | 2 | 0 | 15-3 | 17 |
| 2. ჩრნოგორია | 6 | 3 | 2 | 1 | 5-3 | 11 |
| 3. შვეიცარია | 6 | 2 | 2 | 2 | 10-8 | 8 |
| 4. ბულგარეთი | 7 | 1 | 2 | 4 | 3-12 | 5 |
| 5. უელსი | 6 | 1 | 0 | 5 | 3-10 | 3 |

## H ჯგუფი

**დღეს**

| | |
|---|---|
| პორტუგალია-ისლანდია | 00:00 |
| კვიპროსი-დანია | 22:30 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. პორტუგალია | 6 | 4 | 1 | 1 | 15-7 | 13 |
| 2. დანია | 6 | 4 | 1 | 1 | 9-4 | 13 |
| 3. ნორვეგია | 7 | 4 | 1 | 2 | 7-6 | 13 |
| 4. ისლანდია | 7 | 1 | 1 | 5 | 3-9 | 4 |
| 5. კვიპროსი | 6 | 0 | 2 | 4 | 5-13 | 2 |

## I ჯგუფი

**დღეს**

| | |
|---|---|
| ჩეხეთი-ესპანეთი | 22:45 |

**ხვალ**

| | |
|---|---|
| ლიხტენშტაინი-შოტლანდია | 21:30 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ესპანეთი | 6 | 6 | 0 | 0 | 21-5 | 18 |
| 2. ჩეხეთი | 6 | 3 | 1 | 2 | 8-5 | 10 |
| 3. შოტლანდია | 6 | 2 | 2 | 2 | 7-7 | 8 |
| 4. ლიტვა | 7 | 1 | 2 | 4 | 3-9 | 5 |
| 5. ლიხტენშტაინი | 7 | 1 | 1 | 5 | 3-16 | 4 |

**ბომბარდირები:**

**10** - კლაას-იან ჰუნტელაარი (ჰოლანდია).
**9** - მიროსლავ კლოზე (გერმანია).
**7** - მიკაელ ფორსელი (ფინეთი).
**6** - **რობინ ვან პერსი** (ჰოლანდია), **დავიდ ვილია** (ესპანეთი), **დერდეი რუდოლფი** (უნგრეთი).
**5** - **ტიმ მატავუი** (სლოვენია), **დირკ კუიტი** (ჰოლანდია), **ზლატან იბრაჰიმოვიჩი** (ჰოლანდია), **რობი კინი** (ირლანდია)
**4** – **ჯერდან შაჩირი** (შვეიცარია), **გევორგ ლაზარიანი** (სომხეთი), **ჰენრიკ მხითარიანი** (სომხეთი), **ადამ სალაი** (უნგრეთი), **მარიო გომესი** (გერმანია), **იოსი ბენაიუნი** (ისრაელი), **მარვინ ოგუნჯიმი** (ბელგია), **ნიკო კრანჩარი** (ხორვატია), **კასპერ ჰამალაინენი** (ფინეთი), **კრიშტიანო რონალდო** (პორტუგალია), **მარკო არნაუტოვიჩი** (ავსტრია), **არდა თურანი** (თურქეთი), **ანტონიო კასანო** (იტალია), **მესუთ იოზილი** (გერმანია).




ლურჯით ქვეყნები, რომელთაც მოიპოვეს ევროპის ჩემპიონატის საგზური; ცისფერით ქვეყნები, რომლებიც აგრძელებენ ბრძოლას; წითლით ქვეყნები, რომელთაც საგზურისთვის ბრძოლის შანსი უკვე დაკარგეს.

# როცა საქართველო ისვენებს

## 10 საგზური ჯერ ჯიდევ პატრონს ელის, 4 შეიძლება დღეს გაიცეს

თუ რატომ ისვენებს საქართველოს ნაკრები, რომელიც ლუწგუნდიან საკვალიფიკაციო ჯგუფშია (და, ნესით, უნდა თამაშობდეს), ცალკე თემაა და მეტად საგულისხმოც. ამ თემას გაზეთი უახლოეს დღეებში აუცილებლად დაუბრუნდება. ჩვენ კი ვიტყვით, რომ ევროპის ჩემპიონატის 16 საგზურიდან 6 უკვე განაწილებულია. ჰაერში 10 საგზურია, რომელთა მოპოვების შანსი 25 ქვეყანას აქვს და 19-ს (მათ შორის, საქართველოს) აღარ. საკვალიფიკაციო ჯგუფური ეტაპის დასრულებამდე ორი ტურიღა დარჩა, ერთი დღეს გაიმართება და ერთიც 11 ოქტომბერს. ამის შემდეგ ევრო-2012-ის ფინალური ეტაპის საგზური უკვე 12 ნაკრებს ექნება, 8 დარჩენილი პრეტენდენტი კი პლეი ოფში დარჩენილ 4 საგზურს გაინაწილებს და დაელოდება 2 დეკემბერს, როცა კიევში ევრო-2012-ის ფინალური ეტაპის კენჭისყრა გაიმართება.

მასპინძელი ქვეყნების გარდა პირველი სამშვიდობოს გერმანია გავიდა, რომელსაც იტალია და ესპანეთი მიჰყვნენ. ასევე გაირკვა, რომ მათემატიკურად არ არსებობს ვარიანტი, რომ ჰოლანდიამ ვერ დაიკავოს ყველაზე საუკეთესო მეორე ადგილი საკვალიფიკაციო ეტაპზე. ასე რომ, ჰოლანდიაც პოლონეთ-უკრაინაშია.

მოდი, ჯგუფებს მივყვეთ და ვნახოთ, სად, რომელ ნაკრებს რა შანსი აქვს ფინალურ ეტაპზე გასვლის.

» მე-9 გვერდზე

ინგლისს ქულა უნდა

# როცა საქართველო ისვენებს

### A ჯგუფი

აქ გერმანიის ნაკრები პირველია, ბრძოლა მიდის პლეი ოფის საგზურისთვის, კანდიდატი კი ორია: თურქეთი და ბელგია. თურქეთი წინაა 2 ქულით და პლეი ოფის საგზურსაც მოიპოვებს, თუ: 1. მოუგებს გერმანია და ბელგია ვერ აჯობებს ყაზახეთს, 2. ფრედ თამაშობენ გერმანიასთან და ბელგია წააგებს ყაზახეთთან.

### B ჯგუფი

რუსეთი ევროპის ჩემპიონატის საგზურს მოიპოვებს, თუ მოუგებს სლოვაკეთს და ირლანდია ვერ აჯობებს ანდორას. ეს ალბათ არ მოხდება, რადგან ძნელი წარმოსადგენია **ჯოვანი ტრაპატონის** გუნდს ქულები წაართვას. თუკი რუსეთის ნაკრები დაამარცხებს სლოვაკეთს, სულ მცირე, პლეი ოფის საგზურს გაინაღდებს. ამ შემთხვევაში სლავებმა, შესაძლოა, გარანტირებულ საუკეთესო მეორეადგილოსნობასაც გამოჰკრან ხელი. რუსეთის გარდა საგზურის მოპოვება ამავე ტურში არც ერთ ნაკრებს არ შეუძლია.

### C ჯგუფი

იტალიის ნაკრებს თავი ქუდში აქვს და აქ ბრძოლა პლეი ოფის საგზურისთვისაა, რომელსაც სერბეთის ნაკრები მოიპოვებს თუკი მოუგებს იტალიას, ან ფრეს ეთამაშება „სკუადრა აძურას“ და ესტონეთი ვერ მოუგებს ჩრდილოეთ ირლანდიას. სერბეთის გარდა, სხვას ამ ტურში პლეი ოფის საგზურის განაღდება არ შეუძლია.

### D ჯგუფი

საფრანგეთის ნაკრები შეიძლება დღესვე გახდეს ევრო-2012-ის საგზურის პატრონი. საამისოდ „მამლებმა“ ალბანეთი უნდა დაამარცხონ და ლუქსემბურგმა მოუგოს ბოსნიას. პლეი ოფის საგზურისთვის კი ალბანეთთან არწაგებაც საკმარისია, ან ფრანგთა ნაგების შემთხვევაში რუმინეთმა არ უნდა მოუგოს ბელარუსს. პლეი ოფის საგზურის მოპოვება ამ ტურში ბოსნიის ნაკრებსაც შეუძლია.

### E ჯგუფი

ჰოლანდიის ნაკრებმა ჯგუფიც რომ ვერ მოიგოს საგზური მაინც ხელთ აქვს, ჯგუფის მოსაგებად კი ფრეც ჰყოფნის მოლდოვასთან. შვედეთის ნაკრები პლეი ოფის საგზურს ინაღდებს, თუკი ფინეთს მოუგებს.

### F ჯგუფი

ჩვენი ჯგუფი: სადაც ბრძოლას მხოლოდ ორი ნაკრები: ხორვატია და საბერძნეთი აგრძელებს. პლეი ოფის საგზური მათ უკვე ხელთ აქვთ, თუმცა, თუკი ხორვატია საბერძნეთს ათენში მოუგებს, სლავები ევროპის ჩემპიონატზე ყოველგვარი პლეი ოფის გარეშე ითამაშებენ.

### G ჯგუფი

ინგლისის ნაკრების ამოცანა, ერთი შეხედვით, მარტივია - მთავარია, **კაპელოს** ბიჭებმა არ წააგონ ჩერნოგორიასთან. ისე, წაგების შემთხვევაშიც დიდი შანსია, რომ ინგლისმა საუკეთესო მეორეადგილოსნობა გაინაღდოს. თუკი ჩერნოგორიის ნაკრები დაამარცხებს ინგლისს და შვეიცარია ვერ მოუგებს უელსს, სლავები პლეი ოფში ითამაშებენ (შეიძლება ასეთი ვარიანტიც: ფრე ინგლისთან და უელსი უგებს შვეიცარიას).

### H ჯგუფი

პორტუგალია მოიპოვებს პლეი ოფის საგზურს, თუ მოუგებს ისლანდიას და კვიპროსი დაამარცხებს დანიას. დანია მოიპოვებს პლეი ოფის საგზურს, თუ მოუგებს კვიპროსს და ისლანდია ვერ მოუგებს პორტუგალიას.

### I ჯგუფი

ჩეხეთის ნაკრები მოიპოვებს პლეი ოფის საგზურს, თუ მოუგებს ესპანეთს და შოტლანდია ვერ მოუგებს ლიხტენშტაინს ან ფრედ ითამაშებენ ესპანელებთან და ლიხტენშტაინი მოუგებს შოტლანდიას (ფანტასტიკის სფეროდან).

არის კიდევ წვრილ-წვრილი ვარიანტები, რომლებზეც ყურადღების გამახვილება ჯერ არ ღირს, დაველოდოთ თამაშებს. როგორც ხედავთ, ყველაზე ახლოს მიზანთან ინგლისის ნაკრებია, რომელსაც სულ რაღაც ქულა ჰყოფნის. დღესვე შეიძლება საგზური მოიპოვონ რუსებმა, ხორვატებმა და ფრანგებმა.

ესპანეთის ნაკრების შეკრება, ამათ უკვე თავი ქუდში აქვთ

## ევრო-2012-ზე გასული გუნდები

1. **პოლონეთი** - თანამასპინძელი (გადაწყდა 2007 წლის 18 აპრილს)
2. **უკრაინა** - თანამასპინძელი (2007 წლის 18 აპრილს)
3. **გერმანია** - A ჯგუფის გამარჯვებული (2011 წლის 2 სექტემბერი)
4. **იტალია** - C ჯგუფის გამარჯვებული (6 სექტემბერი)
5. **ესპანეთი** - I ჯგუფის გამარჯვებული (6 სექტემბერი)
6. **ჰოლანდია** - სულ მცირე, საუკეთესო მეორეადგილოსანი (6 სექტემბერი)

გვერდები მოამზადა
**ნიკოლოზ ნეფარიძემ**

● თავისუფალი ჭიდაობა. კიევის ტურნირი

# ახალგაზრდებმა კიევი შეაჯამეს

მოგეხსენებათ, წინა უქმეებზე საქართველოს თავისუფალი სტილით მოჭიდავეთა ახალგაზრდულმა ნაკრებმა კიევში ნარმატებით ისაპარეზა ალექსეი დოვბუშის სახელობის 46-ე მემორიალში - 2-2 ოქრო-ვერცხლი და 1 ბრინჯაო მოიპოვა. ჩემპიონები **ბექა ბუჯიაშვილი** (50) და **გენო პეტრიაშვილი** (120) გახდნენ, **ალექსანდრე ამინაშვილი** (84) და **ომარ გუსოშვილი** (96) მეორეზე გავიდნენ, **გიორგი მეშვილდიშვილს** (96) კი ბრინჯაო ხვდა.

გუშინ საქართველოს ჭიდაობის ფედერაციაში ამ ტურნირთან დაკავშირებით პრესკონფერენცია გაიმართა, რომელსაც ფედერაციისა და სპორტის სამინისტროს ხელმძღვანელები, ნაკრების მწვრთნელები და მედალოსნები ესწრებოდნენ. *„ეს ტურნირი სრულიად შემთხვევით აღმოვაჩინე ხუთი წლის წინათ. როცა ვნახე, რა შემადგენლობა აპირებდა მონაწილეობას, ვთხოვე ფედერაციას, დავეფინანსებინეთ იქ წასასვლელად. თხოვნა დააკმაყოფილეს. მას შემდეგ იქ მეხუთედ გამოვედით და სასიხარულოა, რომ კვლავაც წარმატებით. ეს შეჯიბრება იმითაა გამორჩეული, რომ მიმდინარე სეზონის ახალგაზრდული ნაკრების წევრებსაც შეუძლიათ გამოსვლა, მაგრამ ჩვენ კვლავაც ერთი-ორი წლით უმცროსები წავიყვანეთ - ანუ, ისინი, რომლებიც გაისად ახალგაზრდულ გუნდში ისპარეზებენ. საბედნიეროდ, ახალბედებმა წარმატებით ჩააბარეს გამოცდა და მთელ რიგ წონებში გამოჩნდნენ მოზარდები, რომლებიც წარმატებით შეცვლიან ეროვნულ ნაკრებში გადასულ ლიდერებს. იმედია, სამომავლო ტურნირებში ხელშეწყობა და დაფინანსება ძველებურად გაგრძელდება, რათა საერთაშორისო შეჯიბრებებში მონაწილეობით კიდევ უფრო დაკვირვებით გამოვავლინოთ ნაკრების წევრები“*, - განაცხადა ახალგაზრდული ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა **ნუგზარ სხირელმა**.

ახალგაზრდებს წარმატებები მიულოცეს საქართველოს ჭიდაობის ფედერაციის პრეზიდენტმა **კახა გეწაძემ** და სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრის მოადგილე **გია გალდავამ**. გეწაძემ გუნდს სამომავლოდ დახმარება მართლაც აღუთქვა და ისიც აღსანიშნავია, რომ კიევშიც ფედერაციის ხარჯით წავიდნენ. *„მინდა, სპორტსმენებს, ნაკრებს ეს წარმატება მივულოცო და არც სამომავლოდ დავაგდოთ ტემპი, რათა სხვა შეჯიბრებებიდანაც ასევე გამარჯვებულები დავბრუნდეთ. ამ გუნდიდან ძირითადი ფალავნები ეროვნულ ნაკრებში გადავიდნენ, რის გამოც ახალგაზრდულს აუცილებლად სჭირდება შევსება. მისი ხელმძღვანელობა სწორად მუშაობს, მთავარ გუნდს ღირსეულ ცვლას უზრდიან, რაც იმითაც მტკიცდება, რომ ამ გუნდიდან უფროსებში გადასულმა ფალავნებმა იქაც მოიპოვეს წარმატებები. ვფიქრობ, ეს პროცესი კვლავაც გაგრძელდება, რის შედეგადაც ეროვნული ნაკრებიც სათანადო რეზერვს მიიღებს და არც ახალგაზრდული გუნდი დასუსტდება“*, - თქვა გეწაძემ.

უახლოესი შეჯირება, სადაც ახალგაზრდული ნაკრები გამოვა, თვის ბოლოს სტამბოლში გასამართავი „რესპუბლიკის თასია“. იქ ახალგაზრდა ბერძენ-რომაელთა ნაკრების გაგზავნაც იგეგმება.

საქართველოს ჭიდაობის ფედერაციაში მისულებმა ერთი სიახლეც შევიტყვეთ - უკვე გადაწყდა უფროსთა შორის საქართველოს ჩემპიონატების გამართვის თარიღი ორივე სტილით ჭიდაობაში, რომლებსაც თბილისი უმასპინძლებს. „თავისუფლები“ ეროვნული ნაკრების უმთავრეს კანდიდატებს 24-26 ნოემბერს გამოავლენენ, ბერძენ-რომაელები - 23-25 დეკემბერს.

**ირაკლი თავაძე**

● ძიუდო. ბაქოს მსოფლიოს თასი

# ექსპერიმენტული გუნდით ბაქოში

8-9 ოქტომბერს ბაქოს „სერხედჯის“ საჭიდაო კომპლექსში ძიუდოისტთა მსოფლიოს თასი გაიმართება, რომელშიც, წინასწარი მონაცემებით, 21 ნაკრები მიიღებს მონაწილეობას: ყაზახეთი, ესტონეთი, რუსეთი, ეგვიპტე, კანადა, ინგლისი და სხვები. მათ შორის საქართველოს ნაკრებიც იქნება, თუმცა მისმა თავკაცმა **პეტერ ზაიზენბახერმა** შემადგენლობაში ისეთ ფალავნებს უხმო, მორიგი ექსპერიმენტით გაგვაოცა. თავად განსაჯეთ: **პაატა მერებაშვილი** და **უშანგი კუზანაშვილი** (ორივე - 60), **ლევან ჩუბინიძე** და **გიორგი მკალავიშვილი** (ორივე - 66), **თენგიზ პაპოშვილი** და **ამბაკო ავალიანი** (ორივე - 73), **პაატა ღვინიაშვილი** და **შოთა ჯავახაძე** (ორივე - 81), **ლევან ჟორჟოლიანი** (100), **ადამ ოქრუაშვილი** (+100).

მწვრთნელის გადაწყვეტილებით, მონაწილე არ გვეყოლება 90 კილოგრამში. გუნდში რამდენიმე სამბისტია და აქამდე ძიუდოში არც გამოსულა, ხოლო ძიუდოისტთაგან უმეტესობას მწვრთნელი დღემდე არც ენდობოდა, არც სათანადო გამოცდილება აქვთ და პირდაპირ ვიტყვით - გვეეჭვება, ამ დონეზე საასპარეზოდ მზად იყვნენ. შესაძლოა, ექსპერიმენტი იმითაც იყოს გამოწვეული, რომ მსოფლიოს ჩემპიონატის შემდეგ პარიზში ნაჭიდავებ ლიდერთა უმეტესობა გადაღლილია და ასვენებენ, თუმცა საფრანგეთიდან დაბრუნების შემდეგ ისინი ერთი პერიოდი არც ვარჯიშობდნენ მწვრთნელის გაზრდილი დატვირთვებისადმი პროტესტის ნიშნად. ამდენად, ამ ეტაპისთვის ვერც იქნებოდნენ ფორმაში. არადა, ეს შეჯიბრება სალიცენზიო ქულებს იძლევა, რაც ჩვენებს ჰაერივით სჭირდებათ - ზაიზენბახერის კიდევ ერთი უცნაური გადაწყვეტილებით, მათ წლეულს ყველა ანალოგიური ტურნირი გამოტოვეს, რის შემდეგაც ამ ეტაპისთვის ყვავლაზე კარგი მდგომარეობა მხოლოდ ორ წონაში გვაქვს - 60-ში **ამირან პაპინაშვილი** ოლიმპიურ რეიტინგში მეხუთეა, 90-ში კი **ვალერი ლიპარტელიანი** - მერვე. მართალია, **ავთანდილ ჭრიკიშვილი** (81), ჟორჟოლიანი, **ირაკლი ცირეკიძე** (ორივე - 100) და **ზვიად ხანჯალიაშვილი** (+100) სალიცენზიო 22 კაცში შედიან, მაგრამ მათთვის მშვიდი ძილი ჯერ ნაადრევია. აი, 66 და 73-ში კი ძალიან რთული მდგომარეობაა. მსოფლიოს თასზე გამარჯვება მხოლოდ 100 ქულას იძლევა და ამ მხრივ კოლეგატურნირებში ყველაზე დაბალანაზღაურებადია, მაგრამ ჩვენთვის ახლა ესეც მნიშვნელოვანია, თუმცა ლიდერებს ამის საშუალებაც არ ეძლევათ. სავარაუდოდ, ისინი „დიდ პრიზებსა“ და „დიდ მუზარადებზე“ გამოვლენ, სადაც ბევრად მეტი ქულა დაერიცხებათ, თუმცა იქ გაცილებით ძლიერი შემადგენლობაც იქნება.

ბაქოს ტურნირზე მსაჯიც გვეყოლება - ძიუდოს ფედერაციის გენერალური მდივანი **ვლადიმერ ნუცუბიძე**. ამავე უქმეებზე მინსკში ქალთა მსოფლიოს თასიც ტარდება, მაგრამ ბელარუსში მონაწილე არ გვეყოლება.

**ირაკლი თავაძე**

● ჩოგბურთი

# ერევანში ერთიანად დაგვფერთხეს

სოფიო შაფათავა

ერევნის საერთაშორისო ტურნირის (25 ათასი დოლარი) მერვედფინალში ოთხი ჩვენებური იყო გასული და რას წარმოვიდგენდით, რომ ერთი ქართველიც ვერ შეძლებდა წინსვლას, მაგრამ სწორედ ასე მოხდა. ყველაზე გასაკვირი მე-4 ნომრად განთესილი **სოფიო შაფათავას** (243) მარცხია, რომელმაც იტალიელ **ანასტასია გრიმალსკასთან** (332) წააგო - 6:3, 4:6, 2:6. **თათია მიქაძემ** (418) მე-2 ნომრად განთესილ ამერიკელ **ჯულია კოენთან** (178) დათმო - 4:6, 5:7. შაფათავა და მიქაძე ჩვენი გამოცდილი ჩოგბურთელები არიან და რა გასკვირია, რომ გამოუცდელ და ურეიტინგო **ნათია გეგიასა** და **ანი გოგვაძეს** არ გაუმართლათ - გეგიამ პირველ ნომრად განთესილ **ლესია ცურენკოსთან** (119) წააგო - 2:6, 2:6, ხოლო გოგვაძემ - მე-6 ნომრად განთესილ უკრაინელ **ირინა ბურიაჩოკთან** (300) - 3:6, 0:6. ერევანში რჩებიან შაფათავა და მიქაძე, ისინი წყვილთა ბადის ფინალში გავიდნენ. მე-4 ნომრად განთესილი ქართველები ფინალში უკრაინელებს, **ელიზავეტა** და **ოლგა იანჩუკებს** ხვდებიან.

ამერიკულ უილიამსბურგში (10 ათასი დოლარი) „უაილდ ქარდით“ მიწვეულმა **მაგდა ოქრუაშვილმა** მე-6 ნომრად განთესილ ამერიკელ **ქეითლინ ოურისკეის** (829) მოუგო - 6:3, 6:3 და მერვედფინალში სლოვაკ **ლენკა ბროოსოვას** (973) ხვდება.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

● მშვილდოსნობა. ოლიმპიური ტესტი

# გუნდური ნაგება

ლონდონში გრძელდება „ოლიმპიური ტესტი“ მშვილდოსნობაში, სადაც უკვე გაიმართა პლეი ოფები გუნდურ პირველობაში. სამწუხაროდ, ის წარუმატებელი აღმოჩნდა ჩვენი ქალთა ნაკრებისთვის - პირველივე წრეში დანიელებთან 195:207 წააგეს და ტურნირსაც გამოეთიშნენ. სამწუხაროა, მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონ **ქრისტინე ესებუას**, **ხათუნა ნარიმანიძისა** და **ასმათ დაისამიძის** სამეული არცთუ ძლიერ გუნდთან რომ დამარცხდა. თავის მხრივ, ჩრდილოელებმა მომდევნო ორთაბრძოლა იაპონელებთან დათმეს - 179:210, თუმცა ეს გამარჯვება არც „ამომავალი მზის“ ქვეყნის შვილებს შერჩათ - ნახევარფინალში მარადიულ მეტოქე სამხრეთ კორეასთან 217:225 ნაგეს. ჩემპიონობა და ოქროს მედლებიც კორეელებმა მოიპოვეს - ფინალში ქალთა მშვილდოსნობაში უპირველეს კონკურენტ ჩინელებს 220:208 მოუგეს. ბრინჯაოს მედალი იაპონელებს ერგოთ, რომლებმაც საამისოდ ბრიტანელებს 206:200 აჯობეს. ჩვენმა ნაკრებმა მეცხრე ადგილი გაინაწილა ბელარუსთან, იტალიასთან, უკრაინასა და შვეიცარიასთან ერთად.

პირად პირველობაში პლეი ოფები გუშინ დაინყო, თუმცა მასში ჩვენები მხოლოდ დღეს ჩაებმებიან - დიასამიძე უკრაინელ **კატერინა პალეხას** შეხვდება, ესებუა - იტალიელ **ჯესიკა ტომასს**. ნარიმანიძე ხვალ ისვენებს და მერე პირველ შეხვედრას გამართავს კანადელ **ტერინ ვრაკინგთან**.

**ირაკლი თავაძე**

● ოსტატი და შეგირდი

გია კვინიკაძე

# ნეგავ ჩემს შეგირდებს დიდობაშიც ვწვრთნიდე

ხაშურის თავისუფალი ჭიდაობის აღზრდილები ბოლო ხანს წარმატებით არა მხოლოდ შინაურ, არამედ საერთაშორისო არენაზეც გამოდიან. ახლახან ამ ქალაქში კადეტ მოჭიდავეთა შორის გამართულ საერთაშორისო ტურნირზე, ხაშურელთა მწვრთნელს **გია კვინიკაძეს** ვესაუბრეთ.

- ხაშურის თავისუფალი ჭიდაობის სექცია ოთხი ათეულ წელს მოითვლის. დაარსებიდან მას მამაჩემი ვახტანგ კვინიკაძე ხელმძღვანელობდა. მე კი 20 წლის წინათ, ფიზკულტურის ინსტიტუტში სწავლის შემდეგ დავიწყე მწვრთნელობა და ბოლო ი რამდენიმე წელიწადია სათავეში ჩავუდექი სექციას. ერთობლივი მუშაობით აღვზარდეთ რამდენიმე ევროპის პრიზიორი ჭაბუკთა და ახალგაზრდებს შორის. ადრე თუ საქართველოში ძირითადად ჭაბუკებში გვქონდა შედეგები, ორი წელიწადია ახალგაზრდებშიც გამოჩნდნენ ჩემპიონი და პრიზიორები. დღესდღეობით ჩვენი გამორჩეული მოჭიდავეები არიან ლაშა და გიორგი ტალახაძეები, ლევან ქელეხსაშვილი, დავით ბუზიაშვილი, კაკი მოწონელიძე. ოჯახურ საჭიდაო ტრადიციას მე იმ მხრივაც ვაგრძელებ, რომ შვილიც ამ სახეობაზე ვარჯიშობს და თავის ასაკში წარმატებებიც არ აკლია.

**- რა რაოდენობის კონტინგენტთან და რამდენი სპეციალისტით გინევთ მუშაობა?**

- სამი ასაკობრივი ჯგუფი გვყავს, რომელთაც მხოლოდ მე და მამაჩემი ვწვრთნით. მამა ყველაზე უმცროსებს ავარჯიშებს, მე - შედარებით უფროსებს. მივიღე შემოთავაზება და ახლა უკვე ქარელის სასპორტო სკოლის თავისუფალი ჭიდაობის სექციაშიც ვმუშაობ.

**- დარბაზით თუ ხართ კმაყოფილი?**

- წლების განმავლობაში ხაშურის სასპორტო სკოლის შენობის დარბაზში ვმუშაობდით, რომელსაც ახალი ნამდვილად სჯობს. დარბაზი ურბნისისა და რუისის ეპარქიის კუთვნილ შენობაშია. უკვე ხუთიოდე წელიწადია აქ ვართ. ფართობი გაცილებით დიდია და შეჯიბრებისთვის სამი ხალიჩის გაშლაც შესაძლებელია.

**- ვახტანგ კვინიკაძის სახელობის საერთაშორისო ტურნირზე რას იტყვით?**

- ტურნირზე სისტემატურად გვსტუმრობენ აზერბაიჯანელი და სომეხი მოჭიდავეები. წლეულს, მაგალითად, სომხეთიდან სულაც სამი სხვადასხვა ქალაქის გუნდი იყო ჩამოსული, აზერბაიჯანიდან ერთი. ჩვენც ვსტუმრობთ ხოლმე ამავე მეზობელ ქვეყნებს ანალოგიურ შეჯიბრებებზე. სატურნირო გამოცდილების მიღება ძალიან ძვირფასია.

**- ფინანსური მხარდაჭერა თუ გაქვთ?**

- ბიუჯეტის თანხა ყველა ტურნირზე გამოსასვლელად საკმარისი არ არის, მაგრამ ადრინდელ დაფინანსებაზე მეტია. როცა არ გვყოფნის, საკუთარი ხარჯებით გავდივართ ფონს.

**- რა გინდათ, რომ შეიცვალოს თქვენს საქმიანობაში ისეთი, რასაც დამოუკიდებლად ვერ უმკლავდებით?**

- საჭიროდ მიმაჩნია, რომ როდესაც რომელიმე ნაკრებში ამა თუ იმ მწვრთნელს ორი ან სამი თავისი მოჭიდავე ჰყავს, კონტინენტის თუ მსოფლიოს ჩემპიონატებზე გუნდთან ერთად ისიც იყოს. პირადმა მწვრთნელმა შეგირდის ყოველი ნიუანსი იცის და მისი ყოფნა მხოლოდ დადებითად წაადგება სპორტსმენს. ცხადია, კარგად მესმის, რომ თითოეულ სპორტსმენს თავისი მწვრთნელი ვერ გაჰყვება. ერთზე მეტი მოჭიდავის გუნდში ყოფნა კი უკვე სხვაა. გარდა ამისა, ნატვრად მაქვს ჩემს აღზრდილ სპორტსმენს სკოლის ასაკის მერეც ვწვრთნიდე. როცა მოჭიდავე სწავლას (ძირითადად თბილისში) უმაღლეს სასწავლებელში აგრძელებს, იქვე აგრძელებს დაოსტატებას და ჩვენ სულაც გვშორდება. მეტიც, როდესაც წარმატებას აღწევს, თითქმის აღარსად მოიხსენიება ხოლმე ამ ფალავნის აღზრდაში თავგადაკლული ადამიანის ნაღვაწი.

**ვასილ ბალახაძე**

ხაშურიდან

*დავით ასპანიძის ფოტო*

## ქაჩთუღი სპორტი

● წყალბურთი



# დღეს მეორე რაუნდი იწყება

გლეეულს 22-25 სექტემბერს თბილისის სანყლოსნო კომპლექს „ოლიმპიკში“ წყალბურთელ ვაუთა საკლუბო გუნდებისთვის ევროპის თასის გათამაშების პირველი საკვალიფიკაციო ეტაპის ორთაბრძოლები გაიმართა. დედაქალაქის „ლიგამუსმა“ ექვსგუნდიან ჯგუფში მე-4 ადგილი დაიკავა და მომდევნო ეტაპზე გავიდა. მე-2 რაუნდის შეხვედრები დღეს იწყება. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის „ლიგამუსი“ (ზურაბ ჭუმბურიძე, ბექა ქენქაძე, თამაზ ლაზარიდი, იოვან პოპოვიჩი, მარკო კორდიჩი, გიორგი ხვედელიანი, გალაქტიონ ლაითაძე, მიხეილ ბაღათურია, ზურაბ რურუა (კ), კოტე გეგელაშვილი, ტატო ნიკოლეიშვილი, გიორგი ბაბუნაშვილი, ივან სტრუიჩი, მთავარი მწვრთნელი ზვიად დავითიანი, კლუბის პრეზიდენტი გიგი ლილუაშვილი) ჰოლანდიას გაეგზავრა, სადაც H ჯგუფში მეტოქეობას გაუწევს ნიდერლანდების ჩემპიონ „შუურმანს“, გერმანიის ვიცე-ჩემპიონ „დუისბურგსა“ და ხორვატიის ბრინჯაოს პრიზიორ „მორნარ სპლიტს“.

„დუისბურგმა“ ჩემპიონთა ლიგის მეორე საკვალიფიკაციო ეტაპზე ნოვი სადში (სერბეთი) ითამაშა, სადაც „მარსელთან“ (საფრანგეთი) და მასპინძელთა „ვოივოდინასთან“ ერთად 6-6 ქულა მოაგროვა, მაგრამ ბურთების უარესი შეფარდებით ჯგუფში მესამე ადგილი დაიკავა და ევროპის თასზე გადმონაცვლა.

„შუურმანი“ ჩემპიონთა ლიგის პირველ საკვალიფიკაციო ეტაპზე მარსელში თამაშობდა მასპინძლების, სტამბოლის „გალათასარაის“, ზაგრების „მლადოსტის“, ბელგრადის „რედ სტარისა“ და მოსკოვის „დინამოს“ წინააღმდეგ, მაგრამ ლიგის მე-2 რაუნდში ვერ გააღწია. რაც შეეხება „მორნარ სპლიტს“, ხორვატები სტამბოლში თამაშობდნენ ევროპის თასის B ჯგუფში, სადაც ხუთიდან 4 მატჩი მოიგეს (მათ შორის თბილისის „ივერიასთან“) და პირველი ადგილი დაიკავეს. აი, ასეთ გუნდებთან მოუწევს „ლიგამუსს“ სამი დღის განმავლობაში პაექრობა.

გაუწყებთ H ჯგუფის შეხვედრათა განრიგს:

**7 ოქტომბერი.** „მორნარ სპლიტი“-„დუისბურგი“ (გერმანია), „შუურმანი“ (ჰოლანდია)-„ლიგამუსი“ (საქართველო).

**8 ოქტომბერი.** „მორნარ სპლიტი“-„ლიგამუსი“, „შუურმანი“-„დუისბურგი“.

**9 ოქტომბერი.** „დუისბურგი-„ლიგამუსი“, „შუურმანი“-„მორნარ სპლიტი“.

„შუურმანისა“ და „ლიგამუსის“ დღეგანდელი შეხვედრა ჰოლანდიის დროით 20 საათზე დაიწყება.

**ვაჟა დანელია**

● ჭადრაკი

# ბოლო ტურის წინ

ჩინეთში დღეს დამთავრდება მოჭადრაკეთა საერთაშორისო ტურნირი, რომელშიც 7 ქვეყნის 78 წარმომადგენელი იბრძვის საპრიზო ადგილებისთვის, მათ შორის - 33 დიდოსტატი. გუშინ მე-8 ტურში **ლევან ფანცულაია** (2614) 2700-იანთა კლუბის წევრ ვან იუეს (2716) დაუზავდა თეთრი ფიგურებით და 5,5 ქულა მოაგროვა. დავით არუთინიანმა, ასევე, თეთრებით, ვუ ვენძინი დაამარცხა და 8 ტურის შემდეგ 5 ქულას მოუყარა თავი. 7 ქულით ერთპიროვნულად ძიანჩაო ჩჟოუ (ჩინეთი) მეწინავეობს, რომელმაც შავებით დინ ლირენს აჯობა. 6-6 ქულა აქვთ ქუანგ ლე ლიემს (ვიეტნამი), ვეიქი ჩჟოუსა (ჩინეთი) და ნგუენ ნგოკ თრონგ შონს (ვიეტნამი). შონი ინდოელ პარიმარიან ნეგის დაუზავდა, ხოლო ლიემმა და ჩჟოუმ, შესაბამისად, იანი იუსა (ჩინეთი) და ვან ჩენს (ჩინეთი) სძლიეს.

დღეს ბოლო ტურში ლიდერთაგან ითამაშებენ: ძიანჩაო ჩჟოუ (7)-ნგუენ შონი (6), ქუანგ ლე ლიემი (6)-ვეიქი ჩჟოუ (6), ვან იუე (5,5)-ძუნ ჩჟაო (5,5), ლევან ფანცულაია (5,5)-დინ ლირენი (5,5), რუიან იუ (5,5)-პარიმარიან ნეგი (5,5), ბუ სიანჯი (5)-ბაირსაიხან გუნდავაა (5,5). **დავით არუთინიანი** (5)-იიე ლუს (5) დაუპირისპირდება.

**ვაჟა დანელია**

# იუბილეს ეძღვნება

ხუთგზის მსოფლიოს ჩემპიონის - **ნონა გაფრინდაშვილის** იუბილეს ეძღვნება ვეტერან მოჭადრაკეთა საერთაშორისო ტურნირი, რომელსაც მოსკოვში მიხეილ ბოტვინიკის სახელობის მოჭადრაკეთა ცენტრალური სახლი მასპინძლობს. შეჯიბრებაში, იუბილარის გარდა, მონაწილეობენ წარსულში სახელოვანი დიდოსტატები - ვეტერანებში ოთხგზის მსოფლიოს ჩემპიონი **თამარ ხმიადაშვილი, ტატიანა ზატულოვსკაია** (ისრაელი), **ვალენტინა კოზლოვსკაია, ელენა ფატალიბეკოვა, ლიუდმილა საუნინა, ლიუდმილა ბელავენეცი** (ყველა-რუსეთი), **მარტა ლიტინსკაია** (უკრაინა), **ტამარა ვილერტე** (ლატვია) და **ხანა ერენსკა-ბარლო** (პოლონეთი).

ასპარეზობა იმართება წრიული სისტემით. თითოეულ მოჭადრაკეს პარტიისთვის 25 წუთი ეძლევა ყოველ სვლაზე 10 წამის დამატებით. ტურნირის საპრიზო ფონდია 210 000 რუბლი.

შეჯიბრების პირველ დღეს გაფრინდაშვილმა ფატალიბეკოვა დაამარცხა, ხოლო ლიტინსკაიას და საუნინას დაუზავდა. მოაგროვა ორი ქულა და ფატალიბეკოვასთან ერთად მეორე-მესამე ადგილებს ინაწილებდა. 2,5 ქულით ლიტინსკაია მეწინავეობდა. გუშინ გაფრინდაშვილმა კოზლოვსკაია დაამარცხა და 3 ქულით დაწინაურდა. ფატალიბეკოვა საუნინას შეუთანხმდა ყაიმზე, ელენსკა-ბარლომ ქულა გაიყო ბელავენეცთან, ხმიადაშვილმა კი ვილერტეს მოუგო.

**ვაჟა დანელია**

## თავგადასავლები ერთ ფოტოში

# ცნობილი მოქანდაკე გიორგი შხვაცაბაია

„ორი ათასი წლის შემდეგ ეს იქნება პირველი ხელოვნების ნიმუში, შექმნილი დიდი მოქანდაკის შიერ, რომელიც ძველ ბერძენთა უკვდავ ნამუშევრებთან ერთად საუკუნეებს გაუძლებს“ - ეს სიტყვები წარმოსთქვა ცნობილმა ბერძენმა არქიტექტორმა იოვანის სეფერდისიმ ქართველი მოქანდაკის **გიორგი შხვაცაბაიას** ნამუშევრის „მშვიდობის ჩირაღდანის“ შეფასებისას.

ყველას უნდა ახსოვდეს, რომ ბრინჯაოს ეს ოთხმეტრიანი (!) ფრთოსანი ქალის ქანდაკება რომელიც კაცობრიობას მოუხმობს მშვიდობისკენ, აღმართულია ძველი ოლიმპოს ცენტრალურ მოედანზე, სულ ახლოს იმ წმიდათაწმიდა ადგილიდან, სადაც უკვდავი პრაქსიტელეს „ჰერმესი“ დგას.

ჩვენი საამაყო მოქანდაკე დღეს „ლეელოს“ ესაუბრება ჩვეული, ხალასი იუმორით.

### სტოპ-რაშენ!

1987 წელს დელეგაციასთან ერთად მშვიდობის დაცვის კომიტეტის ხაზით ოლიმპიაში გახლდით.

მოვიარეთ არაერთი ღირსშესანიშნავი ადგილი. ვნახე ძველი წელთაღრიცხვის დროს შესრულებული უნიკალური ძეგლები, მუზეუმები. შევხვდი ქალაქის მერს და სხვა ხელმძღვანელებს. საღამოს კი ჩვენი დელეგაციისთვის გაიმართა ბანკეტი. ჩვენთან ერთად იმყოფებოდნენ რუსეთის წარმომადგენლები. მოგეხსენებათ, ბანკეტზე მრავალი სადღეგრძელო შეისვა, სადღეგრძელოებს, ცხადია, „ტონუსის ამაღლება“ მოსდევს. ისედაც „ტონუსანეული“ ერთი რუსი მწერალი კი სულ „გაჯეჯილდა“. სტუმრებიც და მასპინძლებიც უკვე შეწუხებულები უსმენდნენ მის უაზრო ბაქი-ბუქს. ერთ ხანს მეც ყურადღებით ვუსმენდი, მაგრამ უკვე „დაუკრეფაეში“ გადავიდა და ბერძნების ჭკუის სწავლებას რომ მოჰყვა, ვეღარ მოვითმინე. ღვინით გათამამებულმა მარჯვენა ხელი ზეაღვმართე და დავუყვირე:

- სტოპ, რუსო!

ამ მოულოდნელობაზე რუსი „განმანათლებელი“ ცივწყალგადასხმულივით გამოფხიზლდა და გაშეშდა. ჩემს შეძახილზე მთელი სუფრა გაიტრუნა.

- ჩტო პრაისხოდიტ? - გამოერკვა დაბნეული რუსი.

- ჩტო და... ამ სუფრაზე ბევრი ლაპარაკის უფლება ჩვენ არ გვაქვს. თუ მაინცდამაინც ეს გსურთ, დაიჩოქეთ და მადლობა შესწირეთ უფალს, რადგან ამ მიწაზე ყოფნის და ამ შედევრების ნახვის საშუალება მოგცათ-მეთქი.

ეს იყო ჩემი გულწრფელი სიყვარულის გამოხატვა ბერძნული ცივილიზაციისა და ქანდაკების მიმართ.

ქალაქის მერი წამოდგა, ხელი ჩამომართვა, გადამკოცნა და ქანდაკება შემიკვეთა. ალბათ ნასვამს მომეჩვენა-მეთქი, ვიფიქრე, მაგრამ მეორე დღესაც რომ გამიმეორეს შემოთავაზება, მეც დავთანხმდი.

ის რუსი მწერალიც ალბათ მიხვდა სად „შეტოპა“ და მთელ იქ ყოფნის განმავლობაში თვალი აღარ გაუსწორებია ჩემთვის.

### გარედან ითვლება - ტავარიშ სუდია?

სპორტის ტრფიალი ვარ. სპორტის ყველა სახეობას დიდ პატივს ვცემ, მაგრამ როგორც საყოველთაოდ, მეც ფეხბურთში ვარ „ჩამნვარი“. ჩემი თაობის მრავალ ფეხბურთელთან მაკავშირებდა ძალიან ახლო ურთიერთობა.

1960-იანი წლებია. მოსკოვში ჩვენი „დინამო“ ადგილობრივ თანაკლუბელებს ხვდებოდა „ლუჟნიკის“ სტადიონზე.

იმ დღეს ჩვენმა ბიჭებმა რუს კოლეგებს მართლაც ქარიშხალი დაატეხეს. გამუდმებით უტევენ მათ კარს, მაგრამ... გოლი არ გადის. მე, როგორც ყოველთვის თან ვახლდი, მშვენიერ ადგილზე მოკალათებული არც აპლოდისმენტებს ვაკლებ, არც შეძახილს, მაგრამ არა და არ გადის გოლი.

როგორც ხშირად ხდება - ერთი გუნდი გამუდმებით უტევს, „ფორტუნა“ კი დაჩაგრულის მხარეზეა.

აი, ერთი მოსკოველი გაუსხლტა ჩვენს დაცვას, უხერხული კუთხიდან დაარტყა. სერგო კოტრიკაძის ელვისებური ნახტომი „უშედეგოა“, ბურთი ჩვენი კარის ბადეში აფართხალდა. გადაირივნენ რუსი ფანები. აგუგუნდა გახარებული სტადიონი. ჩვენ ენა ჩაგვივარდა, გამწარებული სერგო მსაჯს მიეჭრა - რაღაცას უმტკიცებს. ის კი ცენტრიდან თამაშის დაწყებას მიანიშნებს.

ნურავინ იტყვის, რომ ვაჟკაცობა თამაშში „ყურით მოთრეული უაზრობაა“, თვითონ ის მოსკოველი „გოლის გამტანი“ მივიდა მსაჯთან და რაღაც უთხრა. გაწბილებული მსაჯიც ჩვენი კარებისკენ გამოვარდა და ბურთი თავისი ხელით „გაჩითა“. გარედან გახვეულიყო ბადეში.

რაინდი ფეხბურთელი რაინდია, და არა მარტო ჩვენთან...

### აბა, ბასეინში მნახე - ვინა ვარ!

სნორუპოვარი ბომბარდირი და მაყურებლის „კერპი“ მიშა მესხი ჩემი საუკეთესო მეგობარი გახლდათ. ერთ დღეს მე და ბორია სიჭინავამ შინ მიაკითხეთ. მიშას სახლი მშენებლობის სტადიაშია, მაგრამ ეზოში აუზი უკვე მოუსწრიათ, ოღონდ წყალი ჯერ არ ჩაუსხამთ.

მესხს სუფრა და დროსტარება ფეხბურთზე არანაკლებ უყვარდა. გაიშალა სუფრა ეზოში. დაიწყო ტრადიციული სადღეგრძელოები ტრადიციული „ჭინჭილით“.

ბუნებრივია, ერთი სფეროს წარმომადგენლები სუფრაზე პროფესიული თემაზე საუბრობენ. ბორია და მიშა მაგრად გაერთნენ. იხსენებენ განვლილი მატჩების ეპიზოდებს, როგორ გაექცა ბორიას „იქაური“ მოწინააღმდეგე... როგორ მოატყუა მესხმა თავისი თაგბრუდამხვევი ფინტებით „დამჭერი“ დოყლაპია და ა.შ. არც ერთი ჩემს საქმიანობას არ შეხებია.

- აუზი? - ვთქვი მოულონდელად.

- რა აუზი? - გაიკვირვა მიშამ.

- რა და - შენ ხომ მაგარი ხარ? - შევუბრუნე კითხვა.

- რა უნდა ამ კაცს? - ბორისს გადახედა მესხმა... ბორიამ მხრები აიჩეჩა. - სუფრას სხვა სპორტსმენებიც უსხდნენ და ვერაფერს მიხვდნენ.

- ხომ მაგარი ხარ, ძმაო მოედანზე? - არ ვიხევ უკან - მოდი, ერთი-ერთზე ვითამაშოთ ოღონდ... აუზში... ნაძლევი 50 მანეთზე იყოს (მაშინ დიდი ფული იყო 50 მანეთი). ვინც მოიგებს - ბიჭიც ისაა...

მიზანდასახული და ჯიუტი მიშა „ანკესზე“ წამოეგო და გამოწვევა მიიღო. გავიხადეთ შარვლები და 10X6 მოცულობის აუზში ვეკვეთეთ ერთმანეთს.

ტანით მაღალი ვარ და დაცვაში ვაჯობე. ვერაფრით ბურთი ვერ გამიტანა. მხოლოდ მე (ისიც შემთხვევით) მოვახერხე მის კარში ერთი ბურთის „შეგზავნა“ და მოწმე მსაჯმა უყოყმანოდ დააფიქსირა ჩემი მოგება.

„რაც შენ მოედანზე თქვა - ჩემი აუზიც არ დაგავიწყდეს-მეთქი!“ - შევძახე და ქეიფიც გახურდა. ეგრეც ნუ მიყურებთ, მიშა მესხისთვის „აუზში“ მომიგია, მააშ!

### ეგ ვინაა?

გუშინ ტელევიზორს ვუყურებდი. ქუჩაში ჟურნალისტი გამვლელებს კითხვებს უსვამდა... დღევანდელი ახალგაზრდობის ცოდნის დონეს ამოწმებდა.

- აბა - ეკითხება ერთ გამვლელს, სადაა მდინარე „ნილოსი“ - 1)-იმერეთში, 2)-ზემოქართლში, 3)-კახეთში. გამეცინა ჟურნალისტის „ეშმაკობაზე“ და ველოდები ახლა იმ ახალგაზრდის პასუხს. იმანაც გავარიანად იფიქრა და იცით რას პასუხობს? რას და:

- ვერ დამაბნევ, ნილოსი არც ერთგან არაო.

- აბა სადაა? - ჩაეძია ჟურნალისტი.

- სად და... ზემო სვანეთშიო - სრულიად სერიოზულად უპასუხა გამვლელმა.

შემომეყარა გულზე და ერთი ამბავი გამახსენდა ამასთან დაკავშირებით:

გივი კარტოზიას ძეგლზე (იგი ახლა სპორტის სასახლის წინ დგას) ვმუშაობდი 8 წლის განმავლობაში. ამდენ ხანს არ მოვუნდებოდი, მაგრამ მოგეხსენებათ, კომუნისტების დროს ფულის გადარიცხვა „ჭირდა“ (არც ახლაა დიდად გასახარად ეს საქმე). ერთ დღეს ვრეკავ სპორტკომიტეტში. ყურმილს ჩემთვის უცნობი ნომენკლატურული ქალბატონი იღებს.

- მე თანხის გადმორიცხვის თაობაზე გირეკავთ - გიორგი ვარ შხვაცაბაია.

- რომელი შხვაცაბაია?

- გიორგი.

- გავიგე, ყრუ კი არ ვარ - გაგულისდა ქალი - რა ფულს ითხოვთ?

ჩამწყდა გული რომ სპორტის სამინისტროში არ მიცნობენ. მაგრამ არ შევიმჩნიე.

- გივი კარტოზიას ძეგლზე ვმუშაობ.

აქ კი ჩემმა გაოცებამ მე თვითონ გამაოცა:

- გივი კარტოზია ვინაა? - სრულიად სერიოზულად მკითხა ქალმა ყურმილში...

### ჩემი ავჩარკა

გერმანული ნაგაზი მყავს (მეც „გავიცანი“ სხვათა შორის - მ.მ.), რომელიც ძალიან ავია, მაგრამ უსაზღვროდ კეთილი, თუმცა „მტერს არ ახარებს“. არიქა, ვინ იცის ჭიშკარი არ დამრჩეს ღია-თქო და ყოველი შემთხვევისთვის ზარის ქვეშ წარწერა გავაკეთე: „ეზოში ავი ძაღლია“.

სტუმართმოყვარე ვარ და ვინ არ სტუმრობდა ჩემს ოჯახს. მათ შორის ყველა სახეობის ელიტარული პიროვნებები. ამ წარწერის გაკეთების შემდეგ შეწყდა და შეწყდა სტუმრების სვლა ჩემს ოჯახში. საგონებელში ჩავვარდი, „რა ხდება?“ „რა ხდება?“! ბოლოს მივხვდი და წარწერა ჩამოვგლიჯე ჭიშკრიდან. ახალი ჩავანკინკე და ჭიშკარს მივაკარი: „ეზოში კეთილი ძაღლია“.

ასე რომ, ნუ შეშინდებიან. ჩემი ჭიშკარი კეთილისმოსურნე ხალხისთვის მუდამ ღიაა - „გელით, გაშლილი ხელით“, მაგრამ ზარი მაინც დარეკეთ - „ეშმაკს არ სძინავს“.

**P.S.** ნამდვილად გამიჭირდა ბ-ნ გიორგისთან განშორება მისი შინაარსიანი სახლ-კარის დათვალიერების შემდეგ. იგი ახლა თავისი „კერპის“ და მეგობრის - მიხეილ მესხის ქანდაკებაზე მუშაობს, მაგრამ ძალიან გულგატეხილი, რადგან ამ დიდებულ ქმნილებას მარტო ენთუზიაზმი და ენერგია არ ჰყოფნის. შეფარულად („ლაითად“) თუ ვიტყვი, ამ საქმეს ცოტა „ისიც“ სჭირდება, რასაც ჩვენი „ძლიერნი გულით და ფულით“ ჯერ ყურადღებას ნაკლებად აქცევენ, არადა - „ეზოში კეთილი მასპინძელია“...მინიშნება ძნელი მისახვედრი არაა და გელით ხელგაშლილო ქართველებო, მესხის თაყვანისმცემლებო, გელით, რომ სამუდამოდ უკვდავყოთ ამ უზარმაზარი ფეხბურთელის და ადამიანის ხსოვნა.

**მურმან მერკვილიშვილი**



გიორგი შხვაცაბაია

მშვიდობის ჩირაღდანი

## ქართული სპორტი

● კალათბურთი. დუდუ დადიანის მემორიალი

# გაღაბალისებული

**6 ოქტომბერი. თბილისი**

კალათბურთის აკადემიის დარბაზი

**A ჯგუფი**

**შსს–დინამო 88:61**

**15:16, 24:13, 27:15, 22:17**

**შსს:** ლაფანაშვილი (7ქ), ნიკოლაძე (2ქ, 3პ), ლონდარიძე (21ქ, 17მ, 3ჩ), ლომოური (4ქ), თენიეშვილი (2ქ, 3ჩ), ტუჯანი (5ქ), ნივწივაძე (6ქ), იმნაძე (5ქ, 3პ), დვალიშვილი (14ქ), კრეპსი (18ქ, 7მ, 6პ), ბოქოლიშვილი (4ქ).

**დინამო:** ს. ლეჟავა (6ქ, 3ჩ), სანაძე (17ქ, 4პ, 5ჩ), მარხვაშვილი, კეიდია (8ქ), აბულაძე (5ქ), თვაური (4ქ, 5მ), მეხრიშვილი (13ქ, 3ჩ), როდუმტა (4ქ, 6მ, 5ფ), სუხიშვილი (4ქ).

**მსაჯები:** ზ. მაჩალაძე, გ. მიქელაძე.

**კომისარი:** რ. გელოვანი.

„არმია“ ევროჩელენჯისთვის სლოვენიაში ემზადება, ხოლო „სოხუმს“ „მინსკთან“ განმეორებითი მატჩი ელის. ამიტომ ეს გუნდები დუდუ დადიანის მემორიალზე არ ითამაშებენ. ტურნირში ძირითადად ქართველებით დაკომპლექტებული გუნდები ჩაებნენ. ძირითადად-თქო, იმიტომ ვამბობთ, რომ თითო-ოროლა უცხოელი რამდენიმე გუნდს ჰყავს: კამერუნელი **პლასიდე როდუმტა** „დინამოში“ ირიცხება, მისი თანამემამულე **ჟულიეტ ტუჯანი** - შსს-ში, ხოლო „ქუთაისსა“ და იმავე შსს-ს ახალჩამოყვანილი ლეგიონერები ჰყავთ. ქუთათურთა რიგებში დებიუტი აზერბაიჯანის ნაკრების გამთამაშებელ **ზაურ ფაშაევს** დღეს ექნება, ხოლო შსს-ელმა **რობო კრეპსმა** თავი დადებითი კუთხით უკვე წარმოაჩინა.

რობომ „დინამოსთან“ 25 წუთში 18 ქულა, 7 მოხსნა, 6 პასი და 2 ჩაჭრა მოაგროვა. დებიუტისთვის მშვენიერი შედეგია. ციფრები გვერდზე გადავდოთ და ახალწვეულზე ისე ვთქვათ: რობო გაბარიტებით არ გამოირჩევა, სამაგიეროდ ძალიან სწრაფი კალათბურთელია...

- მოედნის ხედვაც აქვს, სროლაც ეხერხება და რაც მთავარია, შეუძლია ორ პოზიციაზე თამაში, როგორც მსროლელად, ასევე გამთამაშებლად. დღეს იგი კარგად გაისარჯა და იმედი მაქვს სეზონის განმავლობაში კიდევ მოუმატებს, - ასე დაახასიათა შეგირდი შსს-ს მთავარმა მწვრთნელმა **დავით უსტიაშვილმა.**

მის გუნდში შარშანდელი სეზონის შემდეგ 6 ახალწვეულია: **აკაკი ლომოური, ნოდარ თენიეშვილი, მერაბ ბოქოლიშვილი, აკაკი დვალიშვილი, ილია ლონდარიძე** და რობო კრეპსი. ამ უკანასკნელმა ტრიომ (აკაკიმ, ილიამ და რობომ) გუშინ ჯამში 53 ქულა მოაგროვა და შსს-ს „დინამოსთან“ გაამარჯვებინა.

დინამოელებს კი 8 ახალწვეული ჰყავთ (გუშინდელი მატჩის განაცხადში 9 კაცი იყო). გუნდი ახალი შეკრებილია და ნელ-ნელა იკრებს ძალებს.

- ერთი კვირაა, რაც ვვარჯიშობთ. მთლიანად ახალი გუნდი გვყავს და შეთამაშებისთვის დრო გვჭირდება. ნელ-ნელა თამაშსაც დავხვეწთ და შედეგიც გვექნება. დღეს შსს-მ გამარჯვება დაიმსახურა, კარგად დაკომპლექტებული გუნდია, ვულოცავ წარმატებას. რაც შეეხება მემორიალს, მოხარული ვარ, რომ ტურნირმა ტრადიციული სახე მიიღო და 2002 წლის შემდეგ ყოველწლიურად იმართება, - ეს „დინამოს“ თავკაცის, **დავით თორთლაძის** სიტყვებია. მის ასისტენტად ასევე ნაკრების ყოფილი კალათბურთელი **ირაკლი ხოშტარია** მუშაობს.

**6 ოქტომბერი. თბილისი**

კალათბურთის აკადემიის დარბაზი

**B ჯგუფი**

**საჯელიციონო–რუსთავი 89:76**

**21:22, 17:19, 27:14, 24:21**

**სამედიცინო:** ბაქრაძე (14ქ, 5პ), ტომარაძე (21ქ, 5მ), ჩიკვილაძე (11ქ, 3პ), კვეტენაძე (9ქ), ყველაშვილი (2ქ), ბექაური (10ქ, 5ფ), პირველაშვილი (12ქ, 10მ), აბაიშვილი (4ქ), ჭოჭუა (5პ), შვანგირაძე (5ქ), ჯინჭარაძე, ფერიაშვილი (1ქ).

**რუსთავი:** მაჭავარიანი (19ქ), არაბული, ბერუაშვილი (2ქ), არნივიძე (10ქ, 13პ, 3ჩ), თვარაძე, ბაიკაშვილი (3ქ), ჩაჩანიძე (8ქ, 5მ), ხმელიძე (15ქ), კოპალიანი (12ქ, 5მ), გუგავა (7ქ, 5ფ).

**მსაჯები:** დ. ბერიშვილი, ხ. გაბედავა.

**კომისარი:** რ. გელოვანი.

„სამედიცინო“-“რუსთავის“ მატჩის მიმოხილვა თამაშის მსვლელობით უნდა დავიწყოთ. დასაწყისში „მედიკოსებს“ ძალიან გაუჭირდათ პერიმეტრიდან რუსთაველთა შეტევების შეკავება. ამიტომაც იყო, რომ პირველი მეოთხედი დათმეს, ხოლო დიდი შესვენებისთვის 38:41-ს აგებდნენ. **ბაიკაშვილი, არწივიძე, ჩაჩანიძე, მაჭავარიანი, ხმელიძე...** მოკლედ, თითქმის ყველა რუსთაველმა ჩააგდო სამქულიანი.

მესამე პერიოდისთვის **ნუგზარ კანდელაკის** სტუდენტურმა გუნდმა დაცვაში კონცენტრირება მოახერხა, მეტოქეს პერიმეტრი გადაუკეტა და თავადაც შეძლო შორეული ტყორცნების სათანადოდ შესრულება, ფარქვეშ ხომ უპირატესობა თავიდანვე „სამედიცინოს“ მხარეს იყო. „მედიკოსებმა“ მეოთხე პერიოდშიც შეინარჩუნეს უპირატესობა და სეზონის პირველი გამარჯვება ჩაინერეს.

როცა ქვემოქართლურ გუნდს სახელი ეცვლება და „რუსთავის“ სახელით გამოდის, ეს იმას ნიშნავს, რომ სათანადო სპონსორი აღარ ჰყავს. ასეა წლეულსაც - **მიხეილ ბერუაშვილი** ახალგაზრდული შემადგენლობის იმედადაა. გასული სეზონის შემდეგ „რუსთავში“ დაბრუნდნენ: რევაზ ჩაჩანიძე და დავით არწივიძე, ასევე დაემატნენ **გელა კოპალიანი** და რატი ბაიკაშვილი.

„სამედიცინოში“ სერიოზული ცვლილებები განხორციელდა: 2010-11 წლების სეზონის შემდეგ გუნდში დარჩნენ მხოლოდ **ბექა ბექაური** და **მიხეილ ჭოჭუა**, დანარჩენი ყველა ახალწვეულია: საინტერესოა, რომ ოთხი კალათბურთელი სხვადასხვა დროს ესპანეთში თამაშობდა: **ბექა ჩიკვილაძე, კოკა ტომარაძე, გიგა კვეტენაძე** და **გრიგოლ შვანგირაძე.** გრიგოლი გასულ სეზონში კანარული გუნდის შემადგენლობაში ება-ს ლიგაში გამოდიოდა.

**6 ოქტომბერი. თბილისი**

კალათბურთის აკადემიის დარბაზი

**A ჯგუფი**

**თსუ–სტუ 74:62**

**18:17, 21:24, 25:12, 10:9**

**თსუ:** დ. ბერიშვილი (6ქ), ფანჩულიძე (20ქ, 8მ), კოხრეიძე (11ქ, 8მ), თავამაიშვილი (2ქ), კორკოტაძე (12ქ, 5მ), მარკოიშვილი 2ქ, 5მ, 3ჩ), ნინიაშვილი (3ქ, 5ფ), ჩიტაშვილი (9ქ), ხიზანიშვილი, შერმადინი (5ქ, 9მ, 2დ), მაისურაძე (4ქ, 8მ), ჩქარეული.

**სტუ:** ტეტელაშვილი, თევზაძე (5მ), ჩაჩიბაია (16ქ, 8მ), მაჩალაძე (4ქ, 6მ, 5ფ), კობიძე (3ქ), ჯავახიშვილი (4ქ), დეკანოიძე (2ქ), ძიძიგური (3ქ, 3პ), ალხანაიძე (5ქ), კორძაძე (2ქ), ვ. ბერუაშვილი (13ქ, 3ჩ), ანთაძე (10ქ, 8მ).

**მსაჯები:** მ. კუპატაძე, გ. მიქელაძე.

**კომისარი:** გ. სანაძე

დღის ბოლო მატჩში სტუდენტური დერბი შედგა: თსუ სტუ-ს დაუპირისპირდა.

**ნუგზარ ჭეიშვილის** გაწვრთნილი თსუ გასული ჩემპიონატის მეორეადგილოსანია და გუშინდელ შეხვედრაშიც ფავორიტად ითვლებოდა, თუმცა პირველ ტაიმში ძალიან გაუჭირდა.

სტუ-მ საწყისი 20 წუთის შემდეგ მოედანი თავაწეული დატოვა - დიდ შესვენებაზე მცირე უპირატესობით გავიდა (41:39). პირველ ტაიმში ტექნიკოსთაგან 16 ქულით **ტატო ჩაჩიბაია** გამოირჩა, ხოლო მეორე მხრიდან **მიხეილ ფანჩულიძე** - 17.

მესამე პერიოდში თსუ-მ თამაში დაალაგა და შეხვედრის ბედიც ნაადრევად გადაწყვიტა - მესამე ათწუთეული 25:12 მოიგო.

აქვე უნდა ვთქვათ გუნდებში განხორციელებულ ცვლილებებზე. **სოსო შერმადინი, თორნიკე ნინიაშვილი, გიორგი მარკოიშვილი, თემურ თავამაიშვილი, დავით ბერიშვილი** - ეს თსუ-ს ახალწვეულთა ხუთეულია. შარშანდელი სეზონის შემდეგ სტუ-ში მივიდნენ: ტატო ჩაჩიბაია, **გოგა ჯავახიშვილი, დავით დეკანოიძე, ირაკლი ალხანაიძე, ზვიად ანთაძე, დავით კორძაძე.**

დღეს შეჯიბრებაში ტურნირის ერთ-ერთი ფავორიტი „ქუთაისი“ ჩაერთვება.

**ვაჟა სიმონიშვილი**

● ● ● 

ეროვნული ბიბლიოთეკა

● მსოფლიოს თასი

# პომპები ორი მგეზავით ითამაშებენ

ინგლისის ნაკრების თავკაცმა, **მარტინ ჯონსონმა** საფრანგეთის ეროვნულ გუნდთან მეოთხედფინალში დაპირისპირების წინ საკმაოდ უცნაური გადაწყვეტილება მიიღო. ინგლისელები „ლე ბლოს“ დამარცხებას ორი მგეზავით შეეცდებიან.

ჯონსონმა ათი ნომრის პოზიცია უფრო გამოცდილ და მსოფლიოს ერთ-ერთ საუკეთესო მგეზავ **ჯონი ვილკინსონს** ანდო. შუამარბად (№12) კი, ტრავმირებული **მაიკ თინდოლის** ნაცვლად ამპლუით მგეზავი **ტობი ფლუდი** დააყენა. ამ უკანასკნელს შუამარბად არაერთელ უთამაშია. პირველად ტობიმ, რომელსაც აქამდე 45 კეპი აქვს მოხვეჭილი, ეროვნულ გუნდში შუამარბად 2007 წელს ითამაშა. ამავე პოზიციაზე ირჯებოდა ის ინგლისელების მიერ მომდევნო წელს გამართულ ყველა მატჩში.

ერთი სიტყვით, ფლუდისთვის ამ პოზიციაზე თამაში უცხო არ არის. ის და „ვილკო“ სავარაუდოდ, შესანიშნავად გაუგებენ ერთმანეთს. სხვა საქმეა, როგორ შეეწყობა მეწყვილე (№13) **მანუ ტუილაგის.**

რვა ნომრის პოზიციაზე დაბრუნდა **ნიკ ისტერი**, რომელმაც ტრავმის გამო საქართველოსა და რუმინეთის ნაკრებებთან დაპირისპირებაში ვერ მიიღო მონაწილეობა. მეორე ხაზში **ტომ პალმერს** შეუწყვილდება **ლუის დიკონი.** პირობითად ძირითადის მოთამაშე კორტნი ლუისი კი სათადარიგოთა სკამზე დაიჭერს ადგილს.

თადარიგშიც არ დააყენა მარტინ ჯონსონმა გარემარბი **დელონ არმითიჯი,** მან ჯგუფური ტურნირის ბოლო მატჩში „ჯონოს“ იმედი ვერ გაუმართლა. მის ადგილს ისევ **მარკ კუეტო** დაიკავებს, რომელმაც რუმინეთის ნაკრებს სამი ლელო გაუტანა.

*„ტობი ფლუდისა და ჯონი ვილკინსონის ასეთი განლაგებით თამაში ჩვენთვის საკმაოდ საინტერესო კომბინაციაა. ტობი საკმაოდ გამოცდილი მოთამაშეა, ნაკრებში 40 შეხვედრა ზე მეტი გაუმართავს და დარწმუნებულნი ვართ, არ დაიბნევა.*

ტობი ფლუდი და ჯონი ვილკინსონი

*წლეულს ის შესანიშნავად ასპარეზობს. იმედი გვაქვს, რომ ტობი და მანუ ტუილაგიც კარგად გაუგებენ ერთმანეთს.*

*ბევრს ლაპარაკობენ იმის თაობაზე, რომ საფრანგეთის ნაკრების ბანაკში ყველაფერი ნესრიგში არ არის, რომ მნვრთნელები და მოთამაშეები ღიად აკრიტიკებენ ერთმანეთს. ეს ასეც რომ იყოს, გარწმუნებთ, აბსოლუტურად არაფერს ნიშნავს.*

*ფრანგი მორაგბეები პატრიოტები არიან. ისინი განსაკუთრებით სახიფათონი მაშინ ხდებიან, როცა კუთხეში არიან მიმწყვდეულნი და გასაქცევი აღარსად აქვთ. ფრანგები, მიუხედავად ყველაფრისა, რაც აქამდე ახალ ზელანდიაში გადახდათ, გამოვლენ და ბოლომდე თავდადებით ითამაშებენ.*

*გაიხსენეთ, როგორ სძლიეს მათ ორჯერ 1999 და 2007 წლებში მსოფლიოს თასის გათამაშების ფავორიტ ახალი ზელანდიის ნაკრებს. მათ დასაკარგავი არაფერი ჰქონდათ, დამარცხებისთვის არავინ გაიცხავდათ, მაგრამ ადგნენ და ფავორიტი „ოლ ბლექსი“ ხელცარიელი დატოვეს.*

*ფრანგებთან აგდებული დამოკიდებულება არ გამოგვადგება. მთელი ყურადრების კონცენტრაცია, განსაკუთრებით სანყის 20 წუთში გვმართებს. ამ პერიოდში საკმაოდ სვრიოზული სათამაშო უპირატესობა უნდა მოვიპოვოთ და ეს აუცილებლად ქულებშიც უნდა აისახოს. წინააღმდეგ შემთხვევაში, ფრანგების ძლევა ძალიან გაგვიჭირდება“ - თქვა ინგლისის ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა მარტინ ჯონსონმა.*

ინგლისის ნაკრები: 15. ბენ ფოდენი, 14. **კრის ეშტონი, 13. მანუ ტუილაგი, 12. ტობი ფლუდი, 11. მარკ კუეტო, 10. ჯონი ვილკინსონი, 9. ბენ იანგზი. 1. მეთ სტივენსი, 2. სტივ თომსონი, 3. დენ კოლი, 4. ლუის დიკონი, 5. ტომ პელმერი, 6. ტომ კროფტი, 7. ლუის მუდი, 8. ნიკ ისთერი.**

**16. დილან ჰართლი, 17. ალექს კორბიშერო, 18. კორტნი ლუის, 19. საიმონ შოუ, 20. ჯეიმზ ჰესკელი, 21. რიჩარდ ვაიგლსვორსი, 22. მეთ ბანაჰანი.**

# ინგლისელებს დაშავებულები დაუბრუნდნენ

ევროპელების მეოთხედფინალურ ბრძოლაში განსაკუთრებულ ინტერესს, ორი ძალიან სიმპათიური გუნდის, უელსისა და ირლანდიის ნაკრებების დაპირისპირება ინვევს.

უელსელები დღემდე რჩებიან ევროპაში ყველაზე სანახაობრივი, რომანტიკული რაგბის მიმდევრებად. ამ გუნდის მამართ არა მარტო ჩვენს ქვეყანაში აქვთ განსაკუთრებული სიმპათია. „სამყურებთან“ დაპირისპირებას, ცხადია, ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს უელსური რაგბის მომავლისთვის. მსოფლიოს თასის გათამაშების ისტორიაში ამ ქვეყნის ნაკრები საუკეთესო ოთხეულში არასდროს მოხვედრილა და ახლა ამ შანსის ხელიდან გაშვება არაფრით იქნება.

უელსელთა თავკაცმა **უორენ გეთლენდმა** ირლანდიის ნაკრებთან ხვალინდელი მატჩის ძირითად შემადგენლობაში სამი ტრავმამოშუშებული მორაგბე დააბრუნა. ესენია: გუნდის ლიდერი გარემარბი **შეინ ვილიამსი,** მესამეხაზელი **დენ ლიდიატე** და ფულბეკი **ლი ჰალპფენი.**

*„ნაკრების ძირითადი შემადგენლობის შერჩევა ამ შეხვედრისთვის ჩვენთვის ძალიან რთული იყო. ირლანდიასთან მატჩის მნიშვნელობა ზე არაფერს ვიტყვი. ეს ყველასთვის ცხადია. ამიტომ, ამჯერად ყველა ზე დიდხანს ვიფიქრეთ, როგორი შემადგენლობა შეგვერჩია.*

*ვფიქრობ, ყველა ზე საუკეთესო გადაწყვეტილება მივიღეთ, სხვა მხრივ ირლანდიის ნაკრებთან გამარჯვების მიღწევა, რომელმაც ავტრალიის ნაკრებს სძლია და ჯგუფში პირველი ადგილი დაიკავა, შეუძლებელია“* - თქვა უორენ გეთლენდმა.

უელსის ნაკრები: 15. ლი ჰალპფენი, 14. **ჯორჯ ნორსი, 13. ჯონათან დევისი, 12. ჯიმი რობერტსი, 11. შეინ ვილიამსი, 10. რის პრისტლენდი, 9. მაიკ ფილიპსი. 1. გეთინ ჯენკინსი, 2. ჰიუ ბენეტი, 3. ადამ ჯოუნზი, 4. ლუკ ჩარტერისი, 5. ალუნ-ვინ ჯოუნზი, 6. დენ ლიდიატე, 7. სემ ვერბარტონი, 8. ტობი ფალეტაუ.**

**16. ლოიდ ბარნსი, 17. პაულ ჯეიმზი, 18. ბრედლი დევისი, 19. რაიან ჯოუნზი, 20. ლოიდ ვილიამსი, 21. ჯეიმზ ჰუკი, 22. სკოტ ვილიამსი.**

# ლე ბლო ისევ ორი ცხრიანით იასპარეზებს

საფრანგეთის ნაკრების მთავარი მწვრთნელი **მარკ ლივერმონი** ჯიუტობს და არაფრით იშლის ძირითად შემადგენლობაში ორი ცხრა ნომრის ერთდროულად დაყენებას. არადა, **დიმიტრი იაშვილისა** და **მორგან პარას** დუეტით მოთამაშე „ლე ბლომ“ ზედიზედ ორჯერ წააგო ახალი ზელანდიისა და ტონგას ნაკრებებთან.

ქართული წარმოშობის ცხრა ნომერი იაშვილი, ინგლისელებთან ისევ თავის ჩვეულ პოზიციაზე ითამაშებს, პარა კი კვლავ მგეზავი იქნება. ლივერმონს იმედი აქვს, რომ ეს დუეტი ბოლო-ბოლო გაამართლებს და „პომპებს“ ვებ ელისის თასისკენ მიმავალ გზას გადაულობავს.

საფრანგეთის ნაკრების ბანაკში ყველაფერი რიგზე არაა. მდგომარეობა განსაკუთრებით მას შემდეგ გართულდა, როცა ლივერმონის სამწყსომ სამარცხვინოდ წააგო ტონგას ნაკრებთან და ჯერჯერობით ერთადერთი სენსაციის მსხვერპლი შეიქნა.

*„ჩვენ უფლება არ გვაქვს, ემოციებს ავყვეთ. არა მგონია, რომ გუნდში რამე პრობლემა იყოს მოთამაშეებსა და მწვრთნელებს შორის. უბრალოდ, ყველანი შერცხვენილები ვართ ტონგას ნაკრებთან მარცხის გამო.*

*იმედი მაქვს, ეს წაგება ცივი შხაპივით იმოქმედებს ჩემს გუნდზე. ამიტომ მოუთმენლად ველით მომდევნო მატჩს. მჯერა ჩემი მორაგბეების, ისინი მაღალი დონის პროფესიონალები არიან და დარწმუნებული ვარ, ყველაფერს იღონებენ მეტოქის დასამარცხებლად“* - თქვა საფრანგეთის ნაკრების თავკაცმა მარკ ლივერმონმა.

საოცარია, მაგრამ ტონგასთან მარცხის შემდეგ ლივერმონმა გუნდში მხოლოდ ორი ცვლილება განახორციელა. შერკინების პირველ ხაზში დაბრუნდა **ნიკოლა მასი.** მესამე ხაზში ფლანკერის პოზიციას **იმანო არინორდოკი** დაიკავებს. **რაფაელ ლაკაფია** კი 22-კაციან შემადგენლობაშიც ვერ მოხვდა. სათადარიგო მესამეხაზელი **ლუი პიკამოლი** იქნება.

საფრანგეთის ნაკრები: 15. მაქსიმ მედარი, 14. ვინსენ კლერი, 13. ორელიან რუჟერი, 12. მაქსიმ მერმოსი, 11. ალექსის პალისონი, 10. მორგან პარა, 9. დიმიტრი იაშვილი. 1. ჟან-ბატისტ პუ, 2. ვილიამ სერვატი, 3. ნიკოლას მასი, 4. პასკალ პაპე, 5. ლიონელ ნალე, 6. ჟულიენ ბონერი, 7. იმანოლ არინორდოკი, 8. ტიერი დუსოტუარი.

16. დიმიტრი შზარჟებსკი, 17. ფაბიენ ბარსელა, 18. ჟულიენ პიერი, 19. ლუი პიკამოლი, 20. ფრანსუა ტრინ-დუკი, 21. დავიდ მარტი, 22. სედრიკ ეიმანსი.

# სამყურებმა ყველა საუკეთესო დაასახელეს

ირლანდიის ნაკრები ახალ ზელანდიაში მიმდინარე მსოფლიოს თასზე ერთ-ერთი ყველაზე დალაგებული, კარგად დაკომპლექტებული გუნდია. ჯგუფურ ტურნირში „სამყურებმა“ შესანიშნავად ითამაშეს და ერთ-ერთი მთავარი ფავორიტი, ავსტრალიის ნაკრები დაამარცხეს.

ირლანდიის ნაკრების თავკაცმა **დიკლან კიდნიმ** შერკინების კვაჭად **რორი ბესტი** დააყენა, რომელსაც მხარი ჰქონდა დაშავებული და აქამდე მკურნალობდა.

ეროვნულ ნაკრებში მე-80 კეპს მოიხვეჭს მეორეხაზელი **დონჩა ოკალაჰანი.** ცხადია, მწყობრშია და კიდევ ერთხელ წარუძღვება გუნდს ლეგენდარული შუამარბი **ბრაიან ოდრისკოლი.** მგეზავის პოზიციაზე კიდნიმ საბოლოოდ გააკეთა არჩევანი გამოცდილი **რონან ოგარას** სასარგებლოდ. ახალგაზრდა **ჯონათან სექსტონი** კი თადარიგში იქნება.

*„ნაკრების ძირითად შემადგენლობაში ადგილის დასაკავებლად ბრძოლა ყოველ დღე გვიწევს. ეს მსოფლიოს თასის გათამაშებაა და ყველა განსაკუთრებულ რეჟიმში ვვარჯიშობთ და ვცხოვრობთ. თითოეულ ჩვენგანს ნათლად აქვს გაცნობიერებული პასუხისმგებლობა, რასაც მეოთხედფინალში ირლანდიის ნაკრების კვართით თამაში გვაკისრებს“* - თქვა სამყურების მგეზავმა რონან ოგარამ.

ირლანდიის ნაკრები: 15. **რობერტ კირნი, 14. ტომი ბოუი, 13. ბრაიან ოდრისკოლი, 12. გორდონ დარსი, 11. ქის ირლსი, 10. რონან ოგარა, 9. კონორ მურეი. 1. კინ ჰილი, 2. რორი ბესტი, 3. მაიკ როსი, 4. დონჩა ოკალაჰანი, 5. პოლ ოკონელი, 6. სტივენ ფერისი, 7. შონ ობრაიანი, 8. ჯიმი ჰისლიპი.**

**16. შონ კრონინი, 17. ტომ ქარტი, 18. დონჩა რაიანი, 19. დენის ლიმი, 20. ეოინ რედანი, 21. ჯონათან სექსტონი, 22. ენდრიუ ტრიმბლი.**

გვერდი მოამზადა
**ბესიკ ჭანგავაძემ**

msy.gov.ge

ეროვნული ბიბლიოთეკა

● კალათბურთი

# ჯინობილი სამშობლოში ვარჯიშობს

არგენტინული პრესის ინფორმაციით, „სან ანტონიო სპურსის“ მცველი **მანუ ჯინობილი** სამშობლოში კლუბ „ესტუდიანტესის“ რიგებში ვარჯიშობს.

34 წლის ჯინობილმა, რომელიც იტალიური პრესის ინფორმაციით შეიძლება ბოლონიას „ვირტუსში“ გადავიდეს, არგენტინის ლიგის კლუბში ორი ვარჯიში ჩაატარა. მანუმ ისიც განაცხადა, რომ არ აპირებს ლოკაუტის პერიოდში ევროპაში თამაშს.

„ამჟამად კარგად დასვენება მაქვს განზრახული. არ შემიძლია პასუხი მივცე „ვირტუსს“, რადგან მზად არ ვარ სათამაშოდ. „ესტუდიანტესთან“ ერთად ვვარჯიშობ. უბრალოდ, ამ კლუბს ვეხმარები“, - ამბობს არგენტინელი ვარსკვლავი.

ჯინობილის „ვირტუსში“ ტრანსფერი იმ შემთხვევაში განხორციელდება, თუ იტალიური კლუბი ვერ მოელაპარაკება **კობი ბრაიანტს**.

...

„მილუოკი ბაქსის“ ძირითად ცენტრს **ენდრიუ ბოგუტს** სამშობლოში თამაში აქვს გადაწყვეტილი. ის „სიდნეი კინგზში“ გააგრძელებს კარიერას. თუმცა „მეფეებთან“ კონტრაქტი ჯერ ოფიციალურად არ არის გაფორმებული.

ამის მიზეზი დაზღვევის გაფორმებისას წარმოქმნილი შეფერხებებია. როგორც კი ეს პრობლემა მოგვარდება, ბოგუტი ლოკაუტის ბოლომდე „სიდნეის“ წევრი იქნება.

შეგახსენებთ, რომ ბოგუტს სამ ავსტრალიურ კლუბს („სიდნეი“, „ადელაიდა“, „გოლდ კოუსტ ბლეიზი“) შორის უნდა გაეკეთებინა არჩევანი.

# გაურკვევლობის პერიოდი დაიწყო

ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის ხელმძღვანელობასა და მოთამაშეთა პროფკავშირს შორის ჩაშლილი მოლაპარაკებების შესახებ გუშინდელ ნომერში ვწერდით. მოლაპარაკებათა მორიგ რაუნდში განცდილი კრახის შემდეგ თითქმის აღარ დარჩა ახალი სეზონის დათქმულ ვადაში დაწყების შანსი. თანაც სიტუაციას ისიც ართულებს, რომ მხარეებს ახალი შეხვედრის თარიღი არ დაუთქვამთ.

ახლა სიტუაციის გამოსწორებას შვიდი წამყვანი აგენტი ცდილობს. ისინი აპირებენ უახლოეს ორ დღეში ორგანიზება გაუკეთონ კლუბების მფლობელებსა და პროფკავშირს შორის სელექტორულ შეხვედრას, რათა კომპრომისი გამოინახოს და ხელი მოეწეროს ახალ კოლექტიურ ხელშეკრულებას. არადა, უფრო ადრე აგენტებმა მიმართეს თავიანთ კლიენტებს, რომ ისინი არ დათანხმდნენ ახალ ხელშეკრულებას, თუ კალათბურთელების საერთო მოგების წილი 57 პროცენტზე ნაკლები იქნება.

ამასობაში, საინტერესო ინფორმაცია გაავრცელა Sporting News-მა. კალათბურთელებმა გაიმეორეს თავიანთი ბოლო შეთავაზება - ისინი მზად არის დათახმდნენ საერთო მოგების 51-პროცენტიან წილს. შეგახსენებთ, რომ ლიგის ხელმძღვანელობა მოგების თანაბრად გაყოფას ითხოვს.

თუმცა იქვე ვრცელდება პროფკავშირის აღმასრულებელი დირექტორის **ბილი ჰანტერის** კომენტარი იმასთან დაკავშირებით, რომ მისი მხარე მოლაპარაკებების პროცესში არანაირ დათმობაზე არ წავა.

„გუშინ, კლუბების მფლობელებმა უკან დახევა მოგვთხოვეს, მაგრამ უარი განვაცხადეთ. მოთამაშეთა წილის 50 პროცენტამდე შემცირება - არც ისე სამართლიანი ვარიანტია“, - ამბობს ჰანტერი.

ლოკაუტის პერიოდში უკვე შეიმჩნევა პრობლემები კლუბებში. კერძოდ, „მაიამი ჰიტის“ ხელმძღვანელობა თავისი თანამშრომლებისთვის ხელფასის შემცირებას იწყებს. უკვე შემცირდა ჯამაგირი 10 პროცენტით. თუ ლოკაუტი 31 მარტამდე გაგრძელდა, კლება 25 პროცენტს მიაღწევს, შემდეგ კი 50 პროცენტს.

იტყობინებიან, რომ „ჰიტის“ მწვრთნელი **ერიკ სპოელსტრა** მშვიდად შეხვდა ამ იძულებით ზომებს.

მარკუს კემბი

# კემბი ნარკომანი არ ყოფილა

„პორტლენდ თრეილ ბლეიზერსის“ ცენტრს **მარკუს კემბის** მოუხსნეს ნარკოტიკების შენახვის ბრალდება. შეგახსენებთ, რომ რამდენიმე დღის წინ ქალაქ პირლენდის (ტექასის შტატი) პოლიციამ გააჩერა მანქანა, რომელშიც კალათბურთელი და მისი მეგობარი ისხდნენ და იქ მცირე რაოდენობით მარიხუანა აღმოაჩინა. ორივე პოლიციის განყოფილებაში გადაიყვანეს.

გამოძიებისას დადგინდა, რომ კემბის ამ ისტორიასთან კავშირი არ ჰქონდა, ამიტომაც კალათბურთელს ყველა ბრალდება მოუხსნეს. კემბის მეგობარმა კი აღიარა მარიხუანას შენახვა და ახლა 1.5 ათასი დოლარის ოდენობის ჯარიმის გადახდა მოუწევს.

NBA-ის მოთამაშეები რეგულარულად ხვდებიან ნარკოტიკებთან დაკავშირებულ სკანდალებში, მაგრამ მკაცრად დასჯის შიში არ აქვთ - მაქსიმუმ ჯარიმას იღებენ ან რამდენიმე მატჩით დისკვალიფიკაციას.

საერთოდ, სტატისტიკის მიხედვით NBA-ის მოთამაშეთა 60-70 პროცენტი მარიხუანას ეწევა ან ალკოჰოლს ეტანება. „ფინიქს სანზის“ ყოფილმა მოთამაშემ **რიჩარდ დიუმამ**, რომელიც თავის დროზე ნარკოტიკების მოხმარებისთვის ლიგიდან მოკვეთეს, ერთხელ განაცხადა: „მარიხუანაზე ანალიზს რომ იღებდნენ, ჩვენი ასოციაცია არსებობას შეწყვეტდა“.

# 2 მილიონი ერთი მაჯჩისთვის

გრძელდება სატრანსფერო საგა სახელწოდებით - „კობი ბრაიანტი „ვირტუსში“. ბოლო ინფორმაცია ასეთია: ბოლონიური კლუბის მფლობელმა **კლაუდიო საბატინიმ** ჟურნალისტებს განუცხადა, რომ მოლაპარაკებები „ლოს ანჯელეს ლეიკერსის“ ლიდერთან ძალიან ნელა და მძიმედ მიმდინარეობს.

*„ცოტა ხნის წინ სატელეფონო საუბარი მქონდა კობი ბრაიანტის აგენტთან. ახლა ისღა დაგვრჩენია, მათ საბოლოო პასუხს დაველოდოთ. ჩვენ მივიღეთ ფინანსური წინადადება და პასუხად ხელშეკრულების ორი ვარიანტი გავუგზავნეთ - კონტრაქტი ერთ თამაშზე ან 40 დღეზე. გადაწყვეტილება ბრაიანტმა უნდა მიიღოს.*

*ერთმატჩიანი ხელშეკრულების შეთავაზებით მოლაპარაკებების პროცესის დაჩქარება გვინდოდა. კობის შეეძლება კვირას იტალიაში ჩამოსვლა და უკვე ოთხშაბათს „ბენეტონის“ წინააღმდეგ თამაში. იმედი გვაქვს, ის უფრო დიდხანს გადაწყვეტს ჩვენთან დარჩენას. ნებისმიერ შემთხვევაში, ორი კვირის შემდეგ ბრაიანტს ამერიკაში მოუწევს დაბრუნება სასპონსორო ვალდებულებების შესასრულებლად“*, - ამბობს საბატინი.

როგორც ვარაუდობენ, კობი სწორედ ერთმატჩიან ხელშეკრულებას დათანხმდება. ის 12 ოქტომბერს ითამაშებს „ბენეტონის“ წინააღმდეგ და ამისთვის 2 მილიონ დოლარს მიიღებს. მისი საბოლოო პასუხი დღეს გახდება ცნობილი.



კობი ბრაიანტი

● ფორმულა 1

მაკლარენის ბრიტანელები

# მალე გამარჯვება მოვა

**მომავალ უქმეებზე სუზუკას ტრასაზე იაპონიის გრანპრი გაიმართება. დიდი ალბათობით შეიძლება იმის თქმა, რომ სწორედ ამ ეტაპზე გაიფორმებს ზედიზედ მეორე ჩემპიონობას „რედ ბულის“ პილოტი სებასტიან ფეტელი, რომელსაც საბოლოო მიზნის მისაღწევად ერთი ქულის მოპოვება სჭირდება. თუმცა „მაკლარენის“ პილოტები ლუის ჰემილტონი და ჯენსონ ბატონი აცხადებენ, რომ მაქსიმალურად გაურთულებენ საქმეს გერმანელს, თუმცა დარწმუნებული არიან ფეტელის ტრიუმფში.**

**- მიგაჩნიათ, რომ სინგაპურში შესაძლებელი იყო სებასტიან ფეტელთან ტოლ-სწორად ბრძოლა?**

**ჯენსონ ბატონი**: ყოველთვის შეიძლება იმაზე მსჯელობა, რა შეიძლებოდა მომხდარიყო ამა თუ იმ სიტუაციაში, მაგრამ იმ რბოლაში ტრაფიკშიც რომ არ მოვხვედრილიყავი, რთული იქნებოდა სებასტიანის გასწრება.

**ლუის ჰემილტონი**: გუნდმა შესანიშნავად იმუშავა და დღეს სისწრაფის მიხედვით მეორე ადგილს ვიკავებთ ჩემპიონატში. წინა რბოლებში მანქანა ძალიან კონკურენტუნარიანი იყო, ჯენსონი კი ბოლო ოთხ გრანპრიზე კარგად გაუმკლავდა სამუშაოს. რა თქმა უნდა, ყოველთვის შეიძლება მომატება და ახლა სწორედ ამით ვართ დაკავებული. გუნდი მუდმივად პროგრესირებს და ამცირებს სხვაობას „რედ ბულთან“, რასაც სხვა გუნდებზე ვერ ვიტყვით.

**ჯენსონ ბატონი**: რაც არ უნდა მოხდეს, სებასტიან ფეტელი მოიგებს ჩემპიონატს. მას დარჩენილ ხუთ რბოლაში მხოლოდ ერთი ქულის მოპოვება სჭირდება. ჩვენ დაძაბული მუშაობა ჩავატარეთ და ბრძოლა გავუმართეთ „რედ ბულს“. ვფიქრობ, მალე გამარჯვებასაც ვიზეიმებთ.

**- რა გხიბლავთ იაპონიის გრანპრიში?**

**ლუის ჰემილტონი**: მომწონს იაპონიაში მოგზაურობა, რადგან ძალიან ლამაზი ქვეყანაა. ეს წელი მისთვის რთული აღმოჩნდა. ავტოსპორტი მნიშვნელოვანია იაპონიისთვის, იქ „მაკლარენს“ ბევრი გულშემატკივარი ჰყავს, ამიტომაც მოუთმენლად ველოდები ამ რბოლას.

**- გრძნობთ, რომ სუზუკა ერთ-ერთი ლეგენდარული ტრასაა კალენდარში?**

**ჯენსონ ბატონი**: სავარაუდოდ, სუზუკა ყველაზე რთული ტრასაა ჩემპიონატში. ჯერ ერთი, მას ურთულესი კონფიგურაცია აქვს, ძალიან სწრაფია და პილოტს ამოსუნთქვის საშუალება არ აქვს. გარდა ამისა, ტრეკი ვიწროა, ამიტომაც შეცდომა ძვირად ფასობს. ეს არის ძველი ყაიდის ტრასა. ერთი შეცდომა - და თქვენ პრობლემები გეწყებათ. ის ძალიან რთულია პილოტირების მხრივ. ვფიქრობ, ამიტომაც გვიყვარს ყველას.

**ლუის ჰემილტონი**: სუზუკა - ჩქაროსნული ტრასაა ბევრი „რბილი“ მოსახვევით, განსაკუთრებით პირველ სექტორში. შემდეგ იწყება ამაღლება, დაღმართს კი საკმაოდ გრძელი სწორი მონაკვეთი მოჰყვება. აქ ძალიან რთულია გასწრება, ამიტომაც ბევრი რამ არის დამოკიდებული სასტარტო პოზიციაზე.

**- რა სიახლეები მოამზადა გუნდმა იაპონიის გრანპრისთვის?**

**ჯენსონ ბატონი**: რამდენიმე ტექნიკური სიახლე გვაქვს სუზუკასთვის. იმედია, ეს საშუალებას მოგვცემს შევამციროთ სხვაობა. არ ვიცი, აგრძელებენ თუ არა „რედ ბულში“ მუშაობას ნლევანდელ მანქანაზე, რადგან ფაქტობრივად განაღდებული აქვთ ჩემპიონობა. თუ ეს ასე არ არის, მაშინ შევძლებთ გამარჯვებისთვის ბრძოლას.

**ლუის ჰემილტონი**: სერიოზული მოჭიდების ძალა გვჭირდება. მინდა გუნდმა, რაც შეიძლება დიდი ხანი გააგრძელოს მუშაობა. ეჭვი არ მეპარება, რომ კონკურენტუნარიანები ვიქნებით დარჩენილ რბოლებში.

**ჯენსონ ბატონი**: სუზუკაში კარგი შედეგი მნიშვნელოვანია ჩემთვის: მიყვარს ეს ქვეყანა და იმედი მაქვს, მაყურებელს საინტერესო რბოლას ვაჩუქებთ.

**იაპონიის გრანპრი**

**ჩატარების ადგილი** - სუზუკა, იაპონია
**წრის სიგრძე** - 5 807 მ
**საუკეთესო წრე** - 1:31,540 (რაიკონენი, 2005)

**საერთო ჩათვლა**

1. ფეტელი (რედ ბული) - 309 ქულა
2. ბატონი (მაკლარენი) - 185
3. ალონსო (ფერარი) - 184
4. უებერი (რედ ბული) - 182
5. ჰემილტონი (მაკლარენი) - 168
6. მასა (ფერარი) - 84
7. როსბერგი (მერსედესი) - 62
8. შუმახერი (მერსედესი) - 52

**განრიგი**

7 ოქტომბერი, 05:00 - I პრაქტიკა
7 ოქტომბერი, 09:00 - II პრაქტიკა
8 ოქტომბერი, 06:00 - III პრაქტიკა
8 ოქტომბერი, 09:00 - კვალიფიკაცია
9 ოქტომბერი, 10:00 - რბოლა

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

● ჰოკეი

# სეზონის სიმულაცია

## პიტსბურგი ჩემპიონი, ოვეჩნიკი MVP, სტემკოსი სნაიპერი

პიტსბურგი პინგვინზი

ჰოკეის ეროვნულ ლიგაში სეზონი დღეს იწყება, თუმცა NHL-ის ოფიციალურმა ვებგვერდმა EA Sports-ის სიმულატორის მეშვეობით უკვე გაარკვია მომავალი სეზონის ლაურეატები.

სიმულატორის ბაზაში შეიტანეს ლიგის ყველა გუნდის შესახებ ამომწურავი ინფორმაცია და შემდეგ 2011-12 წლების სეზონი „ჩაატარეს". საბოლოოდ, სტენლის თასის მფლობელი გახდა „პიტსბურგ პინგვინზი", რომელმაც ფინალურ სერიაში ექვს მატჩში დაამარცხა „ჩიკაგო ბლეკჰოქსი". პლეი ოფის საუკეთესო მოთამაშის პრიზი („კონ სმიტ ტროფი") პიტსბურგელთა კაპიტანმა **სიდნი კროსბიმ** მოიპოვა.

საინტერესოა, რომ EA Sports-ის პროგრამაში შეტანილი იყო ის ინფორმაციაც, რომ კროსბი ტრავმის გამო გამოტოვებს ახალი სეზონის დასაწყისს. საბოლოოდ, სიდნი 5 დეკემბერს დაბრუნდება ყინულზე - სტენლის თასის მოქმედ მფლობელთან "ბოსტონთან" მატჩში. რეგულარულ ჩემპიონატში კროსბი 65 მატჩის გამართვას მოასწრებს და 92 ქულას (30 გოლი+62 პასი) დააგროვებს, რითაც გუნდის საუკეთესო ბომბარდირი გახდება.

სეზონის MVP-ის პრიზი მოიგო „ვაშინგტონის" რუსმა ვარსკვლავმა **ალექსანდრ ოვეჩკინმა**. გარდა ამისა, ის რეგულარული ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირი გახდა - 110 ქულა (51+59). რეგულარულის საუკეთესო სნაიპერის პრიზი („მორის რიშარ ტროფი") „ტამპა ბეის" თავდამსხმელ **სტივენ სტემკოსს** ერგო - მან 53 შაიბა გაიტანა.

საუკეთესო მეკარის პრიზი მოიგო „რეინჯერსის" გოლკიპერმა **ჰენრიკ ლუნდკვისტმა**, საუკეთესო მცველი გახდა ნეშვილელი **ში უებერი**, საუკეთესო დებიუტანტი - **ბრეიდენ შენი** „ფილადელფიადან".

აღმოსავლეთიდან პლეი ოფში მოხვდნენ: „ვაშინგტონი", „პიტსბურგი", „ბაფალო", „ბოსტონი", „ფილადელფია", „ტამპა ბეი", „რეინჯერსი" და „ტორონტო", დასავლეთიდან: „ვანკუვერი", „სან ხოსე", „ჩიკაგო", „დეტროიტი", „ლოს ანჯელესი", „ნეშვილი", „ანაჰაიმი", „მინესოტა".

ზედიზედ მეორედ რეგულარულის ჩემპიონი გახდა „ვანკუვერი".

● ოლიმპიზმი. ლონდონი 2012

# ლონდონში ყველაფერი მზად არის

ლონდონის მერი ბორის ჯონსონი

ლონდონის მერმა **ბორის ჯონსონმა** ამაყად გამოაცხადა, რომ ყველაფერი მზად არის 2012 წელს ზაფხულის თამაშების ჩასატარებლად. მისი თქმით, დასრულებულია ოლიმპიური ობიექტების მშენებლობა და სრულად კეთილმოწყობილია ოლიმპიური პარკი.

მერის სიტყვებით, სრულდება სატრანსპორტო სისტემის მომზადება, რომლის მოდერნიზაციაზე სულ 6.5 მილიონი ფუნტი დაიხარჯა. სატრანსპორტო პრობლემა ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი იყო ოლიმპიადის ორგანიზების პროცესში. ეს სისტემა სრულ გარდაქმნას მოითხოვდა, რადგან ლონდონი არ იყო მზად ოლიმპიადის დროს დიდი რაოდენობით სპორტსმენისა და მაყურებლის მისაღებად.

ჯონსონმა ეს განცხადება ლონდონში საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის სპეციალური კომისიის ვიზიტისას გააკეთა. სოკ-ის წევრებმა კიდევ ერთხელ შეამოწმეს ბრიტანეთის დედაქალაქის მზადება მომავალი თამაშებისთვის, მაგრამ, როგორც აღმოჩნდა, იქ უკვე ყველანაირი სამუშაო შესრულებული იყო. ოლიმპიური კომიტეტის ინსპექტორებმა მოინახულეს ოლიმპიური ობიექტები, მაგრამ შორის, მთავარი ოლიმპიური სტადიონი, სადაც ამ კვირას დასრულდა სარბენი ბილიკის დაგება.

■ ■ ■

ამასობაში, ლონდონის ოლიმპიადის ორგანიზატორებმა შეზღუდვა დააწესეს ოლიმპიურ არენებზე წყლისა და სხვა ნივთების შეტანაზე.

კერძოდ, აკრძალული იქნება ტრიბუნაზე ასვლა 100 მილილიტრზე მეტი მოცულობის ბოთლით. იგივე აკრძალვა ეხება წვენებს მუყაოს პაკეტებში. გარდა ამისა, აკრძალულია თერმოსისა და ნებისმიერ საკვების შეტანა (გარდა საბავშვოსი). ბუნებრივია, ტრიბუნებზე ალკოჰოლური სასმელების ნასახი არ იქნება. არ შეიძლება მზისგან დამცავი კრემითა და სხვა მსგავსი პარფიუმერიული საშუალებებით სტადიონზე მისვლა.

იტყობინებიან, რომ ეს წესები ჯერ კიდევ განხილვის სტადიაშია და შეიძლება შეიცვალოს. ამ გადაწყვეტილების მონინააღმდეგეები მიიჩნევენ, რომ აკრძალვები სერიოზულად გაურთულებს ცხოვრებას გულშემატკივრებს და მათ ბევრ უხერხულობას შეუქმნის.

● კრივი

ჟან-მარკ მორმეკი

# კლიჩკო-მორმეკი ოფიციალურად დადასტურდა

გუშინ, ოფიციალურად გამოცხადდა, რომ სუპერმძიმე წონაში მსოფლიოს ჩემპიონი, უკრაინელი **ვლადიმერ კლიჩკო** მორიგ ბრძოლას 90.7-კილოგრამამდე წონით კატეგორიაში მსოფლიოს ყოფილ ჩემპიონთან, ფრანგ **ჟან-მარკ მორმეკთან** გამართავს. ეს ორთაბრძოლა 10 დეკემბერს გერმანიის ქალაქ დიუსელდორფში, ადგილობრივი საფეხბურთო კლუბის „ფორტუნას" არენაზე გაიმართება.

უმცროსმა კლიჩკომ მორმეკს ერთ-ერთი ყველაზე გამოცდილი მოკრივე უწოდა იმ მეტოქეთაგან, ვისაც აქამდე შეხვედრია. უკრაინელი მძიმეწონოსნის თქმით, მის მეტოქეს კარგი ტექნიკა და დაყენებული დარტყმა და რინგზე ბრძოლის გონიერად წარმართვის უნარი აქვს. *„მისი შეუფასებლობა ფატალური შეცდომა იქნება"*, - განაცხადა კლიჩკომ.

მორმეკი ამბობს, რომ თავიდანვე შეგუებულია ამ ბრძოლის წინ აუტსაიდერის სტატუსს და მოსწონს ასეთი მდგომარეობა. ის თავის ფანებს გამარჯვებასა და საკრივო სამყაროს „გადაბრუნებას" ჰპირდება. *„მე დავამსხვრევ კლიჩკოს ბროლის ყბას"*, - დაიქადა ფრანგმა მოკრივემ.

39 წლის მორმეკი პირველად მსოფლიოს ჩემპიონი 2002 წელს გახდა - მაშინ მან WBA-ის ტიტული მოიპოვა. 2005 წელს WBC-ის საჩემპიონი ქამარი დაისაკუთრა. ერთი წლის შემდეგ კი იამაიკელ **ო'ნილ ბელთან** წააგო, მაგრამ 2007 წელს რევანში აიღო და ტიტულები დაიბრუნა.

2007 წლის ნოემბერში მორმეკმა ნოკაუტით წააგო ბრიტანელ **დევიდ ჰეისთან**, რის შემდეგაც ორი წელი არ გასულა რინგზე. 2009 წლის ბოლოს ფრანგმა კარიერა სუპერმძიმე წონაში განაახლა. ამ კატეგორიაში მან ჯერჯერობით სამი ბრძოლა ჩაატარა და სამივე მოიგო. სულ მორმეკის ანგარიშზე 40 ბრძოლა, 36 მოგება (22 ნოკაუტით) და ოთხი წაგებაა.

35 წლის კლიჩკოს ეკუთვნის IBF-სი, WBO-სა და WBA-ის ტიტულები. დღემდე მან 59 ბრძოლა გამართა, საიდანაც 56 მოიგო (49 ნოკაუტით) და სამი წააგო.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაგეიშვილმა**

● ცხელი ხაზი

**ფეხბურთი**

**ევრო 2013**

**UNDER 21**

| | |
|---|---|
| საბერძნეთი-სან მარინო | 2:0 |
| გერმანია-ბოსნია | 3:0 |
| შვედეთი-სლოვენია | 1:1 |
| ხორვატია-ესპანეთი | 0:2 |
| პორტუგალია-პოლონეთი | 1:1 |
| ლიხტენშტაინი-იტალია | 2:7 |
| აზერბაიჯანი-ნორვეგია | 0:2 |
| ისლანდია-ინგლისი | 0:3 |
| ავსტრია-ჰოლანდია | 0:1 |
| ლუქსემბურგი-შოტლანდია | 1:5 |

**ევრო 2012**

**UNDER 19**

| | |
|---|---|
| რუსეთი-ბოსნია | 0:2 |
| ირლანდია-ბულგარეთი | 4:1 |
| იტალია-რუმინეთი | 1:2 |
| აზერბაიჯანი-შვედეთი | 1:0 |
| ბელარუსი-ჩერნოგორია | 0:0 |
| გერმანია-ჩრ. ირლანდია | 5:1 |

**ამხანაგური მაჯიჩები**

| | |
|---|---|
| ჩინეთი-საემირეები | 2:1 |
| ტაილანდი-იორდანია | 0:0 |
| ტელსტარი-ჰერენვეენი | 1:5 |
| დინამო (დრ)-ლიბერეცი | 4:1 |
| ოსნაბრიუკი-ვერდერი | 0:3 |
| სერვეტი-სტ. ეტიენი | 1:1 |

**ინგლისი**

**კონფერენსი**

| | |
|---|---|
| კემბრიჯი-სტოკპორტი | 2:2 |

**ჩეხეთის თასი**

| | |
|---|---|
| გუდეიოვიცე-ვიქტორია | 1:0 |

**რუსეთი**

**II დივიზიონი**

| | |
|---|---|
| გაზოვიკი-ტორპედო (ვ) | 1:1 |
| ურალი-ნ. ნოვგოროდი | 2:0 |
| ჩერნომორეცი-მორდოვია | 0:1 |
| დინამო (ბრ)-ენისეი | 2:1 |
| ფაკელი-ალანია | 1:1 |
| ხიმკი-გაზპრომი | 1:1 |
| შინიკი-სიბირი | 3:3 |
| ტორპედო (მ)-სკა ენერგია | 2:1 |
| ბალტიკა-ლუჩ ენერგია | 2:0 |

**უნგრეთი**

**ლიგის თასი**

| | |
|---|---|
| დიოშდიორი-ვაშაში | 3:0 |

**კალათბურთი**

**აღრიატიკის ლიგა**

| | |
|---|---|
| მაკაბი-ციბონა | 97:81 |
| ნ. ნოვგოროდი-ცსკა | 62:79 |

**ხელბურთი**

**ჩემპიონთა ლიგა**

| | |
|---|---|
| შაფჰაუზენი-ბარსელონა | 26:30 |
| კონსტანტა-ჰამბურგი | 26:34 |

**პოკერი**

**კელ**

| | |
|---|---|
| ავანგარდი-ს. იულიავი | 4:2 |
| ავტომობილისტი-იუგრა | 4:1 |
| ტრაქტორი-მეტალურგი (მ) | 5:1 |
| ცსკა-ამური | 3:2 (ბ) |
| დინამო (მნ)-სიბირი | 1:2 (ო) |
| პოპრადი-მეტალურგი (ნ) | 4:0 |

**ლანია**

| | |
|---|---|
| კოპენჰაგენი-ოდენსე | 2:3 (ბ) |
| როდოვრე-სენდერიისკი | 4:3 (ო) |
| ფრედრიკშავნი-ჰერნინგი | 0:5 |
| ჰერლევი-ესბერგი | 3:2 |

**ნორვეგია**

| | |
|---|---|
| ლილეჰამერი-ლორენსკოგი | 2:3 |
| მანგლერუდი-სპარტა | 2:3 (ბ) |
| სტორჰამარი-რუსენბორგი | 9:0 |
| ფრისკ ასკერი-ვოლერენგა | 2:9 |

**ფინეთი**

| | |
|---|---|
| კერპეტი-ტაპარა | 2:1 |
| სეი პა-ლუკო | 7:2 |

**ჩეხეთი**

| | |
|---|---|
| კლადნო-ლიტვინოვი | 4:1 |

**შვედეთი**

| | |
|---|---|
| ბრიუნესი-ლულეო | 0:1 |
| ლინჩოპინგი-ფრიოლუნდა | 2:1 |
| მოდო-შელეფტეო | 1:2 |

**ჩოგბურთი**

**ATP. პეკინი**

| | |
|---|---|
| ფერერო-გრანოლერსი | 6:4, 6:4 |
| ცონგა-ჟანგი | 6:3, 6:4 |
| ჩილიჩი-ფონინი | 6:2, 6:7, 6:3 |
| ანდერსონი-მონტანიესი | 7:6, 7:6 |

**ATP. ტოკიო**

| | |
|---|---|
| ხირალდო-ტურსუნოვი | 6:4, 7:6 |
| ებდენი-ფერერი | 6:4, 2:6, 2:6 |
| ნადალი-რაონიჩი | 7:5, 6:3 |
| ბოგომოლოვი-მიურეი | 1:6, 2:6 |
| დოდიგი-ნალბანდიანი | 6:7, 2:6 |

**WTA. პეკინი**

| | |
|---|---|
| რაზანო-ნიკულესკუ | 6:4, 1:6, 2:6 |
| კირილენკო-პაჩეკი | 6:1, 6:2 |
| ა. რადვანსკა-არვიდსონი | 6:4, 6:2 |
| პენეტა-ციბულკოვა | 6:1, 4:6, 6:4 |
| ვოზნიაცკი-კანეპი | 6:3, 7:6 |

● TV პროგრამა

**7 ოქტომბერი. პარასკევი**

**GMG-ფეხბურთი**

**10:00** არგენტინის ჩემპიონატი. X ტურის მიმოხილვა.
**11:00** ბრაზილიის ჩემპიონატი. XXVII ტურის მიმოხილვა.
**11:30** ყოველკვირეული ტელეჟურნალი - WORLD OF FOOTBALL.
**12:00** ჰოლანდიის ჩემპიონატი. IX ტური. გრონინგენი-აიაქსი.
**14:00** იტალიის ჩემპიონატი. VI ტური. პარმა-ჯენოა.
**16:00** არგენტინის ჩემპიონატი. X ტური. ბოკა ხუნიორსი-ტიგრე.
**18:00** იტალიის ჩემპიონატი. VI ტურის მიმოხილვა.
**18:30** ყოველკვირეული ტელეჟურნალი - FOOTBALL MONDIAL.
**19:00** ბრაზილიის ჩემპიონატი. XXVII ტური. ვასკო და გამა-კორინთიანსი.
**21:00** საფეხბურთო პროგრამა - გოლი.
**22:30** სუპერმატჩი.
**00:00** სუპერმატჩი.

**GMG-სპორტი 1**

**10:00** ფეხბურთი. საფრანგეთის ჩემპიონატი. პსჟ-ლიონი.
**12:05** კალათბურთი. NBA. 2010/2011. სუპერმატჩი. მაიამი-ორლანდო.
**14:00** ფეხბურთი. საფრანგეთის ჩემპიონატი. ბორდო-მონპელიე.
**16:00** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. ტოკიო. იაპონია. მიმოხილვა.
**16:30** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. 1/4 ფინალი. ტოკიო. იაპონია.
**23:55** კალათბურთი. NBA. 2010/2011. სუპერმატჩი. მაიამი-ორლანდო.

**GMG-სპორტი 2**

**08:00** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. პეკინი. ჩინეთი. მიმოხილვა.
**08:30** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. 1/4 ფინალი. პეკინი. ჩინეთი (LIVE).
**14:30** ყოველკვირეული ტელეჟურნალი - ტრანსვორლდსპორტი.
**15:00** სუპერკოლაჟი.
**15:30** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. 1/4 ფინალი. პეკინი. ჩინეთი (LIVE).
**17:30** ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. რომა-ატალანტა.
**19:30** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. 1/4 ფინალი. პეკინი. ჩინეთი.
**22:30** ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. ატლეტიკო-სევილია.

**HTB-პლუსი (ფეხბურთი)**

**22:55** ევრო 2012. შესარჩევი ტურნირი. ჩერნოგორია-ინგლისი (LIVE).

**HTB-პლუსი (სპორტი)**

**10:30** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. 1/4 ფინალი. პეკინი. ჩინეთი (LIVE).
**15:30** ჩოგბურთი. WTA-ის ტური. 1/4 ფინალი. პეკინი. ჩინეთი (LIVE).
**18:00** ცურვა. მსოფლიოს თასი. დუბაი. საემიროები (LIVE).
**04:00** კალათბურთი. WNBA. პლეი ოფი. ფინალი. ატლანტა-მინესოტა. III მატჩი (LIVE).

**HTB-პლუსი (ონლაინი)**

**22:25** ფეხბურთი. ევრო 2012. შესარჩევი ტურნირი. კვიპროსი-დანია (LIVE).

**HTB-პლუსი (ჩოგბურთი)**

**08:30** ATP-ის ტური. 1/4 ფინალი. პეკინი. ჩინეთი (LIVE).
**11:00** WTA-ის ტური. 1/4 ფინალი. პეკინი. ჩინეთი (LIVE).
**15:30** ATP-ის ტური. 1/4 ფინალი. პეკინი. ჩინეთი (LIVE).

**HTB-პლუსი (კალათბურთი)**

**18:45** კალათბურთი. რუსეთის ჩემპიონატი. ხიმკი-კრ. კრილია (LIVE).

**SPORT+**

**22:40** ფეხბურთი. ევრო 2012. შესარჩევი ტურნირი. უელსი-შვეიცარია (LIVE).

**EUROSPORT**

**11:00** ჩოგბურთი. WTA-ის ტური. 1/4 ფინალი. პეკინი. ჩინეთი (LIVE).

**EUROSPORT-2**

**18:30** კრიკეტი. ჩემპიონთა ლიგა. Twenty20. 1/2 ფინალი. ინდოეთი (LIVE).

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნა ლი

# ნა ლი მეხუთეა

WTA-ის წლის შემაჯამებელი ტურნირის მეხუთე მონაწილე გახდა როლან გაროსის წლევანდელი ჩემპიონი **ნა ლი**. ჩინელი ჩოგბურთელი შეუერთდა იმ ოთხეულს, რომელმაც უფრო ადრე გაინაღდა სეზონის დასკვნით ჩემპიონატში თამაში. ესენი არიან: დანიელი **კაროლინ ვოზნიაცკი**, რუსი **მარია შარაპოვა**, ჩეხი **პეტრა კვიტოვა** და ბელარუსი **ვიქტორია აზარენკა**. ახლა გასარკვევი დარჩა კიდევ სამი საგზურის მფლობელის ვინაობა, რომლებიც 25-30 ოქტომბერს სტამბოლის „სინანმ ერდემ არენაზე" გაითამაშებენ სეზონის მთავარ პრიზს.

*„ეს წელი ყველაზე წარმატებული იყო ჩემს კარიერაში და ბედნიერი ვარ, რომ გავხდი ჩინეთის პირველი წარმომადგენელი, ვინც წლის შემაჯამებელ ტურნირში თამაშის უფლება მოიპოვა. მოუთმენლად ველი სეზონის საუკეთესო ჩოგბურთელების წინააღმდეგ თამაშს"*, - განაცხადა ნა ლიმ WTA-ის ოფიციალურ ვებგვერდზე.

■ ■ ■

პეკინის ტურნირზე პირველი წრის წაგების შემდეგ ისრაელის წარმომადგენელმა **შაარ პეერმა** გამოაცხადა, რომ იძულებულია ხერხემლის დაზიანების გამო ნაადრევად დაასრულოს სეზონი.

*„ხერხემლის სერიოზული ტრავმა მაქვს და იძულებული ვარ მინიმუმ ოთხი კვირა დავისვენო. ეს იმას ნიშნავს, რომ ჩემთვის სეზონი დასრულებულია. გპირდებით, რომ მომავალ სეზონს ჯანმრთელი დავუბრუნდები"*, - განაცხადა პეერმა.

შარაპოვას ბოლო ფოტო

# შარაპოვა ფეხზეა

**მარია შარაპოვა** ორი დღის წინ მიღებული ტრავმის შემდეგ სწრაფი ტემპებით გადის აღდგენით პროცესს.

რუსმა ჩოგბურთელმა Facebook-ის საკუთარ გვერდზე ამცნო ყველას, რომ თანდათან ქრება იმ ტრავმის კვალი, რომელიც მან ტოკიოს ტურნირის დროს მიიღო. მარიას დიდი იმედი აქვს, რომ შეძლებს სტამბოლში წლის შემაჯამებელ ტურნირში მონაწილეობას.

შეგახსენებთ, რომ რუსმა იაპონიის დედაქალაქში ვერ შეძლო მეოთხედფინალური მატჩის დასრულება **პეტრა კვიტოვას** წინააღმდეგ. მოწოდების დროს მარია კორტზე დაეცა და ფეხი დაიზიანა.

ამ ინფორმაციის გარდა, შარაპოვამ თავის გვერდზე ფოტოც განათავსა, სადაც ჩანს, რომ მას სიარული შეუძლია.

# ახალი წიგნი ფედერერზე

ახალი წიგნის გარეკანი

გუშინ, შვეიცარიაში გაყიდვაში გამოვიდა მორიგი წიგნი **როჯერ ფედერერზე**. მისი ავტორი გახლავთ ჟურნალისტი **მარკ ებერსოლდი**. წიგნის სახელწოდებაა - Ce que j'apprends de Federer („რა ვისწავლე ფედერერისგან").

ებერსოლდი, რომელიც წარსულში თავად იყო ჩოგბურთელი, სხვადასხვა სიტუაციაში ფედერერის ქცევებს აანალიზებდა და აგრეთვე ხელმძღვანელობდა პრინციპით - „როგორ მოიქცეოდა როჯერს ამა თუ იმ სიტუაციაში".

ახალი წიგნის ფურცლებზე ავტორი დეტალურად იკვლევს ჩემპიონის სტრატეგიას, მოძრაობას, მის ტექნიკურ და ტაქტიკურ მრავალფეროვნებას. ჟურნალისტის თქმით, ის შეეცადა წარმოედგინა საკუთარი თავი როჯერ ფედერერის ადგილას, მაგრამ გაუჭირდა ამის გაკეთება.

ებერსოლდის დასკვნით, იმის მიუხედავად, რომ შვეიცარიელის კარიერის პიკი უკვე ჩავლილია, ის მაინც რჩება მისაბაძ ეტალონად.

# ვოზნიაცკის რევანში

გუშინ, პეკინის ტურნირზე ყველა მეოთხედფინალისტი გაირკვა. ერთმა ჩოგბურთელმა ამ ეტაპზე უბრძოლველად გაიღნია. ბელარუსმა **ვიქტორია აზარენკამ** აქილევსის მყესის დაზიანების გამო ვერ შეძლო **ანასტასია პავლიუჩენკოვას** წინააღმდეგ კორტზე გასვლა და რუსმა შემდეგ ეტაპზე **ანდრეა პეტკოვიჩთან** თამაშის უფლება მიიღო, რომელმაც წინადღეს დაამარცხა **მარიონ ბარტოლი**. როგორც იცით, გერმანელისთვის ყოველი მოგება მნიშვნელოვანია წლის შემაჯამებელ ტურნირზე მოხვედრის მხრივ. ის დაახლოებით 300 ქულით ჩამორჩება მერვე ადგილზე მყოფ ბარტოლის და მას მხოლოდ იმ შემთხვევაში გაასწრებს, თუ პეკინში ფინალში თამაშის უფლებას მოიპოვებს. გარდა ამისა, საჩემპიონო რბოლაში პეტკოვიჩზე ოდნავ წინ არის **აგნიეშკა რადვანსკა**. პოლონელს საათ-ნახევარიც არ დასჭირდა შვედი **სოფია არვიდსონის** დასამარცხებლად - 6:4, 6:2 და ახლა კარგ ფორმაში შესულ **ანა ივანოვიჩს** შეხვდება.

მოულოდნელია მეოთხედფინალში რუმინელი **მონიკა ნიკულესკუს** ხილვა. რუმინელმა, რომელმაც ტურნირის სტარტზე **ნა ლის** მოუგო, ამჯერად **ვირჟინ რაზანოს** ბარიერი გადალახა. ფრანგმა მოიგო მარათონული პირველი სეტი, რომელიც საათზე მეტხანს გრძელდებოდა, მაგრამ შემდეგ ნიკულესკუმ ძალიან ბევრი შეცდომა დაუშვებინა მეტოქეს და მომდევნო ორ სეტში მხოლოდ სამი გეიმი მისცა რაზანოს - 4:6, 6:1, 6:2. საინტერესოა, რომ ამ მატჩის მონაწილეები პეკინის ძირითად ბადეში კვალიფიკაციის გავლით მოხვდნენ. ნიკულესკუ დღეს რუს **მარია კირილენკოს** შეხვდება და ეს გახლავთ რუმინელის კარიერაში პირველი მეოთხედფინალი „პრემიერის" კატეგორიის ტურნირებზე.

ვიქტორია აზარენკას ტრავმის შემდეგ **კაროლინ ვოზნიაცკი** ერთადერთია რეიტინგის ტოპათეულიდან, რომელიც სატურნირო ბადეს შემორჩა. ის კვლავ ესტონელ **კაია კანეპის** ხვდებოდა, ვისთანაც ერთი კვირის წინ ტოკიოში სამ სეტში წაგო.

კანეპის ამჯერადაც ჰქონდა ორივე სეტში წარმატების მიღწევის შანსი, მაგრამ ის ვერ გამოიყენა. ესტონელმა რამდენიმე ბრეიკ-პოინტი გაანიავა, 3:4-ზე კი საკუთარი მოწოდება წააგო - გეიმი ორმაგი შეცდომით დაასრულა. ამის შემდეგ კანეპიმ კიდევ ერთი ბრეიკ-პოინტი ვერ გამოიყენა და 3:6 დამარცხდა.

მეორე პარტია ბრეიკების გაცვლით დაიწყო, მაგრამ მალე ვოზნიაცკიმ კიდევ ერთხელ აიღო მეტოქის მოწოდება. ისევ დაფიქსირდა 5:3, თუმცა დანიელმა ამჯერად ვერ მოახერხა პარტიის მშვიდად მოგება. მატჩბოლის მოგერიების შემდეგ კაიამ ანგარიში გაათანაბრა და საქმე ტაი-ბრეიკამდე მიიყვანა. თუმცა გადამწყვეტ მომენტში ესტონელი მოდუნდა და კაროლინმა გამარჯვება მოიპოვა. მატჩის სტატისტიკა პროგნოზირებადი იყო - კანეპის მეტი „ვინერსი" და უნებლიე შეცდომა ჰქონდა, მაგრამ შეცდომებმა კარგი დარტყმები გადაწონა.

ვოზნიაცკის შემდეგი მეტოქე **ფლავია პენეტა** იქნება. იტალიელმა **დომინიკა ციბულკოვა** დაამარცხა, რომელმაც მანამდე იოლად დაამარცხა მეორე იტალიელი **ფრანჩესკა სკიავონე** (6:2, 6:2). თუმცა ამჯერად სლოვაკმა სუსტი მატჩი ჩაატარა და ძალიან ბევრი შეცდომა დაუშვა. მეორე სეტში მან თითქოს იპოვა თავისი თამაში, მაგრამ ეს დიდხანს არ გაგრძელებულა, ფლავიამ კი მთელი მატჩი სტაბილურად მაღალ დონეზე წარმართა და სამ სეტში გაიმარჯვა - 6:1, 4:6, 6:4.

**WTA**

**China Open**

პეკინი (ჩინეთი). ჰარდი

**საპრიზო ფონდი:** 4 500 000 დოლარი

**1/8 ფინალი**

**ანასტასია პავლიუჩენკოვა (რუს, 13)**-ვიქტორია აზარენკა (ბლრ, 2) უარი; **მონიკა ნიკულესკუ (რუმ)**-ვირჟინ რაზანო (საფ) 4:6, 6:1, 6:2; **მარია კირილენკო (რუს)**-ტამირა პაჩეკი (ავსტრია) 6:1, 6:2; **აგნიეშკა რადვანსკა (პოლ, 11)**-სოფია არვიდსონი (შვედ) 6:4, 6:2; **ფლავია პენეტა (იტა)**-დომინიკა ციბულკოვა (სლოვაკ) 6:1, 4:6, 6:4; **კაროლინ ვოზნიაცკი (დან, 1)**-კაია კანეპი (ესტ) 6:3, 7:6(3).

**1/4 ფინალი**

ვოზნიაცკი (1)-პენეტა; ივანოვიჩი-რადვანსკა (11); კირილენკო-ნიკულესკუ; პავლიუჩენკოვა (13)-პეტკოვიჩი (9).

**ATP**

**China Open**

პეკინი (ჩინეთი). ჰარდი

**საპრიზო ფონდი:** 2 100 000 დოლარი

**1/8 ფინალი**

**მარინ ჩილიჩი (ხორ)**-ფაბიო ფონინი (იტა) 6:2, 6:7(1), 6:3; **ჟო-ვილფრიდ ცონგა (საფ, 1)**-ჟე ჟანგი (ჩინ) 6:3, 6:4; **კევინ ანდერსონი (ს. აფრ)**-ალბერტ მონტანიესი (ესპ) 7:6(3), 7:6(4); **ხუან კარლოს ფერერო (ესპ)**-მარსელ გრანოლერსი (ესპ) 6:4, 6:4.

**1/4 ფინალი**

ცონგა (1)-ფერერო; ბერდიხი (3)-ვერდასკო; ლუბიჩიჩი-იუჟნი; ანდერსონი-ჩილიჩი.

**Japan Open**

ტოკიო (იაპონია). ჰარდი

**საპრიზო ფონდი:** 1 100 000 დოლარი

**1/8 ფინალი**

**ენდი მიურეი (ბრიტ, 2)**-ალექს ბოგომოლოვი (აშშ) 6:1, 6:2; **დავიდ ფერერი (ესპ, 3)**-მეტიუ ებდენი (ავსტრა) 4:6, 6:2, 6:2; **რაფაელ ნადალი (ესპ, 1)**-მილოშ რაონიჩი (კან) 7:5, 6:3; **დავიდ ნალბანდიანი (არგ)**-ივან დოდიგი (ხორ) 7:6(2), 6:2; **სანტიაგო ხირალდო (კოლ)**-დმიტრი ტურსუნოვი (რუს) 6:4, 7:6(4).

**1/4 ფინალი**

ნადალი (1)-ხირალდო; ფიში (4)-ტომიჩი; შტეპანეკი (7)-ფერერი (3); ნალბანდიანი-მიურეი (2).

კაროლინ ვოზნიაცკი

# ფინალი სევილიაში

ესპანეთის ჩოგბურთის ფედერაციამ დაასახელა ქალაქი, რომელიც 2011 წლის დევისის თასის ფინალურ მატჩს უმასპინძლებს. მსოფლიოს გუნდური ჩემპიონატის გადამწყვეტი შეხვედრა 2-4 დეკემბერს გაიმართება და მასში ერთმანეთს ესპანეთისა და არგენტინის ნაკრებები შეხვდებიან. ქვეყნის ფედერაციამ სამ ქალაქს - ვალენსიას, სევილიასა და მადრიდს შორის უპირატესობა სევილიას მიანიჭა.

ეროვნული ფედერაცია აღნიშნავს, რომ სტადიონი ამ ქალაქში ტურნირის ჩატარების ყველაზე მაღალ კრიტერიუმებს პასუხობს. შეგახსენებთ, რომ სევილიას ოლიმპიურ სტადიონზე გაიმართა 2004 წლის დევისის თასის ფინალი, რომელშიც ესპანელებმა 27 ათასი მაყურებლის თანდასწრებით დაამარცხეს აშშ-ის ნაკრები - 3:2.

*„სევილიას განაცხადი აღმოჩნდა ერთადერთი, რომელმაც ყველა ჩვენი მოთხოვნა დააკმაყოფილა, ამიტომაც შევთავაზეთ საერთაშორისო ჩოგბურთის ასოციაციას ეს ქალაქი დევისის თავის წლევანდელი გათამაშების ფინალის მასპინძლად"*, - წერია ესპანეთის ფედერაციის ოფიციალურ განცხადებაში.

# რაფას პრობლემა ფსიქოლოგიაშია

მსოფლიოს მეორე ჩოგანის რაფაელ ნადალის ბიძა და მწვრთნელი **ტონი ნადალი** ჟურნალისტებს თავისი შეგირდის ფსიქოლოგიური პრობლემების შესახებ მოუყვა.

ამ სეზონში რაფაელი ექვსი ტურნირის ფინალში შეხვდა მსოფლიოს პირველ ჩოგანს **ნოვაკ ჯოკოვიჩს** და ექვსჯერვე დამარცხებულმა დატოვა კორტი. ტონი ნადალს მიაჩნია, რომ რაფამ უნდა დაიბრუნოს საკუთარ ძალებში ძველი დამაჯერებლობა, რომელიც მნიშვნელოვნად შეირყა წლევანდელ სეზონში დამარცხებების შემდეგ.

*„ცხადია, რომ ამდენი წაგების შემდეგ რაფას ბოლო მატჩებში ნერვიულობა დასჩემდა. მიუხედავად ამისა, რეალობა ის არის, რომ დღეს ჯოკოვიჩი ყველა კომპონენტში სჯობს ნადალს. იმედი მაქვს, ასე დიდხანს არ გაგრძელდება"*, - აღნიშნა რაფაელ ნადალის დამრიგებელმა.

*„რაფაელის თამაშის სტილი კარგად მუშაობს ჯოკოვიჩზე,* - დაამატა ტონი ნადალმა. - *გარკვეული კორექტივები უნდა შევიტანოთ, ოღონდ არა თამაშში, არამედ რაფას ფსიქოლოგიაში"*.

ტრადიციული მეტოქეები

**გვერდი მოამზადა**
**გია თვალაბეიშვილმა**